

ადამიტოსტრაზიული

აქტი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2021, №7

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)**

2021, №7

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)**

2021, №7

**Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)**

2021, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

**ტექნიკური რედაქტორი
გარიგა გაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

**ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასა-
მართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

საქონიერებლი

1. ბინადრობის ნებართვის თაობაზე აქტის კანონიერება	
შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი	4; 21; 37
2. სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტების კანონიერება	
სამედიცინო მომსახურებისთვის ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნისა და ჯარიმის დაკისრების თაობაზე აქტის კანონიერება	48
სამედიცინო დაწესებულებისათვის საევაკუაციო გასასვლელის მოწყობისა და სიგნალიზაციის დემონტაჟის დავალების თაობაზე მიწრილობის კანონიერება	64
ჯარიმის დაკისრების თაობაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს შემონმების აქტისა და კომისიის გადაწყვეტილების კანონიერება	80
3. სხვა ადმინისტრაციული აქტების კანონიერება	
სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება	104
წარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღარიების/არაღარიების საფუძველი	119
მინის ნაკვეთის ფუნქციური ზონის შეცვლის თაობაზე ნორმატიული აქტის კანონიერება	132
4. საჯარო ინფორმაციის გაცემა	
საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ დაგაზე მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ოურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურების დაკისრება	160
საჯარო ინფორმაციის მიწოდების ფარგლები	175
მოთხოვნილი ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოების საკითხის გარკვევის აუცილებლობა	199

1. პირადობის ნებართვის თაობაზე აქტის კანონიერება

შრომითი პირადობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ბს-370(კ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის ბათილად ცნობა, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინად-
რობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

რ. დ-იმ 2018 წლის 9 თებერვალს სარჩელი აღძრა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მო-
პასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს
მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარე-
ბის სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილების ბა-
თილად ცნობა და რ. დ-თვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინად-
რობის ნებართვის გაცემის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისე-
ბის განვითარების სააგენტოსთვის ახალი ადმინისტრაციულ-სა-
მართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, ინდივეთის რესპუბლიკის მოქალა-
ქე რ. დ-იმ (... , დაბ. ...ნ. ინდივეთში, პასპორტის ნომერი ...) 2017 წლის
29 დეკემბერს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისე-
ბის განვითარების სააგენტოს და მოითხოვა ოჯახის გაერთიანე-
ბის მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერ-
ვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გა-
დაწყვეტილებით რ. დ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე
პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კა-
ნონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების
საფუძველზე, უარი ეთქვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინად-

რობის ნებართვის გაცემაზე. მოსარჩელე სადაც ადმინისტრაციული აქტის გაუქმების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დაასაბუთა რის საფუძველზე ჩაითვალა რ. დ-ის საქმიანობა საფრთხის შემცველად. რ. დ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე ს. ს-თან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რ. დ-ის შეიღება ჩ. ბ-ზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გასცა ბინადრობის ნებარვა და მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოხდება ოჯახის დაშორება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით რ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილება რ. დ-თვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ; სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რ. დ-სთვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60^ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იყი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მოშზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტი-

ლება“. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ენინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ, თუ: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ენინააღმდეგება და 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონს ენინააღმდეგებოდა, ასევე, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რის გამოც არსებობდა სარჩელის დაკამაყოფილებისა და მისი ბათილად ცნობის საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ენინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სააპელაციო პალატამ ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სარჩელის დაკამაყოფილებისა და ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი. სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგო-

მარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას. მითოებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელს, რომელსაც აქვს ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სახის ბინადრობის ნებართვა, უფლება აქვს, სხვა სახის ბინადრობის ნებართვის მისაღებად სააგენტოს მიმართოს, თუ იგი შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გასაცემად დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვის სახეებს. აღნიშნული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ოჯახის წევრებზე. მითითებული კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზან-შეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგა-

ნიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე; ბ.ა) სა-ქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად გან-ნყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორის-ტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკე-ბის, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომ-პონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფი-კინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან). საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგე-ნილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესით“ განსაზ-ლვრულია უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებარ-თვის გაცემის წესი და პირობები. მითითებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებარ-თვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, უცხოელი განცხადებით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სა-მინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-ტოს (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზ-ნით ბინადრობის ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვისათ-ვის საჭირო საბუთების ნუსხა მოცემულია ამავე დებულების მე-6 მუხლში. ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გა-დაწყვეტის წესი რეგლამენტირებულია ამავე წესის მე-13 მუხლით, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნე-ბართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სა-აგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღე-ბიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართვე-ლოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფი-ზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში ნარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ აღნიშნუ-ლი ვადა საკმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცე-მად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იური-დიული პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდე-გაც მათ მიეცემათ დამატებით ორდღიანი ვადა. საქართველოს სა-ხელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის წარუდ-გენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართვე-

ლოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში. სააპელაციო პალატის მითითებით განსაზილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააგენტო, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამონმა რ. დ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და მიღებული ინფორმაციის შედეგად, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩევისათვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ საქართველოს კანონის „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ პირველი მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ნინაალმდევ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. მითითებული კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლობულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატორი და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს. განსაზილველ შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იან-

ვრის MIA 9 18 00004047 ნერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს რ. დ-სთვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით პინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ უცხოელისათვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით პინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი პინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კერძოდ, მითითებული კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია დაიკვას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლები, ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განახორციელოს იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც აქვს მინიჭებული ეს უფლებამოსილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, ურთიერთშეჯერების ვალდებულებას. მითითებული ვალდებულების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებით (განხორციელებული ქმედება) პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც მიღებული იქნა იგი, გადაწყვეტილებაშ არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ზემოაღნიშნულთან ერთად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის

სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტური დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პრიორიტეტის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები. რ. დ-სთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია პრიორიტეტულად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა ასევე მართებულად განმარტა, რომ მიღებომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა-მაც საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოითხოვა რ. დ-ის შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაცია, რომლის შესწავლის საფუძველზე, ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეჯერების შედეგად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა რ. დ-სათვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ რ. დ-ის სარჩელი სწორად დაკმაყოფილდა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მართებულად დაევალა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საჯარო და კერძო ინტერესების პრიორიტეტის, თანაფარდობის პრიორიტების დაცვის საფუძველზე, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რ. დ-სთვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინება საკასაციო ნესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ. კასატორმა იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, რომელც ამყარებდა სააპელაციო საჩივარს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებითა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამავე კანონის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონების პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაცემთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კასატორის მოსაზრებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართალია, გამოიყენეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა, არასწორად განმარტა იგი. საპელაციო სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომელიც ხდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. „უცხოელთა და მოქალაქე-

ობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-18 მუხლით განერილია საქართველოში ბი-ნადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მითი-თებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მი-ხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცე-მაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგა-ნოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოე-ბის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველო-ში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან/და იგი ახორციე-ლებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სა-ხელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. „სა-ქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილ-ვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამ-ტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის სა-კითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნ-ქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემა-ზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლე-ბამოსილია, ხოლო, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწი-ფო ორგანოებისაგან. კასატორის განმარტებით, სწორედ აღნიშ-ნული ვალდებულების საფუძველზე, სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გადაუზიარება 2017 წლის 29 დეკემბრის №... წერილი: არსებობდა თუ არა რ. დ-ის საქართველოს ტერიტო-რიაზე ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გა-ცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. მიღებული 2018 წლის 9 იანვრის № MIA 9 18 00004047 წერილით ირკვევა, რომ სა-ქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზ-ვერვის დეპარტამენტს №... (რ. დ-ი) საქმეში მითითებული პირის-თვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებ-რივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხ-ლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინე-ბით, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცე-მა მიზანშეუწონლად მიაჩნია. სახელმწიფო სერვისების განვითა-რების სააგენტომ, იხელმძღვანელა რა „უცხოელთა და მოქალაქე-ობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილე-ბის ფარგლებში, ამავდროულად, გაითვალისწინა რა კერძო და სა-ჯარო ინტერესი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში

მიიღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული სადაც გადაწყვეტილებების ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის №MIA 9_18_00004047 ნერილი. კასატორი აღნიშნავს, რომ „კონტრდაზვერვით საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვით საქმიანობა გასაიდუმლობულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვით საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადაც გახდიდა და გააპათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩინება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, იგი უნდა გაუქმდეს და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 22 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შეს-

წავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული და-საბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტი-ვების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საპატარი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის გან-ჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. დ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გა-მო:

საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე რ. დ-იმ (R. D, დაბ.: ... წელს, ინდოეთში, პასპორტის ნომერი ...) 2017 წლის 29 დეკემბერს გან-ცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრო-ბის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარე-ბის სააგენტომ 2017 წლის 29 დეკემბრის №... წერილით სახელმწი-ფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენ-ტისაგან გამოითხოვა ინფორმაცია, არსებობდა თუ არა მოსარჩე-ლისათვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. სსიპ სახელმწი-ფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 იანვრის №1000587720 გადაწყვეტილებით ინდოეთის რესპუბლიკის მოქა-ლაქე რ. დ-ის 2017 წლის 28 დეკემბრის განცხადება დაკმაყოფილ-და და საქართველოდან გასვლის ვალდებულება გადაუვადდა 2018 წლის 23 იანვრიდან 2018 წლის 14 თებერვლამდე. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დე-პარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის № MIA 9 18 00004047 წერილის თანახმად, დეპარტამენტმა რ. დ-სთვის „უცხოელთა და მოქალა-ქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით ოჯახის გაცემა მიზანშეუწონლად მიიჩნია. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილებით რ. დ-ის „უცხოელთა და მოქალა-ქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. ასევე დადგენილია, რომ რ. დ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ინდოეთის რეს-პუბლიკის მოქალაქე ს. ს-თან. სსიპ სახელმწიფო სერვისების გან-

ვითარების სააგენტოს 2016 წლის 1 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ს. ს-ს საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვა გაუგრძელდა 2019 წლის 31 ნოემბრამდე.

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილებით რ. დ-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუზონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფინის საფუძველი, ხოლო ბინადრობის ნებართვის მონაბა – იურიდიული ძალის ქონების ფოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონები პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით, შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პრისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. აღნიშნული მიუთითებს სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე – იყისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის

თანახმად საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება არის კონტრდაზვერვითი საქმიანობა. იმავე კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლობულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატორი და ოპერატორულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კანონით დადგენილი წესით 2017 წლის 29 დეკემბრის №... წერილით მიმართა უფლებამოსილ საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

ების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა რ. დ-სთვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის №MIA 9 18 00004047 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწოდად მიაჩნია №... (რ. დ-ი) საქმეში მითითებული პირის თვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის №MIA 9 18 00004047 წერილი წარმოადგენს სწორედ კანონით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად.

საგულისხმოა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ 2020 წლის 3 თებერვალს №ბს-370(კ-19) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძვლზეც მიზანშეუწოდად იქნა მიჩნეული რ. დ-თვის ბინადრობის ნებართვის გაცემა. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი კანონშესაბამისია და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეესაბამება დარგის მარეგულირებელი, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოადგენილი ინფორმაცია სრულად აქარნყლებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას. თუმცა, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „შესახებ დაუნერტით გათვალისწინებული საქმეთა განხილვისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. „კონტრდაზვერვით საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს იმ უფლებამოსილ ორგანოს, რომე-

ლიც საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. შესაბამისად, მის მიერ გაცემული დასკვნა – წერილი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას, რომლის სამართალდაცვითა მიზნები-სათვის გამოყენების შესაძლებლობას კრძალავს „კონტრდაზვერვით საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. თუმცა, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ტოვებს მცირეოდენი ეჭვის საფუძველსაც კი, რომ სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელა რაიმე ქმედება, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგარი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, დგინდება, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით შეამონება რა რ. დას მიერ წარდგენილი დოკუმენტები, სააგენტოს გადაწყვეტილება ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით შეესაბამება კანონმდებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩევის მითითება ოჯახის ერთიანობის პრინციპის დარღვევაზე, რამდენადაც აღნიშნული პრინციპის გამოყენება, კონკრეტულ შემთხვევაში, შეიზღუდა ლეგიტიმური მიზნის – სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ენინააღმდეგება და ის პირდაპირ და უმუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩევის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო

ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად (ცნობის შესახებ).

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ გაეთვალისწინებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიიჩნევს, რომ არ არსებობს რ. დ-ის სარჩელის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევით, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებია, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, როს გამოც საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინება და რ. დ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გალებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, რ. დ-მა კასატორ – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 450 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ჭ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივავარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. რ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელე – რ. დ-ს (პ/ნ ...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლო-ებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – (150+300) 450 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი პირების ცებართვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-815(კ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

ა. პ-იმ 2018 წლის 20 აპრილს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების

სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ა. ბ-ისთვის საქართველოს შრომითი ბინადრობის წებართვის გაცემის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩევე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის დასაბუთების სავალდებულო მოთხოვნებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ა. ბ-ის სარჩევი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხეს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის წებართვის გაცემის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამაც. სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვ-

ნები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. საპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ენინა-აღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ, თუ: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ენინააღმდეგება და 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. განსახილველ შემთხვევაში საპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონს ენინააღმდეგება, ასევე, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რის გამოც არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი ბათილად ცნობის საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ენინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევა-

ში არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და შექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას. მითითებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად კი, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამენარეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროცესის ადამიანზე. იმავე კანონის 18-ე მუხლით განსაზღვრულია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით განსაზღვრულია უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები. მითითებული დადგენილების მე-

3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით უცხოელი განცხადებით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვისათვის საჭირო საბუთების წუსხა კი მოცემულია ამავე დადგენილების მე-5 მუხლში, რაც მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა ადმინისტრაციულ ორგანოში. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები რეგლამენტირებულია ამავე დადგენილების მე-13 მუხლით, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „**„**, „**გ**“, „**დ**“ და „**ე**“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაცია. თუ აღნიშნული ვადა საქმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცემად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ მიეცემათ დამატებით ორდენიანი ვადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „**ე**“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში. იმავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უცხოელის შიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და მოპოვებული მასალის საფუძველზე, სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე. ამრიგად, პირისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, „უცხოელთა და მოქალაქეების არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადმინისტრაციუ-

ლი ორგანო (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც შე-საბამისი თრგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული ქმედების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამონმა რა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს და მიღებული ინფორმაციის შედეგად ამავე მუხლის მე-7 პუნქტისა და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებისათვის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, მოპასუხე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველი გახდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაზერვის დეპარტამენტის წერილი, ხოლო სამართლებრივი შედეგი წარმოშვა გასაჩივრებულმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად განმარტა, რომ უცხოელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ზემოაღნიშულთან ერთად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპე-

ბის დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ ა. ბ-ისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებული იქნა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ პრიორიტეტულად სწორად მიიჩნია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა ასევე მართებულად აღნიშნა, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ, საქალაქო სასამართლოს მსგავსად, კანონით დადგენილი წესით გამოითხოვა და შესაბამისად, გაეცნო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის საფუძვლად არსებულ ინფორმაციას და მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავს ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში შრომითი ბინადრობის მინიჭების მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, არ დასტურდება მოსარჩელის მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ. კასატორმა იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, რომლებზეც ამყარებდა სააპელაციო საჩივარს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამავე

კანონის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეობის ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო, გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კასატორის მოსაზრებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართალია, გამოიყენეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა, არასწორად განმარტა იგი. სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და ეკრძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომელიც ხდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განერილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. „სა-

ქართველობის ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, რაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შესრულებულ იქნა და გამოითხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან – არსებობდა თუ არა ა. ბ-ისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული ინფორმაციის მოკვლევაზე უფლებამოსილ, ერთადერთ კომპეტენტურ ორგანოს სწორედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობას შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს, სასამართლოს მითითება, რომ სააგენტომ მხოლოდ გაიზიარა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა და სხვაგვარად არ დაუსაბუთებია კანონის მე-18 მუხლით განერილი გარემოებები, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. კასატორი მიიჩნევს, რომ როდესაც სახეზეა კომპეტენტური ორგანოს დასკვნა კონკრეტული პირის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის თაობაზე, გამომდინარე იმ სამართლებრივი რეგულაციიდან, რაც დღეს მოქმედებს, სააგენტოს დისკრეციული უფლებამოსილება შეზღუდულია, რამეთუ, განცხადების განხილვით მოიპოვოს ისეთი

მტკიცებულება, რომელიც სადაც გახდიდა და გააპათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, როს გამოც, კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში მოპოვებული მასალები და დოკუმენტაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება არ ჯდება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, როდესაც არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, გაუკვევლია, კიდევ რა საფუძველი უნდა დაედგინა სააგენტოს და სათხადოდ დაესაბუთებინა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაუდგენელია, რომელი კანონის რა მოთხოვნა დაარღვია სააგენტომ, რაც შესაძლოა გახდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, ამდენად, კასატორი ითხოვს, რომ გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის №3/2399-18 გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ა. ბ-ის უარი ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 ივნისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაჩილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დატმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ ავღანეთის ისლამური რესპუნლიკის მოქალაქე ა. ბ-ი 2018 წლის 1

იანვრის შრომითი ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულია შპს „....-ში“ ...ის თანამდებობაზე. 2012 წლიდან (2018 წლის 1 იანვრიდან 5 წლიანი ხელშეკრულებით) მისი ანაზღაურება შეადგენს 800 (რვაას) ლარს თვეში. 2012 წლიდან მისი საშემოსავლო გადასახადი გადახდილია 4440 ლარის სახით. შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2017 წლის 12 დეკემბრის წერილის თანახმად, ელექტრონული ბაზის 2017 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „....-ს“ უფიქსირდება სამენარმეო აქტივობა (დეკლარაციების წარდგენა, გადასახადების გადახდა, ანგარიშ-ფაქტურების და ზედნადებების გამოწერა-მიღება, სასაქონლო ოპერაციები). 2018 წლის 22 მარტს ა. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 24 მარტის №... წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 2 აპრილის SSG 9 18 00048632 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტის მიზანშეუწონლად მიაჩინა ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... გადაწყვეტილებით ა. ბ-ს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... გადაწყვეტილებით ა. ბ-ისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შე-

სახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხოენის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩატანას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით, შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იდებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისისმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაცემთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. აღნიშნული მიუთითებს სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე – იყისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფ-

რთხოების მიზნებს. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება არის კონტრდაზვერვითი საქმიანობა. იმავე კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლობულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში იპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კანონით დადგენილი წესით 2018 წლის 24 მარტის №... წერილით მიმართა უფლებამოსილ საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 2 აპრილის №SSG 9 18 00048632 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 2 აპრილის №SSG 9 18 00048632 წერილი წარმოადგენს სწორედ კანონით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად.

საგულისხმოა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ 2020 წლის 3 თებერვალს №ბს-815(კ-19) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხო-

ვიღ იქნა ის ინფორმაცია, რომელის საფუძველზეც მიზანშეუწონ-ლად იქნა მიჩნეული ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედე-გად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონშესაბამისია და საპელა-ციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეესაბამება დარ-გის მარეგულირებელი, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად აქარნებულებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვე-ტილების დასაბუთებას. თუმცა, „სახელმწიფო საიდუმლოების შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის, „ბ“ ქვე-პუნქტით გათვალისწინებული საქმეთა განხილვისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით, დო-კუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამარ-თლოს გადაწყვეტილებაში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრო-ბის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში ავალ-დებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-ტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზ-ნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სა-ხელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესა-ბამისი გადაწყვეტილება. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესა-ხებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად საქართვე-ლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს იმ უფ-ლებამოსილ ორგანოს, რომელიც საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. შესაბამისად, მის მიერ გაცემუ-ლი დასკვნა – წერილი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსი-ლების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას, რომლის სამართალდაცვითი მიზნებისათვის გამოყენების შესაძ-ლებლობას კრძალავს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. თუმცა, საკასა-ციო სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ტოვებს მცი-რეოდენი ეჭვის საფუძველსაც კი, რომ სააგენტომ მინიჭებული უფ-ლებამოსილების განხორციელებისას კანონმდებლობის მოთხოვ-ნების სანინააღმდეგოდ განახორციელა რაიმე ქმედაბა, რადგან სა-ხელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარ-ტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირო-ბებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად,

დგინდება, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით შეამომა რა ა. ბ-ის მიერ წარდგენილი დოკუ-მენტები, სააგენტოს გადაწყვეტილება შრომითი ბინადრობის ნე-ბართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ „უცხოელთა და მოქალა-ქობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით შეესაბამება კანონმდებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ბინადრობის ნებართვის გა-ცემაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის მი-თითება დაუსაბუთებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტით მისი უფლების დარღვევის თაობაზე, რამდენადაც კონკრე-ტულ შემთხვევაში, ა. ბ-ის უფლება შეიზღუდა ლეგიტიმური მიზ-ნის – სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწე-ვად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არ-სებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებ-ლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შე-საბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინ-დივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ გაკეთებულ სამართლებრივ დაკავნებს და მიიჩნევს, რომ არ არსებობს ა. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად (კნობისა და მოპასუხისათვის ახა-ლი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო ინსტანციის სა-სამართლო საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევით, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებია, მაგრამ არასწო-რად განმარტა იგი. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩი-ნების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-

ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინება და ა. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ა. ბ-მა კასატორს – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 450 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მოსარჩელე – ა. ბ-ის (პ/ნ ...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – (150+300) 450 ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი პირადობის ცენტრის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლი

გადაცყვაფილება საქართველოს სახელით

№ბა-207(კ-20)

7 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ა. ნულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

1. მ. ქ-იმ 2019 წლის 4 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მო-
პასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-
ტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა იმავე სააგენტოს 2019 წლის
5 თებერვლის №1000649708 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა,
ასევე, მოპასუხისოფისი, საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოება-
თა სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ, ახალი ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება
მოსარჩელის სახელზე შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის
თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ქ-ის
სარჩელი დაკმაყოფილდა; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბა-
თილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარე-
ბის სააგენტოს 2019 წლის 5 თებერვლის №1000649708 გადაწყვე-
ტილება და იმავე სააგენტოს დაევალა, საქმისათვის არსებითი
მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემ-
დეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის გამოცემა მ. ქ-ისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გა-
ცემასთან დაკავშირებით.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენი-
ლად მიიჩინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. მ. ქ-ი (დაბადებული ... წლის ... მაისს) არის ირანის ისლამური

რესპუბლიკის მოქალაქე;

3.2. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 21 მარტის №1000599125 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 2018 წლის 15 მარტის №1000599125 განცხადება და მ. ქ-ს მიეცა საქართველოში შრომითი ბინადრობის წებართვა 2018 წლის 26 მარტიდან 2019 წლის 13 მარტამდე;

3.3. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონანერის თანახმად, შპს „...“ დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი არის მ. ქ-ი;

3.4. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, მ. ქ-ი დასაქმებულია შპს „...ში“...ის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 750 ლარს;

3.5. ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს 2019 წლის 8 იანვრის №1511/5/5386 ცნობის თანახმად, მ. ქ-ი არ არის ნასამართლევი;

3.6. 2019 წლის 16 იანვარს მ. ქ-იმ განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოში შრომითი ბინადრობის წებართვის გაცემის მოთხოვნით;

3.7. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 17 იანვრის №1000649708/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა, ეკნობებინა, არსებობდა თუ არა მ. ქ-ისათვის შრომითი ბინადრობის წებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები;

3.8. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 4 თებერვლის №SSG 8 19 00021639 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მ. ქ-ისათვის შრომითი ბინადრობის წებართვის გაცემა მიზანშეუწოდად მიაჩნია;

3.9. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 5 თებერვლის №1000649708 გადაწყვეტილებით მ. ქ-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის წებართვის გაცემაზე.

4. ზემოაღნიშეული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ბინადრობის წებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშენონილობის თაობაზე. მითითებული ქმედება მიზნად ისახავს, გადაწყვეტილე-

ბის მიღებისას გამოირიცხოს „უცხოელთა და მოქალაქეობის არ-მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული, პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

5. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აქტის გამოცემის საფუძველს სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი წარმოადგენს. შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სხვა რომელიმე წინაპირობის არსებობის საკითხი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია და სათანადოდ არ დაუსაბუთებია, რითაც დაარღვია დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები, არ დაიცვა თანაზომიერების პრინციპი.

6. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის დასაქმებისა და მის ანგარიშზე თანხის ბრუნვის ფაქტებზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან დამატებით გამოითხოვა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია და მიიჩნია, რომ სადავო აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის გარეშე.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო გასაჩივრებული აქტი და მოპასუხეს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მტკიცებულებათა შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილი პროცედურული წესის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ქ.-ისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 ივნისს გადაუწყვეტილება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 6 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

10. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა ისანი.

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლზე, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე და მოსარჩევის-თვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სამართლებ-რივი საფუძვლის გადამოწმების მიზნით, გამოითხოვა ინფორმა-ცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონ-ტრდაზვერვის დეპარტამენტისგან. სააპელაციო პალატის განმარტებით, ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარდგენილ იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. ამას-თანავე, საიდუმლო ინფორმაციის შესწავლა და შემოწმება განხორციელდა კანონით დადგენილი წესით, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებულმა ფაქტებმა ასახვა ვერ ჰპოვა სასამართლო გადაწყვეტილებაში.

12. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოპასუხე მოქმედებ-და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის დრო-საც ადმინისტრაციული ორგანიზაციების მიზნით, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პრიორიტეტულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა მიღდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში უნდა იყოს თან-მიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შესაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩევეს შესაბამისი ბინადრობის ნებართვის მოპოვებისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარდგენილი აქვს სააგენტოში, თუმცა სააგენტოს გა-დაწყვეტილება ეფუძნება მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილს. აღნიშნული გარემოება, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადასტურებდა სადაც აქტის საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის გარეშე გამოცემას. შესაბამისად, პალატამ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დავის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გადაწყვეტა.

13. სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ გა-საჩივრებული აქტის გაუქმების საფუძველი ვერ გახდება მის სა-რეზოლუციით ნაწილში დაშვებული ტექნიკური სახის უსწორობა. კერძოდ, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახულ მსჯელობას აზრს არ უცვლის გადაწყვეტილების სა-რეზოლუციით ნაწილში მითითებული საქმეზე დაყენებული შედე-გის ამსახველი სიტყვები (წაცელად მითითებისა: „სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს“, მითითებულია „სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს“). პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვე-

ტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსით დგინდება, რომ საქა-ლაქო სასამართლომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებოთი მნიშვნელობის მქონე გარემობის გა-მოკვლევისა და შეფასების გარეშე გამოცემულად მიიჩნია, შესა-ბამისად, სადაც საკითხის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძ-ვლად მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 6 ნოემბრის განჩინება საკასაციო წე-სით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების საა-გენტომ.

15. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრი-ვი მდგომარეობის შესახებ“ კანონი. სასამართლომ არ გაითვალის-წინა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შე-პირისპირების მიზნით, იყვლევს და გამოითხოვს მტკიცებულე-ბებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წამოად-გენს. ამასთანავე, სააგენტოს არ გააჩნია უფლებამოსილება, გა-ეცნოს და რევიზია გაუწიოს საქართველოს სახელმწიფო უსაფ-რთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან გა-მოთხოვილ ინფორმაციას. საკასაციო საჩივრის თანახმად, როდე-საც არსებობს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა კონ-კრეტული პირის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის თაობაზე, სააგენტოს დისკრეციული უფლებამოსილება რედუცი-რებს წულისკენ, რამეთუ განცხადების განმხილველი ორგანო კა-ნონმდებლობით შეზღუდულია, მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც გააბათილებს ასეთ დასკვნას.

16. კასატორი აღნიშნავს, რომ შეასრულა საქართველოს მთავ-რობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცე-ბული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვანა და შესაბამისი ორგანოდან მიღებული ინფორმაციის გათ-ვალისწინებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სა-მართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მართებულად უთხრა უარი მოსარჩელეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 ივლისის განჩინებით სსიპ სახელ-მწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრი დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ

საჩივარი განხილულ იქნებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საზიგარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ქ-ის სარჩელა არ დაკმაყოფილდება.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, მოცემულ საქმეში მთავარ სადაც საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით.

20. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს. უცხოელის საქართველოში ხანგრძლივად კანონიერად დარჩენის უფლების მოპოვების ერთ-ერთი შესაძლებლობა სწორედ ბინადრობის ნებართვის მიღებაა, რომელსაც, დასახელებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე გასცემს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ამასთან, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქცია) თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახე არის შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე.

21. საკასაციო პალატა მიუთითებს, ვინაიდან ბინადრობის ნებართვის გაცემით უცხოელი მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობას, ხოლო სახელმწიფო კისრულობს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტე-

რიტორიაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სა-მართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დეტალურად და ამომწურავად არის გაწერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მათ შორის, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ ნესრიგს.

22. კანონმდებელი იმავე მუხლის მეორე პუნქტში აკონკრეტებს კრიტიკულების ჩამონათვალს, თუ რომელ შემთხვევებს მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები, ესენია: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უნდა უქმნიდეს საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) უნდა არსებობდეს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სა-დაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონობრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

23. აღსანიშნავია, რომ დასახელებული საფუძვლებით ნებართვის გაცემაზე უარის თქმა პირდაპირ პასუხობს კანონის მიზნებს. კანონმდებელმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე მუხლში ხაზი გაუსვა რა კანონის მიღების მიზნებს, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაზე. კერძოდ, ხსენებული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები. იმავე კანონის 25-ე მუხლის

მე-4 პუნქტის თანახმად კი, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლა-სავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ამრიგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, ერთმანეთს შეუპირისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება ბინადრობის ნებართვის გაცემის თუ ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

24. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული საკითხის გამოყვლევა და გადაწყვეტა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონების პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან.

25. სახელმწიფო ორგანო, რომლისგანაც სერვისების განვითარების სააგენტოს შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია უცხოელის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებსათვის საფრთხის შექმნის თაობაზე, არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ეწევა ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორ-

განიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ნინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონისმიერი საფუძვლების არსებობის საკითხის დასადგენად. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა – წერილი კი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას.

26. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2019 წლის 16 იანვარს მ. ქ-იმ განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზემოაღნიშნული ნორმებისა და მოთხოვნების დაცვით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან ინფორმაცია გამოითხოვა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 4 თებერვლის №SSG 8 19 00021639 წერილით სააგენტოს უცნობა, რომ დეპარტამენტს მ. ქ-ისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩინია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 5 თებერვლის №1000649708 გადაწყვეტილებით მ. ქ-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

27. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 4 თებერვლის №SSG 8 19 00021639 წერილით გათვალისწინებული დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. სწორედ ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას.

28. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გამოთხოვილი ინ-

ფორმაცია, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ხსენებული ინფორმაცია მხარეებს გააცნოს და იგი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახოს. ამასთან, საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიღლო მოსარჩელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით.

29. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ, საქმის მასალები იძლევა დავის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას და არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სახეზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, სამიქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

30. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს

სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შექება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებასას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

31. განსახილველ შემთხვევაში, მ. ქ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, მასვე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 6 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მ. ქ-ის (პასპორტის №...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 (ოთხას ორმოცდათი) ლარის ანაზღაურება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებით ადგინისტრაციული აქტების პარონორება

**სამედიცინო მომსახურებისთვის ანაზღაურებული
თანხების უკან დაპრუნების მოთხოვნისა და ჯარიმის
დაკისრების თაობაზე აქტის პარონორება**

გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ბს-254(2კ-20)

23 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „...ის“ წარმომადგენელმა 2017 წლის 26 ოქტომბერს სარ-
ჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსა-
ხურების სააგენტოს მიმართ და იმავე სააგენტოს 2017 წლის 20
აგვისტოს №61/2017 თემატური შემოწმების აქტის ბათილად ცნო-
ბა მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2018 წლის 11 სექტემბრის განჩინებით სარჩელი,
განსჯადობის წესით, განსახილველად გადაეგზავნა საჩერის რა-
ონულ სასამართლოს.

3. საჩერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის
გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილ-
და; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 აგვის-
ტოს №61/2017 თემატური შემოწმების აქტის ის ნაწილი, რომელიც
ეხება 2013 წლის 28 თებერვლიდან 2014 წლის 30 მაისამდე შემოწ-
მების პერიოდს; ასევე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათი-
ლად იქნა ცნობილი იმავე თემატური შემოწმების აქტის ის ნაწილი,
რომელიც ეხება №3 დანართის ბენეფიციართა რეესტრის თ. წ-ისა
(№666) და ე. მ-ის (№667) შემთხვევებს; სსიპ სოციალური მომსა-

ხურების სააგენტოს კი დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

4. ჰიპოთეზის ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2017 წლის 20 აგვისტოს შეადგინა შპს „...ის“ (ჭიათურის) მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე თანხმობის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ბლანკი) შევსების მდგომარეობისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №04/35163 წერილით მოთხოვნილი დოკუმენტაციის“ თემატური შემოწმების №61/2017 აქტი;

4.2. თემატური შემოწმების საფუძველი გახდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 30 მაისის №04-182/მ და 31 ივნისის №04-327/მ ბრძანებები. იმავე სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის წერილის თანახმად კი, შესამოწმებელი პერიოდი განისაზღვრა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 1 მაისამდე. შემოწმება დაწყურდა 2017 წლის 27 ივნისს და დამთავრდა 2017 წლის 20 აგვისტოს. შემოწმების აქტის შედეგენისას შემოწმებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ იხელმძღვანელა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ლონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ოქტომბრის №01/776 ბრძანებით;

4.3. ზემოაღნიშნული თემატური შემოწმების აქტით, საჯარიმი სანქციების ოდენობამ და უკან დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 44330,92 ლარი, დამატებითმა ფინანსურმა ჯარიმამ – 91778,67 ლარი;

4.4. შემოწმების აქტის მიხედვით, კლინიკას საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად მიღება-ჩაბარების აქტით მიღებული აქვს სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის 28100 ფორმა (მკაცრი აღრიცხვის ბლანკი). 2017 წლის 27 ივნისის მდგომარეობით, სამედიცინო დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილ საცავში შენახულია მოსარგებლის 355 შეუესებელი ფორმა. სამედიცინო დაწესებულებას საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამ-

ბულატორიული მომსახურების საანგარიშო ფორმაში მითითებული პეყავს 912 ბენეფიციარი (1152 ჩანაწერი) ძირითად კონტინგენტში (მათ შორის, აქტიური პაციენტის ჩანაწერების რაოდენობამ შეადგინა 118, ხოლო პასიური პაციენტის ჩანაწერების რაოდენობამ – 1034). აღნიშნულ მოსარგებლებზე მიმწოდებლის მიერ ზედმეტად მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 10191 ლარი, რაც დაექვემდებარა ბიუჯეტში აღდგენას, ხოლო ჯარიმის სახით დარიცხულ იქნა 23221,59 ლარი;

4.5. აქტის №2 დანართის შესაბამისად, ნარდგენილია ბენეფიციართა რეესტრი (1152 ჩანაწერი), სადაც ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა ბაზაში, დამატებითი კონტინგენტის ნაცვლად, დარეგისტრირებულ იყვნენ ძირითად კონტინგენტში;

4.6. შემოწმების აქტის თანხამად, შემოწმების პერიოდში 1373 შემთხვევაში (2218 ჩანაწერი) აღმოჩნდა სხვადასხვა სახის დარღვევა, მათ შორის, 142 შემთხვევაში მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზაში მოთხოვნის თვეში დარეგისტრირების თარიღი წინ უსწრებს თანხმობის ფორმის შევსების თარიღს, ასევე, 88 შემთხვევაში (141 ჩანაწერი) ბენეფიციარების დარეგისტრირების თარიღი წინ უსწრებს თანხმობის ფორმის შევსების თარიღს; 529 შემთხვევაში (933 ჩანაწერი) მკაცრი აღრიცხვის თანხმობის ფორმას არ ერთვოდა ბენეფიციარის პირადობის/დაბადების მოწმობის ასლი; 117 შემთხვევაში (168 ჩანაწერი) მკაცრი აღრიცხვის თანხმობის ფურცლები შემოწმების პერიოდში ვერ იქნა ნარდგენილი; 293 შემთხვევაში (481 ჩანაწერი) მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ფორმები გადასწორებულია; 183 შემთხვევაში (237 ჩანაწერი) ბენეფიციარები დარეგისტრირებულნი არიან მკაცრი აღრიცხვის ფორმებით, რომლებიც დაწესებულებას არ ჰქონია მიღებული მიღება-ჩაბარების აქტებით; 21 შემთხვევაში მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს ხელს აწერენ არასრულწლოვანი ბენეფიციარები. აღნიშნული დარღვევებიდან გამომდინარე, დანესხებულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას დაექვემდებარა 34139,92 ლარი, ხოლო ჯარიმის სახით დაწესებულებას დაერიცხა 68557,08 ლარი. გარდა ამისა, №3 დანართში ნარდგენილია ბენეფიციართა რეესტრი – 1373 შემთხვევა (2218 ჩანაწერი), სადაც თანხმობის ფორმები შევსებულია სხვადასხვა ხარვეზით; შემოწმების აქტის მიხედვით, 1266 შემთხვევაში (2411 ჩანაწერი) ამბულატორიული მომსახურების მოსარგებლეთა კომპონენტით უკვე დარეგისტრირებულ ბენეფიციარებზე დამატებით არის შევსებული მკაცრი აღრიცხვის თანხმობის ფორმები და მონაცემები ხელმეორედ არის შეყვანილი აღნიშნულ ბაზაში;

4.7. სამედიცინო დანესხებულებამ 2017 წლის 26 ოქტომბერს შე-

მოწმების აქტი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცი-ალური დაცვის სამინისტროში გაასაჩივრა, თუმცა სამინისტროს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით საჩივრის განხილვაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ სასამართლოში იხილებოდა საქმე იმავე მხარეებს შორის და იმავე საგანზე;

4.8. საიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის დეპარტა-მენტის მთავარმა სპეციალისტმა – ე. ხ-მა (ჯგუფის ხელმძღვანელი) პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ ჯგუფმა შეამონმა გეგმური ამბულატორიული მომსახურების მი-სალებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე თანხმობის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ბლანკი) შევსების საკითხი. აღნიშნული შემოწმების დროს გამოვლინდა დარღვევები, კერძოდ, აღრიცხვის ფორ-მაში სოფლის მაცხოვრებელი არ უნდა ყოფილიყო ძირითად კონ-ტინგენტად შეყვანილი, ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, თანხა ორ-მაგად ჩაირიცხა; მკაცრი აღრიცხვის ფორმებს აკლდა პირადობის ან დაბადების მოწმობების ასლები; რეგისტრაციის თარიღი წინ უს-წრებდა თანხმობის ფორმის თარიღს; თანხმობის ფორმის შევსე-ბის წესი დარღვეულია ან ნაწერი გადასწორებულია; ზოგიერთ შემ-თხვევაში შევსებულია ისეთი ფორმები, რომელზედაც მიღება-ჩა-ბარების აქტი დაწესებულებას არ გააჩნია; ზოგიერთ ფორმაზე და-ფიქსირებულია არასრულწლოვნის ხელმოწერა, როდესაც დაფიქ-სირებული უნდა იყოს მშობლის ან სხვა კანონიერი ნარმომადგენ-ლის ხელმოწერა. აქტში მოცემული დარღვევების გამო დაწესებუ-ლებას დაერიცხა ფინანსური სანქცია ბიუჯეტში თანხის დაბრუ-ნებითა და ჯარიმით. მოცემული აქტის შედგენისას ჯგუფმა იხელ-მდღვანელა „საყოველთა ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასა-ტარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავ-რობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით, მე-19 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

5. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრი-ვი შეფასების შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩ-ნია, რომ სადაცო აქტი 2014 წლის 30 მაისიდან 2017 წლის 30 მაისამ-დე პერიოდში, გარდა №3 დანართში არსებული ე. მ-ისა და თ. წ-ის შემთხვევებისა, შედგენილია პროგრამით გათვალისწინებული წე-სითა და სტანდარტებით. თ. წ-ისა (№666) და ე. მ-ის (№667) შემ-თხვევების მიმართ კი, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისინი წინ უს-წრებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის №01-19/6 ბრძანებაში 2014 წლის 30 ოქტომბერს ცვლილების განხორციელებას. ამასთან, მაკონტროლებელმაც დაადასტურა, რომ ხსენებული შემთხვევე-

ბი შეცდომითაა შეყვანილი აქტის №3 დანართში.

6. რაიონულმა სასამართლომ, ასევე, მიუთითა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების 15¹ მუხლის მეორე პუნქტზე, რომლის შესაბამისად, კონტროლი ხორციელდება გეგმური და არაგეგმური შემოწმების გზით. ამასთან, კონტროლის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემთხვევის დასრულებიდან 5 (ხუთ) კალენდარულ წელს. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 დადგენილებით, ხოლო 2015 წლის 26 ოქტომბრამდე არსებული რედაქციით პროგრამის მე-16 მუხლი ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 წლის განმაჭლობაში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს მიმწოდებლების მიერ განეული მომსახურების რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილება არ შეიცავდა დათქმას უკუძალის გაფრცელების შესახებ, რაც გამორიცხავს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 დადგენილებით შეტანილი ცვლილების მიმართ უკუქცევითი ძალას მინიჭების შესაძლებლობას. ამდენად, სადაც შემთხვევაში შემოწმება და პასუხისმგებლობა უნდა გავრცელდეს 2014 წლის 30 მაისამდე არსებულ პერიოდზე, ხოლო 2013 წლის 28 თებერვლიდან 2014 წლის 30 მაისამდე არსებული შემოწმება კანონთან წინააღმდეგობაშია.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სააგენტომ არ გამოიკვლია შემოწმების ხანდაზმულობის საკითხი, ასევე, არ შეაფასა ე. მ-ისა და თ. წ-ის შემთხვევები, პირველი ინსტანციის სასამართლო ჩათვალა, რომ არსებობდა სარჩევლის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

8. საჩერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „...მა“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ მომსახურების სააგენტოსა და შპს „...ის“ სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა საჩერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 აგვისტოს №61/2017 შემოწმების აქტი სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენი და დამატები-

თი ფინანსური ჯარიმის დარიცხვის ნაწილში, კერძოდ, შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტში აღსაფეხენი და დამატებით დარიცხული ფინანსური ჯარიმა შემდეგი სახით: შემოწმების აქტის 8.1 პუნქტში სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენი თანხა, ნაცვლად 44330,92 ლარისა, განისაზღვრა 44305,24 ლარით; შემოწმების აქტის 8.2 პუნქტში დამატებითი ფინანსური დარიცხული ჯარიმა – 91778,67 ლარი შემცირდა და განისაზღვრა 9177,67 ლარით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო პალატამ, ასევე, აღნიშნა, რომ თ. ნ-ისა (№666) და ე. მ-ის (№667) შემთხვევები ეხება 2014 წლის 30 ოქტომბერს, როდესაც ამოქმედებული არ იყო მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების თაობაზე ცვლილება. აქედან გამომდინარე, მაკონტროლებელმაც დაადასტურა, რომ დასახელებული შემთხვევები შეცდომით არის შეყვანილი შემოწმების აქტში.

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების 2015 წლის 26 ოქტომბრამდე არსებული რედაქციით რეგულირების სააგენტო მიმწოდებლების მიერ განეული მომსახურების რევიზიას ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში ახორციელებდა. ამდენად, პალატამ 2013 წლის 28 თებერვლიდან 2014 წლის 30 მაისამდე არსებული პერიოდის 2017 წელს შემოწმება უკანონოდ მიიჩნია.

12. სააპელაციო პალატამ, სამედიცინო დაწესებულებისთვის ფინანსური სანქციის შეფარდების საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ პირგასამტებლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც მხარეს ეკისრება იმ დროიდან, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო. პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს: ა) პირგასამტებლოს ფუნქციის, თავიდან აიცილოს ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევების სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის პრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციის, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება; ე) მოგალის მიერ გაღმდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობას. ამასთანავე, მართალია, პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და მოქმედებს სახელშეკრულებო ურ-

თიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტკებლო. სადაც შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კლინიკისთვის დარიცხული ფინანსური სანქცია ატარებდა შეუსაბამოდ მაღალ ხასიათს, რის გამოც შეამცირა იგი.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება შპს „...მა“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ საკასაციონ წესით გაასაჩივრეს.

14. კასატორი სამედიცინო დაწესებულება მიიჩნევს, რომ საქმი წარმოდგენილი მტკიცებულებებით დარღვევების არსებობა არ დასტურდება. ამასთან, შემონაბეჭილი თანხის უკან დაბრუნების საფუძვლად მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეყნისტებ, რომელიც არ წარმოადგენს მოთხოვნის საფუძვლას. არასწორად მიღებული დაფინანსების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების საფუძვლები გათვალისწინებულია იმავე დადგენილების მე-19 მუხლით, რომელზეც შემოწმების აქტში მითითება გაყეთებული არ არის.

15. შპს „...ს“ არ ეთანხმება და გაუგებრად მიიჩნევს შემმოწმებლის მითითებასა და თანხის გადაანგარიშებას, რომ კლინიკას საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიული მომსახურების საანგარიშგებო ფორმაში, 912 ბენეფიციარის (1152 ჩანაწერი) შემთხვევაში, ძირითად კონტინგენტში დარეგისტრირებული პაციენტების ფაქტობრივ მისამართად დაფიქსირებული აქსს სოფელი, რის გამოც ზედმეტად მოთხოვნილმა თანხამ 10191 ლარი შეადგინა.

16. სამედიცინო დაწესებულება მიიჩნევს, რომ დადასტურების პირობებშიც კი, მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზაში დარეგისტრების თარიღის თანხმობის ფორმის შევსების თარიღთან წინსწრება, ასევე, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების გადასწორება ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს, ხოლო ბენეფიციარის პირადობის/დაბადების მოწმობის ასლების წარუდგენლობა, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების არასრულწლოვანთა მიერ ხელმოწერა – შემთხვევის ანაზღაურებაზე ფინანსურ გავლენას არ ახდენს. ამასთან, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსწავლია, მოსარგებლებმა მიმოდებლისგან მიიღეს თუ არა სამედიცინო მომსახურება. გარდა ამისა, კონტროლის ეტაპზე ხდება დოკუმენტაციის შესწავლა და ამ შესწავლის საფუძველზე თანხის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში

კი, თუ დოკუმენტაცია ხარვეზიანია, სამედიცინო დაწესებულება უფლებამოსილია, აღმოფხვრას ეს ხარვეზი, რის შემდეგაც ყოველგარი დამატებითი ჯარიმის გარეშე მიიღებს თანხებს. განსახილველ შემთხვევაში კლინიკას პირდაპირ დაეკისრა თანხის უკან დაბრუნება და დამატებითი ფინანსური ჯარიმაც.

17. კასატორი სამედიცინო დაწესებულება, ასევე, მიუთითებს შემოწმების აქტის ჩანაწერზე, რომ 183 შემთხვევაში (237 ჩანაწერი) ბენეფიციარები დარეგისტრირებულნი არიან მკაცრი აღრიცხვის ფორმებით, რომლებიც დაწესებულებას მიღება-ჩაბარების აქტებით არ ჰქონდა მიღებული. კასატორის მოსაზრებით, მითითებული შემთხვევებისთვის სანქციის დაკისრება უსაფუძვლოა, რადგან პაციენტები რეგისტრირებულნი არიან, ხოლო მათი რეგისტრაცია განპირობებულია იმით, რომ სათანადო წესით არ იყო მიწოდებული მიღება-ჩაბარების აქტები.

18. შპს „...ის“ საკასაციო საჩივრის მიხედვით, სასამართლომ, მართალია, სწორად განმარტა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გამოყენების საკითხი, თუმცა შეცდომით მიიჩნია, რომ მხოლოდ ე. მ-ისა და თ. წ-ის შემთხვევებშია გასული შემოწმების ხანდაზმულობის ვადა.

19. კასატორი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროგრამის“ მე-3, მე-19, მე-20, 23-ე მუხლებზე მითითებით, მიიჩნევს, რომ არსებობდა ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების დავალების ყველა წინაპირობა. სათანადოდ შევსებული და გაფორმებული მკაცრი აღრიცხვის თანხმობის ფორმების არარსებობა განაპირობებს მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნებას. ასევე, ძირითადი და დამატებითი კონტინგენტის არეგაზ, განსხვავებული ტარიფების გამო, სამედიცინო დაწესებულებისთვის თანხის გაზრდილი ოდენობით ანაზღაურება გამოიწვია.

20. სააგენტოს საკასაციო საჩივრის მიხედვით, საჯარიმ სანქციების შემცირება საფრთხეს უქმნის პროგრამის არსებობას და იწვევს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას. ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს, აღნიშნული გარემოება აისახება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გამართულ ფუნქციონირებაზე.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 ივლისის განჩინებით შპს „...ისა“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივრები განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

22. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიზნევს, რომ შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

23. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადაც საკითხს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სამედიცინო დაწესებულებისთვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურებისთვის ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნისა და ჯარიმის დაკისრების კანონიერება.

24. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას ახდენს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტემბერის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც იმპერატიულად არეგულირებს შემოწმების განხორციელების ხანდაზმულობის ვადას. სწორედ ამიტომ, საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, შეუფასებს ვადების დაცულობის საკითხს, რამეთუ შემოწმების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, შემოწმება დანიშნოს ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, ხოლო კონტროლის ვადის ხანგრძლივობა განსხვავებულად რეგულირდებოდა 2015 წლის 26 ოქტომბრამდე და მას შემდეგ განხორციელებული ცვლილებებით. კერძოდ, „პროგრამის“ 2015 წლის 26 ოქტომბრამდე არსებული რედაქციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული იყო, რომ კონტროლის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემთხვევის დასრულებიდან 3 (სამ) კალენდარულ წელს; იმავე რედაქციის მე-16 მუხლის კი ადგენდა, რომ ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს მიმწოდებლების მიერ განეული მომსახურების რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. კონტროლის 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა კი პირველად გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 დადგენილებით, როდესაც „პროგრამის“¹⁵ მუხლის მეორე პუნქტით განისაზღვრა, რომ კონტროლის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემთხვევის დასრულებიდან 5 (ხუთ) კალენდარულ წელს; იმავე „პროგრამის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით კი

დადგინდა, რომ გეგმური რევიზია ტარდება ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

25. საკასაციო სასაპართლო მიუთითებს, რომ კანონმდებლობა, მართალია, სადაც სამართალურო რობისას კონტროლის ხანდაზმულობის ვადების ხანგრძლივობას განსხვავებულად არეგულირებდა 2015 წლამდე და მას შემდეგ პერიოდებში, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კონტროლის განხორციელების ვადის ათვლას ყოველთვის უკავშირებდა შემთხვევის დასრულების მომენტს. ამდენად, ხანდაზმულობის გამოსაყენებელი ვადა შემთხვევის დასრულების მომენტისთვის მოქმედი ნორმით უნდა განისაზღვროს. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, ხოლო 2015 წელს განხორციელებული ცვლილება უკუძალის თაობაზე დათქმის არ შეიცავდა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 დადგენილების ამოქმედების ვადად განისაზღვრა მისი გამოქვეყნება, შესაბამისად, იგი ეხებოდა არა წინარე პერიოდს – 2015 წლამდე დასრულებულ შემთხვევებს, არამედ 2015 წლიდან განხორციელებულ მომსახურებას. სწორედ ამიტომ, 2013 წლიდან 2015 წლის 26 ოქტომბრამდე დასრულებული ანაზღაურებული შემთხვევა შეიძლება შემონმებულიყო მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, ხოლო 2015 წლის 26 ოქტომბრიდან დასრულებული – ხუთი წლის ვადაში.

26. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ შეამონება 2013 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 1 მაისამდე პერიოდი, შემონმება კი დაიწყო 2017 წლის 27 ივნისს, იმავე სააგენტოს 2017 წლის 30 მაისის №04-182/მ ბრძანების საფუძველზე. ამდენად, შემონმებამ სადაც შემთხვევაში მოიცვა პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შემონმების ვადები განსხვავებულად რეგულირდებოდა. სწორედ ამიტომ, შემონმების დანიშნვისას სააგენტოს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა კონკრეტულ პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაცია, რომლის დარღვევაც, შემონმების სხვა ფორმალური წესების დაცვისა თუ კლინიკის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაშიც კი, აცლიდა სააგენტოს დარღვევაზე რეაგირებისა და შესაბამისი სანქციის გამოყენების უფლებამოსილებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადაც შემთხვევაში სააგენტომ შესამონმებელი პერიოდის ნაწილში დაარ-

ღვია დასახელებული ნორმები. კერძოდ, 2014 წლის 29 მაისის ჩათვლით დასრულებული შემთხვევების შემოწმება, ამავე პერიოდში მოქმედი სამნლიანი ხანდაზმულობის ვადიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დანიშნულიყო არა უგვიანეს 2017 წლის 29 მაისისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2013 წლის 28 თებერვლიდან 2014 წლის 29 მაისის ჩათვლით დასრულებული შემთხვევების შემოწმების, დარღვევების გამოვლენისა და მათზე რეაგირების უფლება 2017 წლის 30 მაისს სააგენტოს აღარ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, დასახელებული პერიოდის შემოწმება სააგენტოს 2017 წლის 30 მაისის №04-182/გ ბრძანებით მაინც დაინიშნა. ამრიგად, 2017 წლის 30 მაისისთვის სააგენტო აღარ იყო უფლებამოსილი, დაენიშნა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2014 წლის 29 მაისის ჩათვლით პერიოდის შემოწმება. შესაბამისად, დასახელებულ პერიოდთან მიმართებით სააგენტოს მიერ დარღვევების გამოვლენა და სანქციის გამოყენება უკანონოდ მიიჩნევა და სადაცო აქტები ამავე პერიოდთან მიმართებით ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, უშუალოდ საჯარიმო სანქციების გამოყენების მართლზომიერებას კი სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ 2014 წლის 30 მაისიდან 2017 წლის 1 მაისამდე პერიოდისთვის.

27. საჯარიმო სანქციების გამოყენების კანონიერების შესწავლისას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროგრამის“ მე-15 მუხლზე, რომლის პირველი პუნქტითაც, შემთხვევები კლასიფიცირებულია ორ ჯაფუფად: а) ასანაზლაურებელი შემთხვევა; б) შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზლაურებას. იმავე „პროგრამის“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციები: ა) შემთხვევების სრულ ანაზლაურებაზე უარი; ბ) უკვე ანაზლაურებული შემთხვევებისას თანხის უკან დაბრუნება; გ) დამატებითი ფინანსური ჯარიშა.

28. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შემთხვევის ანაზლაურებაზე უარის თქმის ან უკვე ანაზლაურებული შემთხვევისთვის თანხის უკან დაბრუნების დავალების კანონიერების შესწავლისას, მნიშვნელოვანია, შეფასდეს გამოვლენილი დარღვევების ფაქტობრივი შემადგენლობა და ხასიათი. სადაცო შემთხვევაში, შემოწმების აქტის მიხედვით, გამოვლენილია შემდეგი სახის დარღვევები: 1. ელინიკას საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად მიღება-ჩაბარების აქტით მიღებული აქვს სა-

მედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის 28100 ფორმა (მკაცრი აღრიცხვის ბლანკი). 2017 წლის 27 ივნისის მდგომარეობით, სამედიცინო დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილ საცავში შენახულია მოსარგებლის 355 შეუცვებელი ფორმა; 2. ბენეფიციართა ნაწილი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა ბაზაში, დამატებითი კონტინგენტის ნაცვლად, დარეგისტრირებულია ძირითად კონტინგენტი; 3. მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზაში მოთხოვნის თვეში დარეგისტრირების თარიღი წინ უსწრებს თანხმობის ფორმის შევსების თარიღს, ასევე, ბენეფიციარების დარეგისტრირების თარიღი წინ უსწრებს თანხმობის ფორმის შევსების თარიღს; 4. მკაცრი აღრიცხვის თანხმობის ფორმას არ ახლავს ბენეფიციარის პირადობის/დაბადების მოწმობის ასლი, მათი ნაწილი შემოწმების პერიოდში ვერ იქნა წარდგენილი, ხოლო ნაწილი – გადასწორებულია; 5. ბენეფიციარები დარეგისტრირებული არიან მკაცრი აღრიცხვის ფორმებით, რომელებიც დაწესებულებას არ აქვს მიღებული მიღება-ჩაბარების აქტებით; 6. აღრიცხვის დოკუმენტს ხელს აწერენ არასრულწლოვანი ბენეფიციარები; 7. შემოწმების აქტის მიხედვით, 1266 შემთხვევაში ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა კომპონენტით უკვე დარეგისტრირებულ ბენეფიციარებზე დამატებით არის შევსებული მკაცრი აღრიცხვის თანხმობის ფორმები და მონაცემები ხელმეორედ არის შეყვანილი აღნიშნულ ბაზაში.

29. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამედიცინო დაწესებულებამ სწორად უნდა აწარმოოს სამედიცინო დოკუმენტაცია და სააგნენტოს უნდა მიაწოდოს რეალური ინფორმაცია განეული მომსახურების შესახებ, აღნიშნული ვალდებულების დარღვევა კი კლინიკისთვის თანხის ახაზღაურებაზე უარის თქმის ან უკვე ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების დავალების წინაპირობა შეიძლება გახდეს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის ფინანსური გარანტიების შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა. სწორედ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ პროგრამის სრულყოფილად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, როგორც პაციენტების უფლებების გარანტიირებულობისთვის, ისე სამედიცინო დაწესებულებათა უფლებების არაპროპორციულად შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სა-

მედიცინო დაწესებულებათა მიმართ განხორციელდეს სათანადო კონტროლი, ხოლო გამოვლენილი დარღვევები შეფასდეს კანონი-ერად და ადეკვატურად. როდესაც დარღვევა ეხება დოკუმენტა-ციის არასათანადოდ შევსებას, ან როდესაც სააგენტო მიუთითებს სამედიცინო დოკუმენტაციაში დიაგნოზის არასწორად დაფიქსი-რებაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ იქნეს განეული მომსახურების რეალური სახე, დოკუმენტებში დაფიქსი-რებული სამედიცინო ჩვენება და სააგენტოსთვის მიწოდებულ ინ-ფორმაციაში ასახული ჩარევის სახე, ასევე, გათვალისწინებულ უნ-და იქნეს შეუსაბამობის ხასიათი და ხარისხი, უნდა გამოირიცხოს მხოლოდ მექანიკური შეცდომის არსებობის გამო სამედიცინო და-წესებულებისთვის თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმა თუ ანაზ-ღაურებელი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა.

30. საკასაციო პალატა, სადაცო შემთხვევაში გამოვლენილი დარღვევების შემადგენლობაზე მითითებით, მიიჩნევს, რომ გამოვ-ლენილია ძირითადად ტექნიკური ხასიათის დარღვევები, ხოლო სა-მედიცინო დაწესებულების მიერ ბენეფიციარებისთვის სამედიცი-ნო მომსახურების არასათანადოდ განევის, ან მომსახურების გა-ნევაზე უარის თქმის შემთხვევები არ არის გამოვლენილი, **არ დას-ტურდება, რომ ტექნიკურ ხარვეზებს მოჰყვა სამედიცინო და-წესებულებისთვის დაკისრებული უმთავრესი მოვალეობის – პა-ციენტთა მდგომარეობაზე სათანადო რეაგირების დარღვევა,** არ დასტურდება ისეთი ზიანის არსებობა, რასაც შედეგად აუცი-ლებლად უნდა მოჰყოლოდა სამედიცინო დაწესებულების სანქცი-რება. გარდა ამისა, კონტროლის ეტაპზე სამედიცინო დაწესებუ-ლებას არ მისცემია კონკრეტული მითითებები ხარვეზის გამოსას-წორებლად. საგულისხმოა, რომ მსგავსი დარღვევების გამოვლე-ნის გამო დაწესებულების სანქცირება უსაფუძვლოდ იქნა შეფა-სებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 მაისის №ბს-671(კ-19) განჩი-ნებითაც.

31. უშუალოდ მკაცრი აღრიცხვის თანხმობის ფორმების სათა-ნადოდ წარმოების საკითხთან მიმართებით კი, საკასაციო პალატა აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2013 წლის 26 თე-ბერვალს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს №04-69/ო ბრძანებით დამტკიცდა „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა რეგისტრაციისათვის საჭირო თან-ხმობის ფორმა და მისი შეესების წესი“, მეცნი აღრიცხვის ფორ-მების წარმოების წესების დარღვევის გამო სანქცია კანონმდებ-ლობით პირველად გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ 2017 წლის 27

იანვრიდან, როდესაც ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ და „პროგრამის“ მე-19 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე: ა) ბენეფიციარის რეგისტრაციის (მ.შ., მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების) წესების დარღვევის გამო, საჯარიმო სანქციების ოდენობა ანაზღაურებულ შემთხვევებზე განისაზღვრება ამ ბენეფიციარზე დარღვევით რეგისტრაციის მთელ პერიოდში ანაზღაურებული თანხის ორმაგი ოდენობით; ხოლო ასანაზღაურებელი შემთხვევების დროს - პროგრამით გათვალისწინებული თანხის ორმაგი ოდენობით; ბ) სხვა სახის დარღვევების შემთხვევაში (გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა), საჯარიმო სანქციის ოდენობა განისაზღვრება სარევიზიო/საკონტროლო პერიოდში ანაზღაურებული თანხის 2%-ით, თითოეული (ყოველი) იმ სახის დარღვევის გამოვლენისათვის, რომლებიც განსაზღვრულია ამ მუხლის საჯარიმო სანქციებით; გ) ინდივიდუალური შემთხვევების კონტროლის/რევიზიისას საჯარიმო სანქციის ოდენობა შეადგენს დარღვევის არსებობის თვეში (თვეებში) მიმწოდებლისათვის ანაზღაურებული თანხის 2%-ს, თითოეული (ყოველი) იმ სახის დარღვევის გამოვლენისათვის, რომლებიც განსაზღვრულია ამ მუხლის საჯარიმო სანქციებით. ამასთან, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის/ფორმის წარმოების წესების დარღვევის დეტალური აღწერა, იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ მკაცრი აღრიცხვის ფორმა უნდა შეივსოს სრულყოფილად, დაუშვებელია მასში ჩანაწერის წაშლა, ჩასწორება ან მოშორება კორექტორის დახმარებით, განხორციელდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის №01-19/6 ბრძანებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბილატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში“ 2017 წლის 2 აგვისტოს შეტანილი ცვლილებით. ამრიგად, „2013 წლიდან არსებობდა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოების ზოგადი წესები – სანქციის გარეშე. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით 2017 წლის იანვრიდან განისაზღვრა საჯარიმო სანქცია მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევისათვის, თუმცა განჭვრეტადი დისპოზიცია, თუ კონკრეტულად რა წესის დარ-

ლვევა ითვლებოდა სანქციის საფუძვლად არ იყო განსაზღვრული... საჯარიმო სანქციის გამოყენების საფუძვლებზე მიმთოთებელი, განჭვრეტადი და პირდაპირ განსაზღვრული ნორმა 2017 წლის 3 აგვისტოდან ამოქმედდა, რაც შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების საწყის პერიოდად უნდა იქნეს მიჩნეული“ (საქართველოს უზენაში სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 ივნისის №ბს-73(კ-20) განჩინება). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მითითებული ნორმების, პასუხისმგებლობის დაკისრების მარეგულირებელი ნორმების ამოქმედების პერიოდს და შპს „...ს“ შემოწმების პერიოდის მხედველობაში მიღებით, მიიჩნევს, რომ კლინიკას სანქცია არ უნდა დაკისრებოდა მკაცრი აღრიცხვის ფორმების არასათანადოდ წარმოებისთვის.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დავა არ არის სწორად გადაწყვეტილი, ვინაიდან წარმოდგენილი სარჩელი არის საფუძვლიანი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 აგვისტოს №61/2017 თემატური შემოწმების აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის გათვალისწინებით, არსებობს სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სრულად ბათილად ცნობის წინაპირობები. ამდენად, უნდა გაუქმდეს საპერაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც წარმოდგენილი სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება.

33. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაზილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

34. განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილია სახელ-

მწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. ამასთან, სააგენტოს სამედიცინო დაწესებულების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ დ ვ ი ს ტ ა:

1. შპს „...სის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაემაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს „...სის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 აგვისტოს „გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე თანხმობის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ბლანკი) შევსების მდგომარეობისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №04/35163 წერილით მოთხოვნილი დოკუმენტაციის“ ოფიციური შემოწმების №61/2017 აქტი;
6. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ს/ნ 202178927) შპს „...სის“ (ს/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდათი) ლარის ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამედიცინო დაწესებულებისათვის საევაკუაციო
გასასვლელის მოყენებისა და სიგნალიზაციის
დამოწერაზე დავალების თაობაზე მიწოდილობის
კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-146(კ-20)

18 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „...ამ“ 2017 წლის 15 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (უფლებამონაც-
ვლე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო
საქვეუწყებო დანერებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახური) მიმართ და მოითხოვა ამავე სააგენტოს 2017 წლის 1
ივნისის №23/8/4-193 მიწერილობისა და სააგენტოს დირექტორის
2017 წლის 15 აგვისტოს №85 ბრძანების ბათილად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩე-
ლი არ დატემაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენი-
ლად მიიჩნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ თბილის-
ში, ...ის ქ.ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრეს წარმოად-
გეს შპს „...ა“;

3.2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდი-
ული პირების რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ შპს „...ა“
წარმოადგენს რეგისტრირებულ სუბიექტს და მისი დირექტორია გ.
გ-ი;

3.3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ 2014 წლის 1 სექტემბერს შპს „....ის“ სახელზე (მისამართი – თბილისი, ...ის ქ.) (ნაკვეთი №...)) გასცა სტაციონარული დაწესებულების საქმიანობის ნებართვა. მითითებული ნებართვის დანართებით დგინდება, რომ შპს „....ას“ შეეძლო, განეხორციელებინა სამედიცინო საქმიანობის შემდეგი სახეები: რეანიმაცია, სამეცნო-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა - გინეკოლოგია, ქირურგიული პროფილის საქმიანობა, ონკოლოგია, რადიოლოგიური საქმიანობა – რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა, ინტერვენციული კარდიოლოგია;

3.4. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თბილის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სახანძრო-სამაშველო სამსახურის სახელმწიფო ზედამხედველობის განყოფილების ნარმომადგენელმა, ამავე სამსახურის უფროსის 2017 წლის 1 ივნისის №193 განკარგულების საფუძველზე, ჩაატარა თბილისში, ...ის ქ.ში მდებარე, შპს „....ის“ შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება;

3.5. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მიწრილობით, შემოწმების დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, შპს „....ას“ დაევალა განსაზღვრულ ვადაში, სავალდებულოდ, შეესრულებინა შემდეგი ღონისძიებები: 1. 2017 წლის 1 აგვისტომდე – კლინიკის თანამშრომლებისთვის ჩაეტარებინა სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით; 2. 2017 წლის 1 ოქტომბრამდე – შეეკეთებინა და უზრუნველეყყო კლინიკის შენობა-ნაგებობებში სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებელი სისტემის გამართული მუშაობა; 3. 2017 წლის 1 სექტემბრამდე – არსებული ცეცხლმაქრები გადაემუხტა; 4. 2017 წლის 1 ოქტომბრამდე – კლინიკის მთელი შენობისათვის შეედგინა ევაკუაციის გეგმები, ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართის – „ევაკუაციის გეგმის შედგენის წესის“ მოთხოვნების მიხედვით; 5. 2018 წლის 1 ივნისამდე – დაემოწაჟუბებინა სახანძრო ავტომატური სიგნალიზაცია კლინიკის სხვენსა და სარდაფში; 6. 2017 წლის 1 ნოემბრამდე – კლინიკის შენობა-ნაგებობების სხვენის კონსტრუქციები დაემუშავებინა ცეცხლგამძლე ხსნარით; 7. 2018 წლის 1 მარტამდე – კლინიკის შენობის ორივე სართულისათვის მოეწყო საევაკუაციო გასასვლელი; 8. 2017 წლის 1 დეკემბრამდე – კლინიკის შენობაში არსებული უანგბადის ბალონები გაეტანა შენობის გარეთ და განეთავსებინა უწვეველთან, ფანჯრისა და კარების ღიობიდან არანაკლებ 4 მეტრის მანძილზე მოწყობილ კარადაში ან უწვი მასალის

ერთსართულიან მინაშენში; 9. 2017 წლის 1 აგვისტომდე – კლინიკის შენობის სხვენიდან და სარდაფიდან გაეტანა წვადი სამშენებლო ნარჩენები;

3.6. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მიწერილობა შესასრულებლად მიიღო გ. გ-მა, 2017 წლის 14 ივნისს;

3.7. სამედიცინო დაწესებულებამ 2017 წლის 14 ივლისს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მიწერილობა ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა მისი ნაწილობრივ ბათილად ცნობა. კლინიკამ 2017 წლის 14 აგვისტოს განცხადებით დამატებით წარადგინა ხანძარ-საწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის უურნალები და ფოტო-მასალა, რომლებითაც დასტურდება, რომ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი 2015 წლის 14-20 ოქტომბერს ჩაუტარდა კლინიკაში დასაქმებულ 44 პირს და 2016 წლის 15-18 დეკემბერს – 18 პირს;

3.8. შპს „...ის“ 2017 წლის 14 ივლისის საჩივართან დაკავშირებით, 2017 წლის 9 აგვისტოს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;

3.9. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 15 აგვისტოს №85 ბრძანებით შპს „...ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

4. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 48-ე, 50-ე მუხლებზე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების“ მე-3, მე-5, მე-11, მე-13, 24-ე მუხლებზე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებულ „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტზე.

5. დასახელებულ ნორმათა საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩევის მითითება, რომ ნორმატიული აქტების მოქმედება არ ვრცელდება 2015 წლის 23 ივლისამდე აშენებულ შენობა-ნაგებობებზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა არა კონკრეტული კანონმდებლობის მოქმედების პერიოდში, არამედ მუდმივად, როგორც ობიექტის უშუალოდ მშენებლობის პროცესში, ასევე, ამ ობიექტის არსებობის დროსაც. სახანძრო მოთხოვნები უნდა დაიცვას ყველა ადამიანმა და მით უმეტეს, სა-

მედიცინო დაწესებულების მესაკუთრემ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს იქ დასაქმებული პირებისა და იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომელთა ჯანმრთელობასაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ასეთი დაწესებულებების მიმართ მაღალი სტანდარტების დაწესება და კანონმდებლობის მეტი სიზუსტით შესრულების მოთხოვნა არ წარმოადგენს მათი უფლებების დარღვევას.

თუკი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების დროს შენობა-ნაგებობა არსებული სახით არ შეესაბამება სახანძრო მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, იგი აშენებულია თუ არა მშენებლობის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრე ვალდებულია, გამოასწოროს გამოვლენილი დარღვევები, მათ შორის, ობიექტის რეკონსტრუქციის გზით და სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს უსაფრთხოების ნორმებთან, რათა უზრუნველყოს იქ მყოფ პირთა უსაფრთხოების დაცვა. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებითაც დადგინდებოდა გასაჩივრებულ მიწერილობაში მითითებული დარღვევების უშუალოდ შემოწმების დროს არარსებობის ფაქტი. კონკრეტულ მისამართზე სამედიცინო საქმიანობის ნებართვის გაცემა ავტომატურად არ გულისხმობს კლინიკის მიერ ამ ობიექტზე სახანძრო უსაფრთხოების წესების ზედმინევნით დაცვას. მოსარჩევე კი დარღვევების ნაწილის გამოსწორების მიზანშეუწონლობას ფინანსური ხარჯებითა და შენობა-ნაგებობების ვიზუალურად დამახინჯებით ხსნის.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიწერილობა კანონიერად მიიჩნია. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-3 ნაწილის, 185-ე, 201-ე მუხლების საფუძველზე, კანონიერად იქნა მიჩნეული „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 15 აგვისტოს №85 ბრძანებაც.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება შპს „...ამ“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018

წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მიწერილობის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტები.

10. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, კერძოდ, პალატამ მიუთითა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონზე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №370 დადგენილებით დამტკიცებულ „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტზე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №371 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ დებულებაზე და აღნიშნული ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე, სარჩელი ნაწილობრივ საფუძვლიანად და დასაბუთებულად მიიჩნია.

11. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 სადაც მიწერილობის შედგენის შემდგომ, 2017 წლის 14 აგვისტოს კლინიკამ წარადგინა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის უურნალები და ფოტომასალა. ადმინისტრაციულმა ორგანომ კი დაადასტურა სწავლების ჩატარების ფაქტი. შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...ის“ თანამშრომლებს ჩაუტარდათ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით.

12. რაც შეეხება სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მიწერილობაში მითითებულ გარემოებას, რომ უნდა გადამუხტულიყო არსებული ცეცხლმაქრები და კლინიკის მთელი შენობისათვის შედგენილიყო ევაკუაციის გეგმები, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ფოტომასალასა და „ფაქტების კონსტანტაციის შესახებ“ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2019 წლის 20 თებერვლის №F19000213 ოქმზე და დადგენილად მიიჩნია, რომ კლინიკაში საევაკუაციო გასასვლელებთან გამოკრულია ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა, არსებული ცეცხლმაქრები კი გადამუხტულია. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, მართალია, საქმეში წარმოდგენილი ფოტომასალით ცეცხლმაქრების გადამუხტვის თარიღად მითითებულია 2018 წლის 13 დეკემბერი, თუმცა აღმინისტრაციულმა ორგანომ ვერ წარმოადგინა მტკაცებულება, რომ სადაც პერიოდში საევაკუაციო გასასვლელებთან არ ყოფილა გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგ-

მა და შემოწმების დროს ცეცლმაქრები არ ყოფილა გადამუხტული.

13. კლინიკის სხვენსა და სარდაცვში სახანძრო ავტომატური სიგნალიზაციის დამონტაჟების მოთხოვნასთან დაკავშირებით, საპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „დებულების“ მე-11, 24-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი წესების გავრცელებისთვის, შენობა დაპროექტებული და აშენებული უნდა იყოს 2015 წლის 23 ივლისის შემდეგ, ექსპლუატაცია აშენა და პირდაპირ საფრთხეს უნდა უქმნიდეს ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას და დებულებების შესრულებით არ უნდა იქნეს გამოწვეული მშენებლობის, რეკონსტრუქციის და დემონტაჟის ჩატარების აუცილებლობა, სხვა შემთხვევაში ახალ რეგულაციებს უკუძალა არ აქვთ. საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე კი, პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ კლინიკა დაპროექტებული და აშენებულია 2014 წელს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თუერ შენობა ქმნიდა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის პირდაპირ და აშენა საფრთხეს, შენობაზე მშენებლობის ნებართვა არ/ვერ გაიცემოდა, ასევე, არ გაიცემოდა ექსპლუატაციის ნებართვა და შესაბამისად ვერ/არ გაიცემოდა სამედიცინო საქმიანობის ნებართვები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ სახანძრო უსაფრთხოების ახალი წესები ვერ გავრცელდებოდა.

14. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2019 წლის 20 თებერვლის №F19000213 ოქმზე, რომელიც შეეხება კლინიკის საევაკუაციო გასასვლელის არსებობის ფაქტის კონსტანტაციას. გარდა ამისა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 20 მარტის საინჟინრო ექსპერტიზის №001890819 დასკვნით დგინდება კლინიკის შენობაში, ორივე სართულზე საევაკუაციო გასასვლელის არსებობა. ექსპერტიზისთვის დამატებით წარდგენილ იქნა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სანებართვო მოწმობები, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილება, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №16/142954 ბრძანება. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ შენობა წარმოადგენს სამსართულიან კაპიტალურ ნაგებობას, რომელსაც გააჩნია ორი შესასვლელი/გასასვლელი, ერთი შესასვლელი/გასასვლელი წარმოადგენს ცენტრალურს და მოწყობილია ეზოს ცენტრალური შესასვლელიდან შენობის მე-

ორე სართულზე, ხოლო მეორე შესასვლელი/გასასვლელი განთავ-სებულია შენობის ეზოს გვერდით, პირველ სართულზე, შენობას გააჩნია ორი დამოუკიდებელი კიბე, რომლებითაც ხდება როგორც სართულებთან, ისე ერთმანეთთან გამავალ დერეფნებთან და ოთა-ხებთან დაქავშირება, ამასთან, შენობას მეორე სართულზე გააჩ-ნია ტერასაზე გასასვლელი, შენობის ყველა სართულზე ეკედლზე მოწყობილია საევაკუაციო გეგმის აღმნიშვნელი ბანერები. შენო-ბის სართულებს გააჩნია საევაკუაციო გასასვლელი. დასკვნას თან ერთვის ფოტომასალა.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამარ-თლომ ბათილად ცნო სისიპ საგანგებო სიტუაციების მართვის საა-გენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8-4/193 მიწერილობის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტები. შესაბამისად, პალატამ უკანო-ნოდ მიიჩნია „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უა-რის თქმის შესახებ“ სისიპ საგანგებო სიტუაციების მართვის საა-გენტოს დირექტორის 2017 წლის 15 აგვისტოს №85 ბრძანებაც.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საკა-საციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-ტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საგანგებო სი-ტუაციების მართვის სამსახურმა, რომელმაც სარჩელის დაკმაყო-ფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გა-დაწყვეტილება სამედიცინო დაწესებულებას არ გაუსაჩივრებია და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალა-ში.

17. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლა-მენტი“ არ ვრცელდება მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, რომლებიც სსენებული დადგენილების ამოქმედებამდე „არსებულა სახანძრო უსაფრთხოების წესების შესაბამისად არის აშენებული“. თუკი შე-ნობა აშენებულია დადგენილების ამოქმედებამდე, თავდაპირვე-ლად უნდა განისაზღვროს, შეესაბამება თუ არა იგი სადაცო პერი-ოდში მოქმედ სახანძრო უსაფრთხოების წესებს და თუ ეს წესები დარღვეულია, უნდა შეფასდეს, დადგენილების ობიექტის მიმართ გავრცელება გამოიწვევს თუ არა მშენებლობას, რეკონსტრუქცი-ას ან დემონტაჟს.

18. საკასაციო საჩივრის თანახმად, კლინიკის მშენებლობის ნე-ბართვა გაიცა რამდენჯერმე, კერძოდ, მართალია, პირველი მშე-

ნებლობის ნებართვა გაიცა 2014 წლის 27 აგვისტოს, თუმცა ახალი მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2016 წლის 3 თებერვალს, ე.ი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილების ამოქმედების შემდეგ. ამასთანავე, განხორციელებული შემოწმება გამომდინარეობს სახანძრო უსაფრთხოების სფეროდან და დაკავშირებული არ არის სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გაცემასთან, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო არ არის სადაც საკითხის შეფასებასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

19. კასატორი აღნიშნავს, რომ შემოწმების პროცესში კლინიკაშ ვერ წარადგინა თანამშრომლებისთვის სწავლების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გადასამუხტი იყო ცეცხლმაქრები და ევაკუაციის გეგმა შესაბამისობაში იყო მოსაყვანი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან. საჩივრის განხილვის ეტაპზე დასაქმებულთა სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა და შემდგომში ცეცხლმაქრების დამუხტვა კი არ შეიძლება სადაც მიწერილობის გაუქმების წინაპირობა გახდეს, რადგან ხსნებული დარღვევები არსებობდა აქტის მომზადებისა და გამოცემის დროს. გარდა ამისა, საევაკუაციო გეგმის არსებობა არ გამორიცხავს დარღვევის არსებობას, ვინაიდან შეფასებული არ არის გეგმის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილულ იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

21. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადაც საკითხს წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებისთვის 2015 წლიდან მოქმედი სახანძრო უსაფ-

რთხოების წესების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების დავალების კანონიერება. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მხოლოდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის ფარგლებში უზენაესმა სასამართლომ უნდა შეაფასოს სარჩელის მხოლოდ დაკამაყოფილებული ნაწილის – მიწერილობის ბათილად ცნობილი პუნქტების კანონიერება.

23. საკასაციო სასამართლო მიუთითებს 2018 წლის პირველ აგვისტომდე მოქმედი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო უსაფრთხოება არის დაცვითი და უსაფრთხოების ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც სახანძრო უსაფრთხოებასაც მოიცავს. იმავე მუხლის 37-ე პუნქტის თანახმად, სახანძრო უსაფრთხოება გულისხმობს ფიზიკური პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტისა და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან დაცვას, ხოლო 42-ე პუნქტის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები არის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, სოციალური ან/და ტექნიკური ხასიათის სპეციალური პირობები. ამრიგად, სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა სამოქალაქო უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილს ნარმოადგენს, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება კი, კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 51-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნარმოადგენს მოსახლეობის, მეზარმე სუბიექტებისა თუ არასამენარმეო იურიდიული პირების ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების წინაპირობას ქმნის, კერძოდ, დასახელებული კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში გასცეს სათანადო მიწერილობა გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის ან მათი შესრულების თაობაზე. მიწერილობის შესრულება, კანონის 27-ე და 51-ე მუხლებიდან გამომდინარე, სავალდებულოა.

24. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკი-

ცებულ „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულებაზე“, რომელიც ანესრიგებს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების წესებსა და პირობებს. „დებულების“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო ინსაცექტორის მიერ დგება ობიექტის თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის შესასრულებლად სავალდებულო სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიების, რომელიც მიწერილობის სახით ეგზავნება (ბარდება) კონტროლის ობიექტს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის ორგანოს სახელით. ამრიგად, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უფლებამოსილ პირს შეუძლია, შეამოწმოს ობიექტი და შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში წარუდგინოს დამრღვევს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობა.

25. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს „დებულების“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, მიწერილობის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შენობებსა და ნაგებობებზე, რომლებიც დაპროექტებულია და აშენებულია მათი დაპროექტების და შენებლობის პერიოდში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების ან/და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, არ ვრცელდება ახალი სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების ან/და სტანდარტების ის მოთხოვნები, რომელთა შესრულება იწვევს შენობებსა და ნაგებობებში მშენებლობის, რეკონსტრუქციის, დემონტაჟის ჩატარების აუცილებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული შენობების და ნაგებობების არსებულ პირობებში შემდგომი ექსპლუატაცია აშკარა და პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას.

26. საკასაციო პალატა, ასევე, მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებულ „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტზე, რომლის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არსებულ შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც დაპროექტებულია და აშენებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, არ ვრცელდება წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტის იმ დებულებების მოთხოვნები, რომელთა შესრულება იწვევს შე-

ნობა-ნაგებობებში „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 2009 წლის 24 მარტის №57 საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრული მშენებლობის, რეკონსტრუქციის და დემონტაჟის ჩატარების აუცილებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული შენობა-ნაგებობების არსებულ პირობებში შემდგომი ექსპლუატაცია აშკარა და პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას.

27. ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახანძრო უსაფრთხოების მოქმედი წესების დარღვევის გამოვლენა მიწერილობის შედგენის უპირობო საფუძველს არ წარმოადგენს. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში უფლებამოსილმა პირმა უნდა გამოიკვლიოს და გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1. შენობის დაპროექტებისა და აშენების პერიოდი (2015 წლის 23 ივლისამდეა ობიექტი აშენებული თუ შემდგომ); 2. თუკი შენობა აშენებული და დაპროექტებულია 2015 წლის 23 ივლისამდე, უნდა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა შენობა მისი აშენებისას მოქმედ და არა დღეის მდგომარეობით არსებულ კანონმდებლობას; 3. 2015 წლამდე აშენებული შენობის მისი მშენებლობისას მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა გამორიცხავს ობიექტის მიმართ მშენებლობის/რეკონსტრუქციის/დემონტაჟის განხორციელების აუცილებლობის წარმომშობი ახალი სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების გავრცელებას; 4. გამონაკლისი დასახელებული ზოგადი წესიდან არის შემთხვევა, როდესაც ასეთი შენობა-ნაგებობის არსებულ პირობებში შემდგომი ექსპლუატაცია აშკარა, პირდაპირ საფრთხეს უქმნის პირის უფლებებს – სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას, ასეთ დროს უპირატესობა სწორედ ჩამოთვლილ უფლებებს უნდა მიენიჭოს. ამრიგად, 2015 წლის 23 ივლისის დადგენილებების გამოყენებისთვის ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შესინავლოს შენობის აშენების პერიოდი და მისი შესაბამისობა აშენებისას მოქმედ ნორმატიულ აქტებთან, შეაფასოს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისთვის საჭირო ქმედებების განხორციელების შედეგები და ობიექტის არსებული მდგომარეობით დატოვების საფრთხეები.

28. განსახილველ შემთხვევაში, შპს „...ის“ ობიექტის დაპროექტებისა და აშენების პერიოდის დადგენის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საქმეში წარმოდგენილია სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება თბილისში, ...ის ქ.ში მდებარე მინის ნაკვეთზე საავადმყოფოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და

მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ. მშენებლობის ვადა კი განისაზღვრა 2014 წლის 28 აგვისტოდან 2014 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით. 2014 წელსვე, იმავე მისამართზე სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემულია სამედიცინო საქმიანობის განხორციელების ნებართვები. ამასთან, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 3 თებერვლის ბრძანებით, თბილისში, ...ის ქ.ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საავადმყოფოს მშენებლობის მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. ამრიგად, მშენებლობის ნებართვების 2014 და 2016 წლებში გაცემიდან გამომდინარე, გამოსაკვლევია თითოეული აქტის საფუძველზე რა სამშენებლო მოქმედებები განახორციელა სამედიცინო დაწესებულებამ და შესაფასებელია მათი სწორედ ობიექტის აშენების მომენტისთვის მოქმედ სახანძრო უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობა. თუკი ობიექტი აშენებულია 2015 წლის შემდგომ, ან აშენებულია 2015 წლამდე, მაგრამ აშენების მომენტისთვის მოქმედი წესების დარღვევით, კასატორი უფლებამოსილი იქნება, გამოიყენოს სახანძრო უსაფრთხოების ახალი წესები. შენობის 2015 წლის 23 ივლისამდე, იმავე პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აშენების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კი, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეაფასოს მიწერილობის შესრულება ინვევს თუ არა ობიექტის მშენებლობას/დემონტაჟს/რეკონსტრუქციას, რაც გამორიცხავს 2015 წლიდან მოქმედი დადგენილებების გამოყენებას. აღნიშნული გარემოების გამოკვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწერილობის იმ პუნქტების კანონიერების შეფასებისას, რომლებითაც სამედიცინო დაწესებულებას საევაუზაფირ გასასვლელების მოწყობა და სიგნალიზაციის დამონტაჟება დაევალა. ამასთანავე, გამონაკლისის სახით, თუ შენობა შეიცავს საფრთხეს პირის ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლისთვის, საკუთრებისთვის, სახანძრო უსაფრთხოების ახალი წესები გამოყენებულ უნდა იქნეს. მსგავსს საფრთხეების არსებობის საკითხის შეფასებისას კი, გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩევე წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს და კლინიკაში შესაძლებელია იმყოფებოდნენ ჯანმრთელობის პროცედურების მქონე პაციენტები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას, დაცვასა და დახმარებას საჭიროებენ. შესაბამისად, სახანძრო წესები უნდა იყოს იმგვარად დაცული, რომ სახანძრის შემთხვევაში, პაციენტების დროულად გადაადგილებასა ან შენობიდან გაყვანას უზრუნველყოფდეს.

29. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გა-

რემოვებები ადმინისტრაციული წარმოების დროს სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული არ ყოფილა, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები სადავო საკითხის სასამართლოს მიერ დაგენის შესაძლებლობას არ იძლევა. სწორედ ამიტომ, კასატორმა, როგორც შესაბამისი უფლება-მოვალეობების მქონე სუბიექტმა, უნდა უზრუნველყოს საკითხის შემდგომი შესწავლა, სრულყოფილად გამოკვლევა და სათანადოდ შეფასება, რათა ზუსტად განსაზღვროს გამოსაყენებელი კანონმდებლობა.

30. ვინაიდან შესაძლებელია, სამომავლო გამოკვლევის შემდგომ, დადასტურდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 და №371 დადგენილებების გამოყენების უფლებამოსილება, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, დამატებით ყურადღება გაამახვილოს გამოვლენილი დარღვევების ფაქტობრივ შემადგენლობაზეც.

31. საკასაციო პალატა მიუთითებს 2018 წლის პირველ ავგისტობრივ მოქმედი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მენარმე სუბიექტები და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ვალდებული არიან, უზრუნველყონ თავიანთი თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება დადგენილი წესის შესაბამისად. განსახილველ შემთხვევაში, კლინიკას დაევალა 2017 წლის 1 აგვისტომდე თანამშრომლებისთვის ჩატარებინა სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით. ამასთან, დადგენილია, რომ კლინიკამ 2017 წლის 14 აგვისტოს ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის უურნალები და ფოტომასალა, რომლებითაც დასტურდება, რომ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი 2015 წლის 14-20 ოქტომბერს ჩაუტარდა კლინიკაში დასაქმებულ 44 პირს და 2016 წლის 15-18 დეკემბერს – 18 პირს. მართალია, მტკიცებულებები სამედიცინო დაწესებულებაზ წარადგინა მიწერილობის შედგენის შემდგომ, მაგრამ ვიზაიდან წარდგენილი დოკუმენტაცია მიეკუთვნება მიწერილობამდე არსებულ პერიოდს, შესამონმებელია, ჩაუტარდა თუ არა ინსტრუქტაჟი იქ დასაქმებულ ყველა პირს, ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად, რაც მიწერილობის სადავო პუნქტის ბათილად ცნობის საფუძველს შექმნის.

32. რაც შეეხება ცეცხლმაქრების გადამუხტვის, ევაკუაციის გეგმის შედგენისა და ორივე სართულისთვის საეგაეუაციო გასასვლელების მოწყობის დავალებას, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნი-

კურირებლამენტის „მე-14 მუხლით განსაზღვრულია ობიექტის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით უზრუნველყოფის ვალებულება; მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის თანხმად, ადამიანთა მასობრივი თავშეყრის (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და უშუალოდ პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებისა) და სართულზე 10 და მეტი ადამიანის სამუშაო ადგილის მქონე ობიექტებში, ასევე შენობებში, რომლებშიც მუდმივად იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ყველა სართულზე საევაკუაციო გასასვლელებთან უნდა იქნეს გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა; მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი, საევაკუაციო გზების და გასასვლელების ექსპლუატაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საევაკუაციო გზების და გასასვლელების რაოდენობის, ზომების, განათების და გეგმარებით-მოცულობითი გადაწყვეტის დაცვა, აგრეთვე ამ გზებზე სახანძრო უსაფრთხოების ნიშნების არსებობა.

33. სადაც შემთხვევაში, როგორც სააპელაციო პალატამ, ფოტომასალის, „ფაქტების კონსტანტაციის შესახებ“ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2019 წლის 20 თებერვლის №F19000213 ოქმისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელმობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 20 მარტის №001890819 დასკვნის საფუძველზე, დაადგინა, დღეის მდგომარეობით, კლინიკაში საევაკუაციო გასასვლელებთან გამოკრულია ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა; არსებული ცეცხლმაქრები გადამუხტულია; კლინიკის შენობაში, ორივე სართულზე არსებობს საევაკუაციო გასასვლელი. ამრიგად, შესაფასებელა, როდის მოხდა განსახილველი დარღვევების აღმოფხვრა, ასევე, რამდენად მიზანშეწონილია დღეის მდგომარეობით სამედიცინო დაწესებულებებისთვის იმავე ქმედებების განხორციელების დავალება.

34. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 411-ე მუხლის თანახმად, არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ნინაპირობები.

35. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსი-

ლია სადაცო საკითხების გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შე-ფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტი-ლებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადა-უდებელი კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, სადაცო საკითხის გა-დაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ში-ნაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მარ-თვის სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მიწერილობის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტები და დაევალოს საქარ-თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყე-ბო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკ-ვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახა-ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-მოცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმავე კოდექსის 32-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ბათილად უნდა იქნეს ცნო-ბილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგე-ბო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 15 აგვისტოს №85 ბრძანება 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მიწე-რილობის პირველ, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტებთან მიმართება-ში, ვინაიდან ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს/თანამდებობის პირს წარმოეშვება სა-კითხის კიდევ უფრო სრულად და დეტალურად შესწავლის ვალდე-ბულება, რაც განსახილველ შემთხვევაში ჯეროვნად არ შესრულე-ბულა.

36. რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის განანილებას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნა-წილის მიხედვით, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აა-ნაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილე-ბის გამოტანის შემთხვევაშიც. ამრიგად, საქართველოს შინაგან საქ-მეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შპს „....ის“ სასარგებ-ლოდ უნდა დაეკისროს სარჩელსა და სააპელაციო საჩივრის გა-დახდილი სახელმწიფო ბაჟის – 250 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-10 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ლ ე ბ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესხებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მინერილობის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტები და დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესხებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 15 აგვისტოს №85 ბრძანება, ამავე სააგენტოს 2017 წლის 1 ივნისის №23/8/4-193 მინერილობის პირველ, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტებთან მიმართებაში;

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესხებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შპს „...ის“ (ს/ს ...) სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პარიტეტურის დაკისრების თაობაზე სოციალური
მომსახურების სააგენტოს შემოწვების აქტისა და
კომისიის გადაწყვეტილების კანონირება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1235(კ-19)

28 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

12.03.2018წ. შპს „...ამ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, სსიპ სოცია-
ლური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015წ. №04-
156/ო ბრძანებით შექმნილი სათათბირო ორგანოს (კომისიის)
23.01.2018წ. №23/01/2018 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად
ცნობის მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს
14.03.2018წ. განჩინებით შპს „...ის“ სარჩელი განსჯადობით გადა-
ეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს. გორის რაიონული სასა-
მართლოს 26.06.2018წ. სასამართლო სხდომაზე დაზუსტდა სასარ-
ჩელო მოთხოვნები და საბოლოოდ მოთხოვნილ იქნა ჯარიმის და-
კისრების შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
16.11.2017წ. №2017/16/11/02 შემოწმების აქტისა და შპს „...ის“ ად-
მინისტრაციული საჩივრის დაკავილებაზე უარის თქმის შესა-
ხებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის
04.06.2015წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილი სათათბირო ორგა-
ნოს (კომისიის) 23.01.2018წ. №23/01/2018 საოქმო გადაწყვეტილე-
ბის ბათილად ცნობა.

მოსარჩელე არ ეთანხმება საყოველთაო ჯანმრთელობის დაც-
ვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შპს „...ის“ 2013 წლის 28
თებერვლიდან 2017 წლის 22 მაისამდე პერიოდში შემოწმების შე-
დეგებს და აღნიშნავს, რომ შემოწმებისას გამოვლენილი დარღვე-
ვების უმეტესობა უკავშირდება 2013-2014 წლებს. მითითებულ პე-

რიოდში საყოველთაო ჯანდაცვის ელექტრონული პორტალი მუშაობდა შეფერხებით, რამაც გამოიწვია ბენეფიციართა ხარვეზებით რეგისტრაცია. დღევანდელი მდგომარეობით, პორტალზე უკვე შეუძლებელია ბენეფიციარის ძირითად კონტინგენტში დარეგისტრირება, თუ მისი ფაქტობრივი მისამართი სოფელშია. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გასულ პერიოდში პორტალი მუშაობდა ხარვეზებით, რაც მოგვიანებით გაასწორა სააგენტომ. ცვლილების შემდეგ, პროგრამაში აღარ არსებობს ე.წ. „კომენტარის ველი“, რაც იწვევდა ბენეფიციართა ხარვეზით დარეგისტრირებას. მართალია, სააგენტოს მოსაზრებით, პროგრამული ცვლილება უკავშირდებოდა „კომენტარის ველის“ გაუქმებას და არა ხარვეზის გასწორებას, თუმცა ფაქტია, რომ პროგრამული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, დარღვევები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, რაც ადასტურებს, რომ ბენეფიციართა არასწორად რეგისტრაცია არ უკავშირდებოდა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებების მექანიკურ შეცდომას.

მოსარჩელის განმარტებით, სასიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „....ას“ შორის, საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში წარმოშობილია სახელშეკრულებო ურთიერთობა. აღნიშნული „პროგრამის“ 19.14 მუხლი საქართველოს მთავრობის 07.02.2014წ. №134 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით ცალმხრივად გაუარესდა შპს „....ის“, როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მდგომარეობა, კერძოდ, მითითებული მუხლით, თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), ზეადამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე: ა) ბენეფიციარის რეგისტრაციის (მ.შ., მეაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების წარმოების) წესების დარღვევის გამო, საჯარიმო სანქციების ოდენობა ანაზღაურებულ შემთხვევებზე განისაზღვრება ამ ბენეფიციარზე დარღვევით რეგისტრაციის მთელ პერიოდში ანაზღაურებული თანხის ორმავი ოდენობით, ხოლო ასანაზღაურებელი შემთხვევების დროს – პროგრამით გათვალისწინებული თანხის ორმავი ოდენობით. ამდენად, მითითებული მუხლიდან გამომდინარე, ჯარიმის ოდენობა არის ბიუჯეტში აღსადგენი თანხის 200%, რაც ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ჯარიმა შეუსაბამოდ მაღალია და ზიანს აყენებს მიმწოდებელს. მოსარჩელე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე, 115-ე, 361-ე მუხლებზე და ყურადღებას ამახვილებს კანონმდებლობით სასამართლოსთვის მინიჭებულ შესაძლებლობაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმსჯელოს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლოს შემცირების შესაძლებლობაზე.

გორის რაიონული სასამართლოს 26.06.2018წ. გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...ამ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.04.2019წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „...ის“ სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 26.06.2018წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 12.04.2013წ. №04-185/ო ბრძანებით დამტკიცებული, მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში განეული გეგმური ამბულატორიული მომსახურების ამსახველი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენი ელექტრონული ანგარიშგების ფორმის მიხედვით, „ძირითადი კონტინგენტის“ რაოდენობაში იწერება დაწესებულებაში დარეგისტრირებული ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა, რომლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმაში დაფიქსირებული ფაქტობრივი მისამართი მდებარეობს ქალაქში ან დაბაში, ხოლო „დამატებითი კონტინგენტის“ რაოდენობაში – სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმაში დაფიქსირებული ფაქტობრივი მისამართი მდებარეობს სოფელში. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...ის“ გორის №... ფილიალში 2013 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 22 მაისამდე პერიოდში, 533 შემთხვევაში „ძირითად კონტინგენტში“ დარეგისტრირებული პაციენტების ფაქტობრივ მისამართად დაფიქსირებული იყო „სოფელი“. ამდენად, მითითებული პირები რეგისტრირებული უნდა ყოფილიყვნენ არა „ძირითად“, არამედ „დამატებით“ კონტინგენტში. არასწორი ქმედების შედეგად, შპს „...ამ“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად მიიღო 9 577,65 ლარი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2014 წლის 7 თებერვლის ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 19.14 მუხლის თანახმად, თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებდა გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), რევიზიისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ოდენობა განისაზღვრებოდა თითოეულ შემთხვევაზე შესაბამის თვეში ასანაზღაურებელი თანხის 0,5%-ით, მაგრამ არაუმეტეს თვეში ჯამურად 3 000 ლარისა. 07.02.2014წ. განხორციელებული ცვლილების შემდეგ, „პროგრამის“ 19.14 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კა-

პიტაციით), რევიზიისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ოდენობა განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაზე შესაბამის თვეში ასანაზღაურებელი თანხის ორმაგი ოდენობით. 23.02.2015წ. კვლავ შევიდა ცვლილება „პროგრამის“ 19.14 მუხლში და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ოდენობა განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაზე შესაბამის თვეში ასანაზღაურებელი თანხის ორმაგი ოდენობით. ამასთან, 01.02.2017წ. ჩამოყალიბებული რედაქციით, 19.14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე ბენეფიციარის რეგისტრაციის (მ.შ., მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების) ნესების დარღვევის გამო, საჯარიმო სანქციების ოდენობა ანაზღაურებულ შემთხვევებზე განისაზღვრება ამ ბენეფიციარზე დარღვევით რეგისტრაციის მთელ პერიოდში ანაზღაურებული თანხის ორმაგი ოდენობით; ხოლო ასანაზღაურებელი შემთხვევების დროს - პროგრამით გათვალისწინებული თანხის ორმაგი ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად მიღებულმა თანხამ შეადგინა 9 577,65 ლარი, ხოლო აღნიშნულ თანხაზე დარიცხულმა ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 15 101,47 ლარი, საიდანაც 10,19 ლარი წარმოადგენს 2013 წლის მარტიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით დარიცხულ ჯარიმას, ხოლო 15 091,28 ლარი – 2014 წლის თებერვლიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით დარიცხულ ჯარიმას (სულ – 24 679,12 ლარი).

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.2 მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოცემულ შემთხვევაში, შპს „...ის“ გორის №... ფილიალში 2013 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 22 მაისამდე პერიოდში გამოვლენილ 533 შემთხვევაში, „ძირითად კონტინგენტში“ დარეგისტრირებული პაციენტების ფაქტობრივ მისამართად დაფიქსირებული იყო „სოფელი“, თუმცა მითითებული პირები რეგისტრირებული უნდა ყოფილიყვნენ არა „ძირითად“, არამედ „დამატებით“ კონტინგენტში. არ უნდა იქნეს გაზიარებული მოსარჩელის არგუმენტი იმსთან დაკავშირებით, რომ მითითებულ 533 შემთხვევაში, „შეცდომა“ მოხდა საყოველთაო ჯანდაცვის ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამული ხარვეზით. ელექტრონული საქ-

მის წარმოების თავისებურებიდან, კომპიუტერული პროგრამირების სირთულისა და ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნისას არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მართლაც წარმოშვას პროგრამული ხარვეზი (მით უფრო მისი დანერგვის საწყის ეტაპზე) და შესაბამის ხარვეზის არსებობის დამტკიცება მომხმარებლის მხრიდან გართულებული იყოს, თუმცა შპს „....ას“ არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ გამოვლენილი დარღვევების უმეტესობის 2013-2014 წლებში დაშვების დადასტურების მიზნით, პროგრამულ ხარვეზთან დაკავშირებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენილ იქნა წერილობითი პრეტენზია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „ძირითად კონტინგენტში“ ბენეფიციართა რეგისტრაციით სახელმწიფო ბიუჯეტიდან კლინიკისათვის ყოველთვიურად უფრო მეტი თანხის გადაცემა ხდებოდა, ვიდრე ეს ხდება „დამატებითი კონტინგენტის“ შემთხვევაში, ნაკლებად სარწმუნოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ 533 შემთხვევა მექანიკური შეცდომით იყო გამოწვეული. თუნდაც მექანიკური შეცდომით „ძირითად კონტინგენტში“ ბენეფიციართა არასწორი რეგისტრაცია არ გამორიცხავს შპს „....ის“ ბრალეულობას და არ აქარნყლებს მის პასუხისმგებლობას ჩადენილ დარღვევასთან მიმართებაში, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვისაც (992-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ მითითებული 533 შემთხვევა გამოწვეული იყო საყოველთაო ჯანდაცვის ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამული ხარვეზით ან იმგვარი „მექანიკური შეცდომით“, რაც გამორიცხავდა შპს „....ის“ ბრალეულობას ჩადენილ ქმედებაში. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მდგომარეობას ვერ შეცვლის მხარეთა მიერ მითითებული ის გარემოება, რომ შპს „....ას“ შემოწმებულ პერიოდში „დამატებით კონტინგენტში“ რეგისტრირებული ჰყავდა ბენეფიციართა მცირერაოდენობა, რომლებიც განეკუთვნებიან „ძირითად კონტინგენტში“ დასარეგისტრირებელ პირებს და ამის გამო, მოსარჩევეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტაციის გზით მიღებული აქვს ნაკლები დაფინანსება. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია და ამგვარი შემთხვევების არსებობა არ ადასტურებს მითითებული 533 ფაქტის მართლზომიერებას ან გამორიცხავს შპს „....ის“ ბრალეულობას ჩადენილ დარღვევებში. დასახელებულ დარღვევებზე 2014 წლის ოქტომბერიდან პასუხისმგებლობა გამოაცილა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კლინიკა ცალკეულ პირებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტაციის გზით (ანუ ყოველთვიურად) იღებდა და-

ფინანსებას (მიუხედავად იმისა, რეალურად მიიღებდა თუ არა ბენეფიციარი მომსახურებას), საჯარიმო თანხის გადაანგარიშება და დაკისრება 2014 წლის თებერვლამდე არასწორად რეგისტრირებულ ბენეფიციარებზე, მიღებულ თანხებზე ჯარიმის გაორმაგებული ოდენობით, 2014 წლის თებერვლიდან, კანონიერია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 20.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, როგორც პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულება, უფლებამოსილი იყო, საჯარიმო სანქცია დაეკისრებინა შპს „...ისათვის“. დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტებლოს) ოდენობასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 416-420-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად ხელშეკრულების მხარეთა თავისუფლებისა, თავად განსაზღვრობ პირგასამტებლოს ოდენობა, სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 19.14 მუხლში 07.02.2014წ. ცვლილებით განსაზღვრული პირგასამტებლოს ოდენობა – თითოეულ შემთხვევაში არ არის შეუსაბამოდ მაღალი და არ მოითხოვს მისი გონივრული შესაბამისობის დადგენას ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებასთან მიმართებაში. კანონმდებლობით, შეთანხმებული პირგასამტებლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ ამით არ უნდა და დაირღვეს ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები და დაუსაბუთებლად შეიზღუდოს პირის კანონიერი ინტერესები. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩევე წლების განმავლობაში დაფინანსებას იღებს კაპიტაციით და სანქციის ოდენობა განსაზღვრულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით – „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“, დაკისრებული ჯარიმის ოდენობა განსახილებელ შემთხვევაში არ არის შეუსაბამიდ მაღალი. ჯარიმის 15 101,47 ლარით განსაზღვრა უკიდურესად მძიმე და შეუსაბამოდ არათანაბარ სამართლებრივ თუ უფლებრივ საზღვრებში, კაბალურ მდგომარეობაში არ აყენებს მოსარჩევეს. შესაბამისად, არ არსებობს მისი შემცირების ფაქტორივი საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არის როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს იმასაც, რომ, მართალია, კონტრაპენტის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს

ფორმალურად მოქმედ მატერიალურ სამართალსა თუ კონტრაქტის პირობებს, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევებში არ უნდა იყოს უსამართლო ან/და არ უნდა ენინააღმდეგებოდეს მეორე მხარის საფუძვლიან ნდობას. კეთილსინდისი-ერების პრინციპი ძირითადად გულისხმობს იმას, რომ კონტრაქტმა მხედველობაში მიიღოს მეორე მხარის ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში, არსებობს მოპასუხისათვის პირგასამტებლოს დაკისრების როგორც მატერიალური, ისე ფორმალური საფუძველი „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ განსახორციელებელი ღონისძიებების მნიშვნელობის, ასევე ამ პროცესში მონაბილე პირთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით, პირგასამტებლოს ოდენობა – 15 101,47 ლარი არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

თბილისის სააგელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.04.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „....ამ“. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სადაცო არა ელექტრონულ პროგრამაში 533 შემთხვევის ხარვეზით რეგისტრაციის ფაქტი, არამედ ამ შემთხვევათა ხარვეზით დარეგისტრირების მიზეზი, რამდენადაც ბენეფიციართა არასწორად დარეგისტრირება გამოწვეული იყო პროგრამული ხარვეზით. პროგრამის გამართულად ფუნქციონირების ვალდებულება ეკისრება მის განმახორციელებელს – სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, ეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. შპს „....ამ“ სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აცნობა, რომ დარღვევების უმეტესი ნაწილი (სულ 533 შემთხვევა, საიდანაც 505 შემთხვევა უკავშირდება 2013 წელს რეგისტრირებულ ბენეფიციარს) დათქმისირდა 2013-2014 წლებში. 2013 წელს განხორციელდა სამედიცინო დაწესებულებების, მათ შორის, შპს „....ის“ მიმწოდებლის სტატუსით რეგისტრაცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. აღნიშნული პერიოდისთვის, მისამართის შეყვანისას საყოველთაო ჯანდაცვის ელექტრონული პროგრამა უმეტეს შემთხვევაში, ავტომატურად არეგისტრირებდა ბენეფიციარებს „ძირითად სიაში“, მათ შორის, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ფაქტობრივად ცხოვრობდენ სოფელში და წესის თანახმად, უნდა დარეგისტრირებულიყვნენ დამატებით სიაში. 2013 წელს „საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის“

დამტკიცების პერიოდში რეგისტრაციის პროცესი სიახლე იყო როგორც სამედიცინო დაწესებულებებისათვის, ისე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის. პროგრამა ხარვეზით მუშაობდა და ამის გამო, შპს „...ის“ თანამშრომლებს უწევდათ ბენეფიციარების რეგისტრაცია დამის განმავლობაში. დღისით მუშაობა შეუძლებელი იყო. ამ ეტაპზე ხარვეზი გამოსწორებულია და პროგრამა არ იძლევა „დამატებით სიაში“ დასარეგისტრირებელი ბენეფიციარის „ძირითად სიაში“ დარეგისტრირების საშუალებას. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო აღნიშნავს, რომ პროგრამული ცვლილება არ განხორციელებული პროგრამული ხარვეზის გასწორების მიზნით და გაუქმდა მხოლოდ ე.წ. „კომენტარის ველი“, რომელიც თავის დროზეც გავლენას არ ახდენდა მოსარგებლის სტატუსზე, თუმცა ფაქტია, რომ პროგრამული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, აღნიშნული სახის დარღვევები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბენეფიციარების არასწორად რეგისტრაცია არ მომხდარა სამედიცინო დაწესებულებების შეცდომის საფუძველზე. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, გაურკვეველია, თუ მხოლოდ ე.წ. „კომენტარის ველი“ გაუქმდა (რაც არ წარმოადგენდა ბენეფიციართა ხარვეზით დარეგისტრირების მიზეზს), მაშინ რატომ იქნა დაყვანილი მინიმუმამდე ხსენებული სახის ხარვეზი. მოცემული მსჯელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს გასულ პერიოდში პროგრამული ხარვეზის არსებობას, ხოლო შემდგომში მისი აღმოფხვრის ფაქტს.

კასატორის მოსაზრებით, „პროგრამის“ ხარვეზით ფუნქციონირების ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ კასატორმა „დამატებით სიაში“ ის ბენეფიციარები დაარეგისტრირა, რომლებიც „ძირითად სიაში“ უნდა დარეგისტრირებულიყვნენ, შესაბამისად, მოცემულ კონტინგენტის მომსახურებისთვის იღებდა იმაზე ნაკლებ ღირებულებას ვიდრე უნდა მიეღო. ამასთან, ორივე ინსტანციის სასამართლო თავად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კომპიუტერული პროგრამირების სირთულისა და ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნისას არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მართლაც წარმოიშვას პროგრამული ხარვეზი. სასამართლოს მთავარ სხდომაზე თავად მოპასუხის წარმომადგენელმაც აღიარა, რომ პროგრამას საწყის ეტაპზე გააჩნდა ხარვეზები, რაც შემდგომში გამოსწორდა. აღნიშნული წარმოადგენს თავისთავად პროგრამის გაუმართაობის დამადასტურებელ ერთ-ერთ უტყუარ არგუმენტს.

კასატორის განმარტებით, მისთვის, როგორც მიმწოდებლისათვის, რთულია პროგრამის ხარვეზით ფუნქციონირების დადასტურება, თუმცა პროგრამულ ხარვეზს ცალსახად ადასტურებს შემ-

დეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1) ბენეფიციართა რეგისტრაცია არასწორად განხორციელდა (533 შემთხვევა) 2013-2014 წლებში, ანუ პროგრამული ხარვეზის გამოსწორებამდე; 2) კლინიკა არამხოლოდ „დამატებით სიაში“ დარეგისტრირებულ ბენეფიციარებს არეგისტრირებდა „ძირითად სიაში“, არამედ პირიქით – „ძირითად სიაში“ დასარეგისტრირებელი ბენეფიციარები რეგისტრირდებოდნენ „დამატებით სიაში“, რის გამოც, სამედიცინო დაწესებულება იღებდა ნაკლებ შემოსავალს თვეების განმავლობაში; 3) მოპასუხე მხარე თავად ადასტურებს, რომ პროგრამას საწყის ეტაპზე გააჩნდა ხარვეზები, რაც შემდგომში გამოსწორდა; 4) ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დაადასტურეს, რომ კომპიუტერული პროგრამირების სირთულისა და ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნისას არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მართლაც გააჩნდეს მას პროგრამული ხარვეზი, მით უფრო მისი დანერგვის საწყის ეტაპზე; 5) „ძირითად სიაში“ რეგისტრირებული ბენეფიციარების მომსახურება მოცულობით აღემატება „დამატებით სიაში“ რეგისტრირებული ბენეფიციარების მომსახურების მოცულობას, თუმცა პროგრამული ხარვეზის გამო, „ძირითად სიაში“ რეგისტრირებული პაციენტები ამავე სიისთვის განკუთვნილ მომსახურებას იღებდნენ სრულად. შესაბამისად, შპს „...ას“ არანაირი ინტერესი არ ჰქონდა, განზრას დაერეგისტრირებინა „ძირითად სიაში“ „დამატებითი სიის“ კონტინგენტი, რადგან განეული მომსახურება სრულად შესაბამებოდა არსებულ დაფინანსებას.

კასატორი ალნიშნავს, რომ „პროგრამის“ ფარგლებში განმახორციელებლის მიერ დადგენილი პირობების დაცვით მოსარგებლეთა რეგისტრაცია მიმწოდებლის სახელშეკრულებო ვალდებულებაა და მისი დარღვევა განაპირობებს მიმწოდებლის სახელშეკრულებო პირობებით (პროგრამით) დადგენილ პასუხისმგებლობას, ხოლო პროგრამის განმახორციელების ვალდებულებას, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში წარმოადგენს პროგრამის გამართულად ფუნქციონირების ვალდებულება. ალნიშნულიდან გამომდინარებს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „...ას“ შორის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის 07.02.2014წ. №134 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით, ცალმხრივად გაუარესდა შპს „...ის“, როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მდგომარეობა (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის, რომელიც დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით)), კერძოდ, საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილების 19.14 მუხლის

„ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე ბენეფიციაროს რეგისტრაციის (მ.შ., მკაცრი ალრიცხვის ფორმების წარმოების) წესების დარღვევის გამო, საჯარიმ სანქციების ოდენობა ანაზღაურებულ შემთხვევებზე განისაზღვრება ამ ბენეფიციარზე დარღვევით რეგისტრაციის მოელ პერიოდში ანაზღაურებული თანხის ორმაგი ოდენობით, ხოლო ასანაზღაურებელი შემთხვევების დროს პროგრამით გათვალისწინებული თანხის ორმაგი ოდენობით. აღნიშნული მუხლის შინაარსი-დან გამომდინარე, ჯარიმი გამოდის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის – ბიუჯეტში აღსადგენი თანხის 200%, რის გამოც, მიმწოდებელს ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი.

კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე, 417-418-ე, 420-ე 361.2 მუხლებზე და აღნიშნავს, რომ კლინიკისათვის დაკისრებული ჯარიმის, როგორც პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ხასათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო. მოცემულ შემთხვევაში, არ უნდა იქნეს გაზიარებული ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კლინიკისათვის დაკისრებული ჯარიმის – 15101.47 ლარი არ არის შეუსაბამოდ მაღალი, რამდენადაც ჯარიმის ოდენობა შეადგენს დასაბრუნებელი თანხის 200%-ს და აღნიშნული წინააღმდეგობაშია სამართლიანობის პრინციპთან, დაუსაბუთებლად ზღუდვას კასატორის კანონიერ ინტერესს. გაურკვეველია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან მოსარჩელე წლებია, დაფინანსებას იღებს კაპიტაციით, ამავე დროს სანქციის ოდენობა განსაზღვრულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით – „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“, დაკისრებული ჯარიმის ოდენობა განსახილველ საქმეს-თან მიმართებაში არ არის შეუსაბამოდ მაღალი. კასატორის განმარტებით, შპს „...ა“ დაფინანსებას იღებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებაში, რომელსაც წლების განმავლობაში უწევს ბენეფიციარებს. ერთი მო-

სარგებლის მომსახურების ფიქსირებული ღირებულება, „ძირითად სიაში“ რეგისტრირებული ბენეფიციარისთვის თვეში შეადგენს 1,97 ლარს, ხოლო „დამატებით სიაში“ რეგისტრირებული ბენეფიციარის-თვის – 1,07 ლარს. აღნიშნულ ფასებში სხვაობა გამოწვეულია გან-სხვავებული სამედიცინო მომსახურების პაკეტით, კერძოდ, „ძი-რითად სიაში“ რეგისტრირებული ბენეფიციარების მომსახურება მოცულობით აღმატება „დამატებით სიაში“ რეგისტრირებული ბე-ნეფიციარების მომსახურების მოცულობას, თუმცა მოცემულ შემ-თხვევაში, პროგრამული ხარვეზის გამო, „ძირითად სიაში“ რეგის-ტრირებული პაციენტები ამავე სიისთვის განკუთვნილ მომსახუ-რებას იღებდნენ სრულად. ამდენად, შპს „...ას“ არანაირი ინტერე-სი არ ჰქონდა, „ძირითად სიაში“ განზრას დაერეგისტრირებინა „და-მატებითი სიის“ კონტინგენტი, ვინაიდან განცული მომსახურება სრულად შესაბამებოდა არსებულ დაფინანსებას. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია ის მოსაზრება, რომ შპს „...ა“ წლებია, იღებს დაფინანსებას და ამ მიზეზის გამო, დაკისრებული ჯარიმა (დასაბრუნებელი თანხის 200%) არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

ყოველივე ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ით-ხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლი-თაც სარჩელი დაკმაყოფილდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 06.11.2019წ. განჩინებით, საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შე-საბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მი-ღებული შპს „...ის“ საკასაციო საჩივრი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 15.04.2021წ. განჩინებით შპს „...ის“ საკასაციო საჩი-ვარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძ-ველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა. ამავე სასამართლოს 15.04.2021წ. განჩინებით, მოპასუხე სიიპ სო-ციალური მომსახურების სააგენტოს საპროცესო უფლებამონაც-ვლებად ცნობილ იქნენ სიიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენ-ტო და სიიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგუ-ლირების სააგენტო.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კა-ნონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწე-ბის შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „...ის“ საკასა-ციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარე-

მოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანი უკავშირდება „საყოველთაო ჯან-დაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიე-ბათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დად-გენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაც-ვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, გეგმური ამბულატო-რიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლე-ებზე შევსებული თანხმობის ფორმების შემონმებას და შემოწმე-ბისას გამოვლენილი დარღვევების გამო, შპს „...ისათვის“ (პროგ-რამით მოსარგებლისათვის) პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მთავ-რობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული ზემოაღ-ნიშნული „პროგრამის“ 23.4. მუხლის თანახმად, პროგრამაში მონა-ნილე სამედიცინო დაწესებულებებმა პროგრამით მოსარგებლეთა რეგისტრაცია დადგენილი წესით უნდა განახორციელონ მხოლოდ მოსარგებლის თანხმობსას საფუძველზე. ამავე მუხლს 13.03.2014წ. №228 ცვლილებით დაემატა 4^ტ პუნქტი, რომლის სადაცო პერიოდ-ში მოქმედი რედაქციის მიხედვით, 2014 წლის პირველი აპრილი-დან პროგრამაში მონანილე სამედიცინო დაწესებულებებმა 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმური ამბულა-ტორიული მომსახურებისათვის ახალი მოსარგებლების რეგის-ტრაცია უნდა განახორციელონ სპეციალური სააღრიცხვო (მკაცრი აღრიცხვის) დოკუმენტით (მოსარგებლის თანხმობის ფორმა), რომ-ლის ფორმას და გამოყენების წესს ამტკიცებს სამინისტრო, ხოლო 2014 წლის 1 აპრილამდე დარეგისტრირებული მოსარგებლების მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტით ხელახალი რეგისტრაციის ვა-დებს განსაზღვრავს განმახორციელებელი სამინისტროსთან შე-თანხმებით.

დადგენილია, რომ შპს „...ა“ წარმოადგენს ზემოაღნიშნული „პროგრამის“ სუბიექტს – პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომ-სახურების მიმწოდებულ სამედიცინო დაწესებულებას, ხოლო სისპ სოციალური მომსახურების სააგენტო სადაცო პერიოდში წარმო-ადგენდა პროგრამის განმახორციელებელს და უფლებამოსილი იყო, დადგენილი პროცედურის გათვალისწინებით, სამედიცინო დაწე-სებულებაში განეხორციელებინა შემონმება, შესაბამისი აქტის შედგენით. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასა-ტარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავ-რობის 21.02.2013წ. №36 დადგენილების საფუძველზე, 2017 წლის 20 ივნისიდან 2017 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით სააგენტომ განა-ხორციელა თემატური შემოწმება, რომელიც შეეხებოდა შპს „...ის“ გორის №... ფილიალის მიერ წარდგენილ, 2013 წლის 28 თებერვლი-

დან 2017 წლის 22 მაისამდე პერიოდში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შევსებულ თანხმობის ფორმებს.

შემონმების შედეგად შედგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 16.11.2017წ. №2017/16/11/02 თემატური შემონმების აქტის მიხედვით, მიმწოდებელმა დაარღვია „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 12.04.2013წ. №04-185/მ ბრანანების №2 დანართის (საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების საანგარიშგებო ფორმა) მოთხოვნები, კერძოდ, მიმწოდებელთან არსებული დოკუმენტაციის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიმღებად, 533 შემთხვევაში, ძირითად კონტინგენტში დარეგისტრირებული პაციენტების ფაქტობრივ მისამართში დაფიქსირებული იყო „სოფელი“, რის გამოც, აღნიშნულ მოსარგებლებზე მიმწოდებლის მხრიდან ზედმეტად მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 9577,65 ლარი.

ადმინისტრაციულმა ორგანომ მუჟთითა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ლონისძებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 19.14 მუხლზე და აღნიშნა, რომ მითითებული მუხლის 2014 წლის 7 თებერვლამდე მოქმედი რედაქცია გამოყენებულ უნდა იქნეს 2013 წლის მარტის თვითდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით რევიზიისას გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებაში, ხოლო ამავე მუხლის 2017 წლის 7 თებერვლის შემდეგ მოქმედი რედაქცია უნდა გავრცელდეს 2014 წლის თებერვლის თვითდან გამოვლენილ შემთხვევებზე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მიუთითა, რომ „პროგრამის“ 19.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან და 20.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ ზედმეტად მოთხოვნილი თანხის ოდენობა ჯამში უნდა განისაზღვროს 9577,65 ლარით, ხოლო 19.14 მუხლის შესაბამისი რედაქციების გათვალისწინებით, კლინიკას ჯარიმის სახით უნდა დაეკისროს 15101,47 ლარის ანაზღაურება (2013 წლის მარტის თვითდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით – 10,19 ლარი+2014 წლის თებერვლიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით – 15091,28 ლარი).

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 16.11.2017წ. №2017/16/11/02 თემატური შემონმების აქტის სამართლებრივ საფუძვლე-

ბად, საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამასთან“ ერთად, მითითებულ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 26.02.2013წ. №04-69/ი ბრძანება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 17.03.2014წ. №01-19/ნ ბრძანება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-აზგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“.

საკასაციო სასამართლო, განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტის მიზნებისათვის საყურადღებოდ მიიჩნევს „პროგრამის“ ფარგლებში შპს „...ის“ შესამოწმებელად განსაზღვრულ პერიოდს და თვლის, რომ უპირველესად, უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებაში 2015 წლის ცვლილებით ამოქმედებული კონტროლის განხორციელების ხუთწლიანი ვადის სადაც სრულად გავრცელების მართებულობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროგრამის“ 2015 წლის 26 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის 15¹.2 მუხლის თანახმად, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების ვადა არ უნდა ყოფილიყო შემთხვევის დასრულებიდან სამ კალენდარულ წელზე მეტი, ხოლო 2015 წლის 26 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების შემდეგ, „პროგრამის“ 15¹.1 მუხლით დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება ანაზღაურებული/ასანაზღაურებელი შემთხვევების დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში. ამდენად, 2015 წლის 26 ოქტომბრამდე კონტროლის ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა განსხვავდება შესაბამისი ცვლილების ამოქმედების შემდეგ განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადისაგან. ამასთანავე, ორივე შემთხვევაში, კონტროლის განხორციელების ვადის ათვლა უკავშირდება შემთხვევის დასრულების მომენტს, შესაბამისად, ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადა შემთხვევის დასრულების მომენტში მოქმედი ნორმით უნდა განისაზღვროს.

მოცემულ შემთხვევაში, სააგენტომ შეამოწმა 2013 წლის 28 ოქტომბერიდან 2017 წლის 22 მაისამდე პერიოდში რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შევსებული თანხმობის ფორმები, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად. შემოწმება კი,

დაიწყო 2017 წლის 20 ივნისს. ამდენად, შემოწმების დაწყებისას, ადმინისტრაციულ ორგანოს, ცალკეულ შემთხვევათა დასრულების მომენტში მოქმედი „პროგრამის“ 15¹ მუხლის რედაქციის გათვალისწინებით უნდა განესაზღვრა შემოწმების ვადა, თუმცა სააგენტომ სადაც შემოწმების პერიოდზე (28.02.2013-22.05.2017წ.) სრულად გაავრცელა „პროგრამის“ 15¹ მუხლის 2015 წლის 26 ოქტომბრიდან ამოქმედებული რედაქცია – გამოიყენა მითითებული რედაქციით განსაზღვრული შემოწმების 5-წლიანი ვადა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული „პროგრამის“ ფარგლებში კონტროლის განხორციელებისათვის ხანდაზმულობის ვადის დადგენის მიზანს წარმოადგენს შესამოწმებელი სუბიექტისათვის სანქციის დაკისრების შესაძლებლობა მხოლოდ ნორმატიული აქტით დაშვებული კონტროლის ვადის განმავლობაში გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებაში. ამდენად, სამედიცინო დაწესებულების იურიდიული პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს ამ ვადის ფარგლებს გარეთ არსებულ შესაძლო შემთხვევებთან მიმართებაში, თუნდაც მათი შინაარსი ფორმალურად შესაბამისობაში იყოს კანონით სანქცირებას დაქვემდებარებული ქმედების შემადგენლობასთან. მოცუმულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა თვლის, რომ სამედიცინო დაწესებულების კონტროლის განხორციელებისას, „პროგრამაში“ შეტანილი 26.10.2015წ. №522 ცვლილებისათვის სააგენტოს უკუძალა არ უნდა მიენიჭებინა და აღნიშნული ვადა უნდა გაევრცელებინა 2015 წლის 26 ოქტომბრის შემდეგ დასრულებულ შემთხვევებზე, მანამდე კი, ურთიერთობაზე უნდა გავრცელებულიყო ნორმატიული აქტის ძველი რედაქციით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. სადაც შემოწმების პერიოდზე „პროგრამის“ 15¹ მუხლის 2015 წლის 26 ოქტომბრიდან ამოქმედებული რედაქციის სრულად გავრცელებით მოსარჩელისათვის შეიქმნა საუარესო მდგომარეობა – გაიზარდა მისი პასუხისმგებლობის მოცულობა, იმ პირობებში, როდესაც შესამოწმებელი პერიოდის ნაწილთან მიმართებაში ძველი რედაქციის ნორმის გამოყენებისას, შემოწმების დაწყებიდან – 2017 წლის 20 ივნისიდან უკუთვლით სამწლიანი პერიოდი სრულად არ გავრცელდებოდა სადაც შემთხვევაში შესამოწმებლად არჩეულ პერიოდზე (შემოწმებას არ დაექვემდებარებოდა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2014 წლის შესაბამისი თვის მონაკვეთი). მნიშვნელოვანია, რომ „პროგრამაში“ 26.10.2015წ. განხორციელებული ცვლილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და იგი არ შეიცავს დათქმას უკუძალის თაობაზე („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ

ნორმატიული აქტით).

საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქმის განხილვის ყველა ეტაპზე, მოსარჩევე მიუთითებდა მის მიმართ გამოვლენილ შემთხვევათა პერიოდზე და აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოვლენილ დარღვევათა ძირითადი ნაწილი 2013-2014 წლებს უკავშირდება. საქმის მასალებით უდავოდ არ დგინდება, შემოწმებას დაქვემდებარებულ შემთხვევათა სრული ოდენობის რა ნაწილი უკავშირდება კონკრეტულად 2013-2014 წლებს, თუმცა აღნიშნულ გარემოებას განსახილველი დავისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს და საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოკვლევას, რამდენადაც სადაც შემოწმებასთან მიმართებაში „პროგრამის“ სათანადო ნორმების გამოყენება და ხანდაზმულობის გამო შესაბამისი პერიოდის ნაწილის შემოწმების დაუშვებლობა, გამორიცხავს სათანადო დროის მონაკვეთში არსებულ შემთხვევებთან მიმართებაში შესამოწმებელი სუბიექტის დამრღვევად ცნობას და მისთვის სანქციის დაგისარებას.

საკასაციო პალატა, განსახილველი დავისათვის ასევე რელევანტურად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სამედიცინო დაწესებულების შემოწმების პერიოდის სწორად განსაზღვრის პირობებში, შესაბამის პერიოდში გამოვლენილი, დარღვევებად შეფასებული ქმედებების შინაარსის შესაბამისობის დადგენას ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობასთან, რისთვისაც გათვალისწინებულია ფინანსური პასუხისმგებლობა (ანაზღაურებული თანხის უკან დაპრუნება და ჯარიმა).

როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში, სადაც შემოწმების აქტის მიხედვით, შემოწმებას დაექვემდებარა გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისალებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შევსებული თანხმობის ფორმები, ხოლო „შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების ფაქტობრივ აღწერასა და სამართლებრივ შეფასებაში“ მითითებულ იქნა, რომ მიმწოდებლის მხრიდან დარღვეულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების საანგარიშებო ფორმის მოთხოვნები (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 12.04.2013წ. №04-185/ო ბრძანების №2 დანართი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 12.04.2013წ. №04-185/ო ბრძანებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული, მიმწოდებლის მიერ სა-

ანგარიში პერიოდში გაწეული გეგმური ამბულატორიული მომსახურების ამსახველი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენი ელექტრონული ანგარიშგების ფორმა“ (დანართი №2) შეიცავს სამედიცინო დაწესებულებისათვის სავალდებულო ქმედებათა ერთობლიობის აღწერას, რომელიც უკავშირდება გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებაზე შესაბამისი ფორმის შევსებას, მასში ძირითადი და დამატებითი კონტინგენტების რაოდენობების მითითებით. აღნიშვნა იმის თაობაზე, რომ ბრძანებით გათვალისწინებული ელექტრონული ანგარიშგების ფორმა წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, ნორმატიულ აქტებში მომიებული ვერ იქნა, თუმცა, საგულისხმოა, რომ იგი ივსება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტში (რეგისტრირებული მოსარგებლის თანხმობის ფორმაში) ასახული მონაცემების გათვალისწინებით („ძირითადი კონტინგენტის რაოდენობაში“ ინერება დაწესებულებაში დარეგისტრირებულ იმ ბენეფიციართა ჯამური რაოდენობა, რომელთა ფაქტობრივი მისამართიც, „პროგრამის“ ფარგლებში ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრაციისას შევსებული თანხმობის ფორმიდან გამომდინარე, მდებარეობს ქალაქში ან დაბაში, ხოლო „დამატებითი კონტინგენტის რაოდენობაში“ – იმ ბენეფიციართა ჯამური რაოდენობა, რომელთა ფაქტობრივი მისამართიც, „პროგრამის“ ფარგლებში ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრაციისას შევსებული თანხმობის ფორმიდან გამომდინარე, მდებარეობს სოფელში).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერების პრინციპის დაცვით პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება უკავშირდება სახელმწიფოს ვალდებულებას – სამართლებრივი ნორმის სიცხადის და სამართლებრივი შედეგების განჭვრეტადობის უზრუნველყოფის თაობაზე. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნორმის სიცხადეს, მის განსაზღვრულობას და განჭვრეტადობას. „...აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრიტოს ქცევის შედეგები..“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

საკასაციო პალატა თვლის, რომ პასუხისმგებლობის გამომწვევ-

ვი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც მისი გამოვლენის მომენტისათვის შესაბამისობაშია კონკრეტული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული, დარღვევის ამსახველი რომელიმე ქმედების ნიშნებთან. ქმედების შემადგენლობაში იგულისხმება პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა ნორმატიული აქტის კონკრეტული ნორმით განსაზღვრულ კონსტრუქციასთან. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოვლენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობის წარმოშობისათვის, სავარაუდო დარღვევა, თავისი შინაარსით, სრულად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, „პროგრამით“ გათვალისწინებული დარღვევების გამოვლენაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარებდა უპირველესად კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არსებობის დადგენა, ხოლო შემდგომ – ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის გამოყენება.

დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადაცო შემოწმების აქტით ადმინისტრაციულმა ორგანომ 12.04.2013წ. №04-185/ო ბრძანებით გათვალისწინებული ელექტრონული ანგარიშგების ფორმის მოთხოვნების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად მიიჩნია „პროგრამის“ 19.14 მუხლი, რომელიც ადგენს გამოვლენილი დარღვევებისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით) დაფინანსების მიმღები სამედიცინო დაწესებულების საწესირების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ 27.01.2017წ. ცვლილების განხორციელებამდე, „პროგრამის“ 19.14 მუხლი არ ასახვდა სამედიცინო დაწესებულებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წარმომშობი კონკრეტული ქმედების შინაარსს. ნორმა ზოგადად მიუთითებდა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით) დაფინანსების მიმღები სამედიცინო დაწესებულების საწესირების შესაძლებლობაზე. შესაბამისი რედაქციებით, პერიოდულად იცვლებოდა მხოლოდ საჯარიმო საწესის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი (07.02.2014წ. ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით საჯარიმო საწესის მდგრადი დაწესებულების შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევებისათვის საჯარიმო საწესირების დაკისრების შესაძლებლობაზე). შესაბამისი რედაქციებით, პერიოდულად იცვლებოდა მხოლოდ საჯარიმო საწესის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი (07.02.2014წ. ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით საჯარიმო საწესის მდგრადი დაწესებულების შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევებისათვის განსაზღვრებოდა თითოეულ შემთხვევაზე შესაბამის თვეში ასანაზღაურებელი თანხის 0,5%-ით, მაგრამ არაუმეტეს თვეში ჯამურად 3,000 ლარისა, ხოლო ამავე მუხლის 07.02.2014წ. ცვლილების შემდგომ მოქმედი რედაქციით –

თითოეულ შემთხვევაზე შესაბამის თვეში ასანაზღაურებელი თანხის ორმაგი ოდენობით).

მნიშვნელოვანია, რომ მითითებული „პროგრამის“ 19.14 მუხლის 27.01.2017წ. განხორციელებული ცვლილებით, პირველად დადგინდა სამედიცინო დაწესებულებისათვის საჯარიმო სანქციების დაკისრების შესაძლებლობა, ბენეფიციარის რეგისტრაციის (მ.შ., მკაცრი აღრიცხვის ფორმების) ნარმოების წესების დარღვევის შემთხვევებში, კერძოდ, 27.01.2017წ. განხორციელებული ცვლილების შემდეგ (ცვლილება ამოქმედდა 2017 წლის 1 თებერვლიდან), 19.14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე ბენეფიციარის რეგისტრაციის (მ.შ., მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების) წესების დარღვევის გამო, საჯარიმო სანქციების ოდენობა ანაზღაურებულ შემთხვევებზე განისაზღვრება ამ ბენეფიციარზე დარღვევით რეგისტრაციის მთელ პერიოდში ანაზღაურებული თანხის ორმაგი ოდენობით; ხოლო ასანაზღაურებელი შემთხვევების დროს – პროგრამით გათვალისწინებული თანხის ორმაგი ოდენობით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცუმულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაადასტუროს, რომ „პროგრამის“ 19.14 მუხლის 2017 წლის 27 იანვრის ცვლილებამდე არსებულ რედაქციებში მითითებული „გამოვლენილი დარღვევები“ მოიაზრებას 12.04.2013წ. №04-185/ო ბრძანებით გათვალისწინებულ ელექტრონული ანგარიშების ფორმის დარღვევას, ხოლო 2017 წლის 27 იანვრის ცვლილების შემდეგ, ქმნის ამავე „პროგრამის“ 19.14 მუხლის შემადგენლობას. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს, ელექტრონული ანგარიშების ფორმის შევსების წესების დარღვევა მიჩნეულია თუ არა მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების წესის დარღვევად და ამ მოცემულობაში, რის საფუძველზე მიეკუთვნება ელექტრონული ანგარიშების ფორმა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს. ამასთანავე, თუ გამოირიცხება ელექტრონული ანგარიშების ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტად მიჩნევის შესაძლებლობა, უნდა დადგინდეს, ადგილი აქვს თუ არა მოსარჩელის მხრიდან ზოგადად „ბენეფიციარის რეგისტრაციის წესების“ დარღვევას და კონკრეტულად რაში ვლინდება. ამდენად, ელექტრონული ანგარიშების ფორმის მოთხოვნების დაუცველობის გამო მოსარჩელის, როგორც გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით) დაფინანსების მიმღები სამედიცინო დაწესებულებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად „პროგრამის“ 19.14 მუხლის მითითება, ადმი-

ნისტრაციული ორგანოს მხრიდან საჭიროებს სათანადო განმარტებას და დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადაც შემოწმების აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძვლად სააგენტომ ასევე მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 17.03.2014წ. №01/19-6 ბრძანებაზე, რომლითაც დამტკიცებულია „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ (დანართი №2). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული „წესი“ შეეხება თანხმობის ფორმის, როგორც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის მოხმარების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს („წესი“ 1.1 მუხლი), შესაბამისად, „წესით“ დადგენილი პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროგრამის“ ფარგლებში, უნდა დაუკავშირდეს აღნიშნული „წესით“ გათვალისწინებულ მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, სადაც აქტით სამედიცინო დაწესებულებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობად მიწნეულ იქნა სააგენტოს 12.04.2013წ. №04-185/ო ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამის“ გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების საანგარიშგებო ფორმის მოთხოვნების დარღვევა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადაც შემთხვევის 17.03.2014წ. №01/19-6 ბრძანებასთან კავშირის დადგენის შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია, რომ ბრძანებით დამტკიცებულ „წესი“ მხოლოდ 02.08.2017წ. შეტანილი ცვლილებით დაემატა მითითებით ნორმა, რომელიც ადგენს სამედიცინო დაწესებულებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას ამ წესით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის საფუძველზე. განსახილველი სადაც შემოწმების პერიოდი კი, მოიცავდა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 22 მაისამდე შუალედს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული შემოწმების აქტი არ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, სადაც შემოწმებულ შემთხვევებზე სწორად გავრცელდა თუ არა საქართველოს მთავ-

რობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ შესაბამისი ნორმებისა და მასთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტების მოქმედება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული საკითხის გარკვევა არსებითი მნიშვნელობისაა და უზრუნველყოფს როგორც მოსარჩევის დარღვევის სუბიექტად მიჩნევის, ისე მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის მოცულობის სისწორის დადგენას. ადმინისტრაციულმა ორგანომ, გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის და შეფასების შედეგად, უპირველესად უნდა განსაზღვროს შემოწმებას დაქვემდებარებული ზუსტი პერიოდი, ხოლო შემდეგ – დაადგინოს შემოწმებისას გამოვლენილი შემთხვევების შესაბამისობა კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობასთან და იმსჯელოს სანქციის დაკისრების შესაძლებლობაზე. ქმედებათა ზუსტი შემადგენლობისა და მათთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობის კანონით განსაზღვრული ზომის მისადაგების შემდეგ, გამოვლენილ შემთხვევათა პერიოდის გათვალისწინებით, დადგენილი წესის შესაბამისად, ზუსტად უნდა განსაზღვროს როგორც ანაზღაურებული შემთხვევის უკან დასაბრუნებელი თანხის, ისე ფინანსური ჯარიმის ოდენობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსს 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადაც საკითხის გადაუზყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების აუცილებელ ნინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადაც საკითხის არ-

სებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. „..საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისავის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.“ (სუს 13.12.2018წ. №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების წინაპირობები: გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 16.11.2017წ. №2017/16/11/02 თემატური შემოწმების აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ამასთან, სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი აღნიშნული აქტი და რამდენადაც „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილების მოქმედი რედაქციით, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

რაც შეეხება სასაჩივრო მოთხოვნას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 23.01.2018წ. №23/01/2018 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე: საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიე-

რების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილ სათათბირო ორგანოს (კომისიას) გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშენონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოშვა მაღლალი ხარისხით, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გააკეთა დასაბუთებული დასკვნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 16.11.2017წ. №2017/16/11/02 თემატური შემოწმების აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 23.01.2018წ. №23/01/2018 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და შპს „...ის“ საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაქმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები შის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სადავო საკითხის ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილი პირობებში, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შპს „...ის“ სასარგებლოდ

უნდა დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 740,37 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 987,16 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 1233,96 ლარის (სულ 2 961,49 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ლ დ ე ს :

1. შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 აპრილის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015 წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 23 იანვრის №23/01/2018 საოქმო გადაწყვეტილება;
5. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2017/16/11/02 თემატური შემოწმების აქტი და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
6. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2 961,49 ლარის (740,37+987,16+1233,96) ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სხვა ადგინისტრაციული აქტების კანონიერება

**სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული
გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული
ადგინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
კანონიერება**

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1294(2_კ-19)

7 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ნ. ბ-ებ 2017 წლის 3 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას,
მოპასუხის – საქართველოს მთავრობის მიმართ. მოსარჩელემ სა-
ქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №486 განკარგულე-
ბის ბათილად ცნობა და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თან-
ხის გამოყოფის შესახებ მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება
მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ბ-
ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადა-
უწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს მთავრობის
2017 წლის 14 მარტის №486 განკარგულება და მოპასუხეს დაევა-
ლა, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა
და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,
ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
გამოცემა სადაც საკითხთან დაკავშირებით; ახალი ინდივიდუა-
ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავა-

ლების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. სს „...ის“ გაკოტრების მმართველმა 2007 წლის 8 იანვარს წერილით მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრს და აცნობა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, რომ სს „...ის“ ბოლო რიგის კრედიტორების, კერძოდ, დაზარალებული მოსახლეობის, რომლებსაც მიყენებული ჰქონდათ ზარალი საწარმოს მუშაობის შედეგად, დაკმაყოფილება მოხდებოდა არა გაკოტრების მასის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაკოტრების მმართველმა ითხოვა მთავრობის დაპირების შესრულება. მანვე სამინისტროს მიანოდა იმ კრედიტორთა სია, რომლებიც გაკოტრების პროცესში შემოწმდნენ და რომელთა მიმართაც დავალიანება დადასტურდა;

3.2. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის №123 განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის 1 681 539 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 939 312 ლარის გამოყოფა სს „...ის“ მუშაობის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად;

3.3. სს „...ის“ გაკოტრების მმართველმა 2007 წლის 26 მარტის წერილით საქართველოს ფინანსთა მინისტრს აცნობა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის №123 განკარგულების შემუშავებისას ნარდგენილი კრედიტორთა სია არ იყო სრულყოფილი, რის გამოც განკარგულებით გამოყოფილი თანხა რეალურად ასანაზღაურებელ თანხაზე ნაკლები იყო. განსხვავებამ საერთო ჯამში 59 051 აშშ დოლარი და 26 100 ლარი შეადგინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაკოტრების მმართველმა დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროცესის დასრულებისთვის საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის №123 განკარგულებაში ცვლილების შეტანა ითხოვა;

3.4. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 აპრილის №175 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2007 წლის 7 მარტის №123 განკარგულებაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2007 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 740 590 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 965 412 ლარის გამოყოფა სს „...ის“ მუშაობის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად;

3.5. სს „...ის“ გაკოტრების მმართველმა 2007 წლის 13 დეკემბერს კვლავ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და აცნობა, რომ სს „...ის“ მუშაობის შედეგად დაზარალებულ კრედიტორთა სიები ეტაპობრივად ზუსტდებოდა. გაკოტრების მმართველმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიაწოდა კრედიტორთა დაზუსტებული სია და განუმარტა, რომ შემდეგ ეტაპზე, სავარაუდოდ, საჭირო გახდებოდა გარკვეული კორექტირების შეტანა მთავრობის №123 განკარგულებაში;

3.6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ, სს „...ს“ ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 52 356 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2008 წლის 2 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

3.7. სს „...ის“ გენერალურმა დირექტორმა 2008 წლის 21 აპრილს ჭიათურის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სს „...ის“ მიერ ჭიათურის საკრებულოსთვის გადაცემულ, სანარმოს კრედიტორთა სიაში ნ. ბ-ის შეყვანის მოთხოვნით;

3.8. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებამ სს „...ის“ გაკოტრების მმართველს 2008 წლის 12 ივნისის წერილით აცნობა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტის №123 განკარგულებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის სს „...ის“ სამთო სამუშაოების შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი 3 924 400 ლარის გაცემა მოხდა სს „...ის“ გაკოტრების მმართველის მიერ მიწოდებული სიის შესაბამისად. სიაში აღმოჩენილი უზუსტობისა და ვალუტის კურსის ცვალებადობით გამოწვეული ნამთი გაიცა დამატებით სიაში შეყვანილ კრედიტორებზე, თუმცა თანხის ამონტურვის გამო 23 კრედიტორიდან სრულად დაკმაყოფილა 16, ხოლო ერთი – ნაწილობრივ. ამავე წერილით სს „...ს“ გადაეცა 6 კრედიტორის (მათ შორის, ნ. ბ-ე) სია, რომელთა ზარალის თანხაც ასანაზღაურებელი დარჩა;

3.9. სს „...ის“ გაკოტრების მმართველმა 2008 წლის 17 ივნისის წერილით მიმართა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელს და მოითხოვა დარჩენილი 6 კრედიტორის მიმართაც იგივე პროცედურის დაცვა, რაც გამოყენებულ იქნა ძირითად კრედიტორთა მიმართ. იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა 2008 წლის 21 ივლისის წერილით საქართველოს პრემიერ-მინისტრთან იშუამდგომლა სს „...ის“ დარჩენილი 6 კრედიტორის დაკმაყოფილების-თვის 105 800 ლარისა და 59 956 აშშ დოლარის გამოყოფა;

3.10. სს „...ი“ ლიკვიდირებულ იქნა 2008 წლის 4 ივლისს, „გაკოტ-

რების საქმის წარმოების დამთავრების „შესახებ“ საჩხერის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე;

3.11. დადგენილია, რომ 6. ბ-ემ არაერთხელ მიმართა საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის მოთხოვნით. 6. ბ-ის მოთხოვნას რეაგირება არ მოჰყოლია;

3.12. 6. ბ-ემ 2014 წლის 23 აპრილს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მის მიერ 2014 წლის 18 მარტს წარდგენილი №37207/01 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე ზეპირი უარის ბათილად ცნობა და სს „...ის“ მუშაობის შედეგად მიყენებული მატერიალური ზაიანის ანაზღაურებისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა;

3.13. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 აგვისტოს №1426 განკარგულებით 6. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

3.14. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მარტის (საქმე №3/3147-14) გადაწყვეტილებით 6. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 აგვისტოს №1426 განკარგულება და საქართველოს მთავრობას დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაც საკითხთან დაკავშირებით. ამავე გადაწყვეტილებით 6. ბ-ის სარჩელი საქართველოს მთავრობისთვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მესამე ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა. სასამართლომ აღნიშნა, რომ 6. ბ-ის საკითხის შეფასებისას საქართველოს მთავრობამ დაარღვია თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან საქართველოს მთავრობის მიერ მითითებული მცირედი განსხვავებები არ ამართლებდა 6. ბ-ის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში;

3.15. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 14 მარტს მიიღო №486 განკარგულება, რომლის საფუძველზეც 6. პის მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

4. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №486 განკარგულება მიღებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მხოლოდ ფორმალურად შესრულების მიზნით, ვინაიდან საკითხი კვლავ არ არის გადაწყვეტილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად.

5. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს თანასწორობის პრინციპის დაცვის საკითხი. მოპასუხებ უნდა გაითვალისწინოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში გაეკთებული განმარტებები, კერძოდ, განკარგულებებით საქართველოს მთავრობამ იყისრა სს „...ის“ მუშაობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა საქართველოს მთავრობის სს „...ის“ სამართლმემკვიდრედ მიჩნევის საფუძველი); 6. პ-ისათვის ზიანის ანაზღაურებაზე უარი კი განპირობებული იყო მხოლოდ იმ გარემოებით, რომ გამოყოფილი თანხა არ აღმოჩნდა საქმარისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით გადაწყვიტა.

6. რაც შეეხება საქართველოს მთავრობისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ სადაცვო საკითხის გადაუწყვეტლად საქართველოს მთავრობის განკარგულების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება გულისხმობს სწორედ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ საკითხის შესწავლას. აღნიშნული გარემოება კი, ამ ეტაპზე, გამორიცხავს სასამართლოს მიერ თანხის გამოყოფის დავალების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სა-

ქართველოს მთავრობამ და 6. ბ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განჩინებით საქართველოს მთავრობისა და 6. ბ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცველებად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ უურადღება გაამახვილა მასზედ, რომ 6. ბ-ის სს „...ის“ მუშაობის შედეგად დაზარალებულ პირად ცნობა და მის მიმართ ზიანის ანაზღაურების წარმოშობის ვალდებულება წინ უსწრებდა სს „...ის“ გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრებას; 6. ბ-ისათვის ზიანის ანაზღაურებაზე უარი განპირობებული იყო არა იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო არ აღიარებდა მის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, არამედ იმით, რომ ზიანის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ საქართველოს მთავრობამ დაარღვია თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან მის მიერ მითითებული მცირედი განსხვავებები არ ამართლებდა 6. ბ-ის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას.

11. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით შესარულოს სასამართლოს დავალება, არამედ უნდა გამოიყვალიოს, დაადგინოს და შეაფასოს ყეველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც სასამართლომ დაუდგენლად ჩათვალა და რომელთა გამოკვლევა-დადგენაც სადაც საკითხის სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილებისათვის აუცილებლად მიიჩნია. სადაც შემთხვევაში კი, ადმინისტრაციულ ორგანოს ეს ვალდებულება არ შეუსრულებია.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა 6. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილის გადაწყვეტილება.

ფილება მოითხოვა. მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაა-საჩივრა ასევე საქართველოს მთავრობამ, რომელმაც გასაჩივრე-ბული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

14. კასატორი ნ. ბ-ე მიიჩნევს, რომ სარჩელი სრულად უნდა დაკ-მაყოფილდეს, რადგან საქართველოს მთავრობა მოცემულ საქმე-ზე ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იმავე შინა-არსის აქტის გამოსცემს და მოსარჩელის უფლებების აღდგენა დრო-ში გაჭიანურდება. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარ-მოდგენილი მტკიცებულებები იძლევა საქმის არსებითად გადაწ-ყვეტისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლო-ბას.

15. კასატორი (მოსარჩელე) მიუთითებს, რომ დისკრეციული უფ-ლებამოსილების განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქ-ნეს კანონის მიზანი, ასეთი უფლებამოსილება უნდა განხორციელ-დეს კანონიერად, ობიექტურად და მიუკერძოებლად, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გამორიცხვით. კასატორი მიიჩნევს, რომ სა-დავო შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ დარღვეუ-ლია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესები.

16. კასატორი საქართველოს მთავრობა აღნიშნავს, რომ მოსარ-ჩელესთან მიმართებით თანასწორობის პრინციპი არ დარღვეულა, რადგან არ არსებობს იდენტური გარემოებები.

17. კასატორი (მოპასუხე) მიუთითებს შემდეგ ფაქტობრივ გა-რემობებზე: სს „...ის“ გაკოტრების საქმისნარმოება დასრულდა საჩერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის განჩინე-ბით, ხოლო საქართველოს მთავრობამ დაზარალებული პირების სა-სარგებლოდ სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოყო 2007 წლის 7 მარტის №123 და 5 აპრილის №175 განკარგულებებით; გაკოტრე-ბის საქმისნარმოების დასრულების შედეგად ირკვევა, რომ საქარ-თველოს მთავრობა არ იქნა მიჩნეული სს „...ის“ სამართალებრეგისტრედ; სს „...ის“ გაკოტრების მმართველის მიერ სიების წარდგენის დროისათვის არსებული, ყველა დადასტურებული მოთხოვნის მქო-ნე კრედიტორის დასაკმაყოფილებელი თანხა სწორედ სარეზერვო ფონდიდან იყო გამოყოფილი. ჩამოთვლილი გარემოებები, კასატო-რის მოსაზრებით, ადასტურებს, რომ მას არ დაურღვევია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მოთხოვნები.

18. საქართველოს მთავრობა, ასევე, მიიჩნევს, რომ ჯეროვნად აღასრულა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-ლება. საკასაციო საჩივრის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასა-მართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით ახალი ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ დავალება

არ გულისხმობდა ნ. ბ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობას დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მოქმედი კანონმდებლობა კი არ ითვალისწინებს სადაც საკითხის მარეგულირებელ სამართლის ნორმას, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა თანხის ოდენობის განსაზღვრა. 2007 წლის 7 მარტის №123 და 5 აპრილის №175 განკარგულებებით საქართველოს მთავრობამ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოხატა კეთილი ნება დაზარალებული პირების მიმართ და მათზე გაცემული თანხები არ წარმოადგენს ზიანის სრულ კომპენსაციას. შესაბამისად, მოსარჩელისთვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ზიანის თანხის (52 356 აშშ დოლარი) ანაზღაურება გაცილებით მეტი იქნება სხვა დაზარალებულთათვის მიცემული თანხის ოდენობაზე, რაც ამ პირებს არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყინებს და თანასწორობის პრინციპს დაარღვევს.

19. კასატორი საქართველოს მთავრობა დამატებით აღნიშნავს, რომ არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 წანილის გამოყენების საფუძველი, რადგან ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიკვლია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, ხოლო სასამართლო არ მიუთითებს კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც უნდა იქნეს გამოკვლეული ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 ივნისის განჩინებით ნ. ბ-ისა და საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საჩივრები განხილულ იქნებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო წანილი:

21. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ისა და საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივრები წანილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადაც საკითხს წარმოადგენს სასამართლოს კა-

ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცე-მული ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის კანონიერება, ასე-ვე, უნდა შეფასდეს მოცემული დავის საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძ-ველზე გადაწყვეტის შესაძლებლობის არსებობა.

23. საკასაციო პალატა, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხ-ლის პირველი პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ სა-ქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხ-ლის საფუძველზე, მიუთითებს, რომ სასამართლოს კანონიერ ძა-ლაში შესული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობა და კანონმდებ-ლობით მისი იძულებითი აღსრულების შესაძლებლობის უზრუნ-ველყოფა წარმოადგენს სამართლანი სასამართლოს უფლების უმ-ნიშვნელოვანეს კომპონენტს, რამეთუ „სასამართლოსადმი მიმარ-თვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცეითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამარ-თლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექ-ტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მო-ქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9); „ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების, მით უფრო – დარ-ღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი არ მოხ-დება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე „სააქციო საზოგადოები – „საეგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქარ-თველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4); „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება აზრს დაკარგავს, თუ მართლმასჯუ-ლების საბოლოო პროდუქტი – სავალდებულო ძალის მქონე გადაწ-ყვეტილება აღუსრულებელი დარჩება“ (საქართველოს საკონსტი-ტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის №2/5/879 გადაწ-ყვეტილება საქმეზე „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასა-მართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უდიდესი მნიშვნელო-ბიდან გამომდინარე, იგი უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სრულად, სასამართლოს მიერ დაფიქსირებული მითითებებისა და დავალე-ბების დაცვით.

24. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მას-

ზედ, რომ სადავო შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №486 გასაჩივრებული განკარგულება გამოცემულია სწორედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად. კერძოდ, დადგენილია, რომ ნ. ბ-ეს, როგორც სს „...ისგან“ დაზარალებულ პირს, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფაზე თავდაპირველად უარი ეთქვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 აგვისტოს №1426 განკარგულებით. აღნიშნული განკარგულება სადავო საკითხის გადაწყვეტლად ცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაშ 2015 წლის 5 მარტის (საქმე №3/3147-14) გადაწყვეტილებით. ამავე გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობას დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. შესაბამისად, გასაჩივრებული აქტის კანონიერების გადამოწმებისას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიერიქოს პირველი სამართალნარმოების ფარგლებში სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს, გაკეთებულ განმარტებებსა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიცემულ მითითებებს.

25. ნიშანდობლივია, რომ პირველი დავის წარმოებისას სასამართლოებმა აქცენტი გააკეთეს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე და საქართველოს მთავრობას საკითხის გადაწყვეტისას ამ გარემოებებზე ყურადღების გამახვილება მოსთხოვეს. კერძოდ, სასამართლოებმა დავის გადაწყვეტისას მიუთითეს შემდეგ საკითხებზე: 1. თანასწორობის პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე – სასამართლოთა განმარტებით, საქართველოს მთავრობამ ისარგებლა მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებით, სს „...ის“ მუშაობის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი მიიჩნია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგანგებო შემთხვევად და აღნიშნული ზარალის დასაფარად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ჭიათურის მუნიციპალიტეტს გამოუყო შესაბამისი თანხები. ამდენად, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, ყველა სხვა ანალოგიურ შემთხვევაში იგივე გადაწყვეტილება მიეღო. 6. ბ-ეს სხვა დაზარალებულებისაგან მხოლოდ ის გარემოება განასხვავებდა, რომ მისი დაზარალებულთა კატეგორიისადმი მიკუთვნება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა, რაც, სასამართლოთა მოსაზრებით, არ წარმოადგენდა შემთხვევათა არაიდენტურობის განმსაზღვრელ ფაქტორს. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 7 მარტისა და 5 აპრილის განკარგულე-

ბებით მთავრობის მიერ თანხის გამოყოფა მოხდა არა კონკრეტული პირებისთვის, არამედ ზოგადად სს „...ის“ მუშაობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის. კომპანიის გაკოტრების მმართველის 2007 წლის დეკემბრის წერილით კი საქართველოს მთავრობას ეცნობა, რომ სიების დაზუსტების პროცესი არ იყო ამონურული და შესაძლებელია, წარმოშობილიყო თანხის გაზრდის საჭიროება; 2. საქართველოს მთავრობის სს „...ის“ სამართალმემკვიდრედ არცნობაზე – სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მოცემული გარემოება ვერ იმოქმედებდა კომპენსაციის გაცემის პროცესზე, რამეთუ საქართველოს მთავრობას, მართალია, არ გააჩნია ზიანის ანაზღაურების კანონისმიერი ვალდებულება, მაგრამ მას კანონით ჰქონდა მინიჭებული საგანგებო შემთხვევების არსებობის პირობებში სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის უფლება და მთავრობამ თავად იკისრა ასეთი მოვალეობა; 3. ნ. ბ-ის დაზარალებულად ცნობის მომენტზე – მოსარჩევე სს „...ის“ მუშაობის შედეგად დაზარალებულ პირად ცნობილ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, რომელზეც 2008 წლის 2 აპრილს გაიცა საადსრულებო ფურცელი. სს „...ის“ ლიკვიდაცია კი მოხდა 2008 წლის 4 ივლისს, „გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ“ საჩერის რაიონული სასამართლოს განჩინებით. ამდენად, ნ. ბ-ის სს „...ის“ მუშაობის შედეგად დაზარალებულ პირად ცნობა და მის მიმართ ზიანის ანაზღაურების წარმოების ვალდებულება წინ უსწრებდა სს „...ის“ გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრებას; 4. ნ. ბ-ისთვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველზე – სს „...ის“ გაკოტრების მმართველის 2008 წლის 21 აპრილის №07-56 მიმართვის საფუძველზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტმა ნ. ბ-ე შეიყვანა სს „...ის“ მუშაობის შედეგად დაზარალებულ პირთა დამატებით სიაში, თუმცა მისი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა თანხის ამონურვის გამო. ამრიგად, ნ. ბ-ისთვის ზიანის ანაზღაურებაზე უარი განპირობებული იყო არა იმ გარემობით, რომ სახელმწიფო არ აღიარებდა მის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, არმედ იმით, რომ ზიანის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი თანხა არ აღმოჩნდა საქმარისი.

26. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოიცა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №486 განკარგულება, რომლითაც ნ. ბ-ის მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ კვლავ არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: 1. მოსარჩელესთან მიმართებით დავალიანების დაფარვაზე ვალდებულ სუბიექტად განისაზღვრა კერძო სამართლის კონკრეტული სუბიექტი – სს „...ის“ და არა საქართველოს მთავრობა (მთავრობა/სახელმწიფო არ იქნა მიჩნეული სს „...ის“ სამართალმემკვიდ-

რედ); 2. სს „...ისგან“ დაზარალებული პირების დასაკმაყოფილებლად თანხების გამოყოფა არ წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის ვალდებულებას. განკარგულებების გამოცემით საქართველოს მთავრობამ, საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოხატა კეთილი ნება და განსაზღვრა კონკრეტული თანხები დაზარალებული პირების დასაკმაყოფილებლად; 3. თანასწორობის პრინციპი არ დარღვეულა, რადგან საქართველოს მთავრობის მიერ თანხის გამოყოფის შესახებ განკარგულებების გამოცემისას საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი დასრულებული არ იყო. დღეის მდგომარეობით, კომპანია ლიკვიდირებულია. 6. ბ-ე კი წარდგენილ სიებში არ ფიქსირდებოდა; 4. დაზარალებულ პირებზე გაცემული თანხები არ წარმოადგენს ზიანის სრულ კომპენსაციას და ამასთან, 6. ბ-ისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა საშემფასებლო აქტში.

27. საქართველოს მთავრობის მიერ სასამართლოს კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულებისა და დასაბუთებული აქტის გამოცემის ვალდებულების შესრულების გამოკვლევის, აქტის კანონიერების დადგენის თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული აქტის ზემოაღნიშნულ შინაარსზე, რომელიც იმეორებს საქართველოს მთავრობის მიერ პირველი სასამართლო წარმოების ფარგლებში გაუდერებულ არგუმენტებს. კერძოდ, საქართველოს მთავრობას სასამართლოში პირველივე დავის განმავლობაში ხაზგასმით განემარტა, რომ საკითხის გადაწყვეტაზე გავლენას ვერ მოახდენდა მის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება და მისი სს „...ის“ სამართალმემკვიდრედ არცნობა. ამრიგად, გასაჩივრებულ აქტში სამართალმემკვიდრეობისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე გაეკითხულ მითითებებზე სასამართლოს ერთხელ უკვე დეტალურად და არსებითად აქვს ნამსჯელი, როდესაც დასახელებული გარემოებები ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძვლად არ მიიჩნია. შესაბამისად, ხსენებული მოტივაცია სადავო აქტის კანონიერად მიჩნევას ვერ განაპირობებს.

28. საქართველოს მთავრობამ, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იყისრა რა სს „...ისგან“ დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემა, საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის, ასეთი ვალდებულება უნდა შეესრულებინა თანასწორობის პრინციპის დაცვით. ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საქართველოს მთავრობას უნდა ემოქმედა სწორედ თანასწორობის პრინციპის დაცვით, რომელიც გარანტირებულია არა მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-

დექსის მე-4 მუხლით, არამედ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებას წარმოადგენს. მით უფრო, რომ „კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი მიმდინარების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ თანასწორობის პრინციპი „კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ (ან პირიეით) გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე მოპყრობის ნებისმიერ შემთხვევას“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭობქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-1). შესაბამისად, სახელმწიფოს მხოლოდ ობიექტური საფუძვლით შეეძლო მოსარჩელისთვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა, თუკი დაასაბუთებდა პირთა არაიდენტურ მდგომარეობაში ყოფნას ან განსხვავებული მოპყრობის გამართლების მიზე-ზებს დაასახელებდა. ამასთანავე, მოპასუხეს დეტალურად უნდა გაეფთვალისწინებინა სასამართლოს მითითებები და არ იყო უფლებამოსილი, ზიანის ანაზღაურებაზე უარი სასამართლოს მიერ უკვე უკანონოდ მიჩნეული მოტივებით ეთქვა.

29. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის არგუმენტს, რომ თანასწორობის პრინციპი არ დარღვეულა, რადგან არ იკვეთება გარემოებათა იდენტურობა (კომპანია ლიკვიდირებულია, ხოლო ნ. ბ-ე გაკოტრების მმართველის მიერ წარდგენილ სიებში არ ფიქსირდებოდა), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული განსხვავება არ არის ისეთი ხასათის მატარებელი, რაც დაზარალებულების მიმართ არათანაბარ მოპყრობას გაამართლებდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ნ. ბ-ის დაზარალებულად ცნობა წინ უსწრებდა სანარმოს ლიკვიდაციას, დაზარალებულთა დაკმაყოფილება კი იკისრა მთავრობამ და მათვის კომპენსაციის გაცემა არ მომხდარა სანარმოს გაკოტრების საქმისწარმოების წესების საფუძველზე. ამასთან, მთავრობისთვის ცნობილი იყო, რომ გაკოტრების მმართველის წარდგენილი სიები არ იყო სრული, საბოლოო და შესაძლებელია თანხის დამატებით გამოყოფა გამხდარიყო საჭირო. საგულისხმოა, რომ ნ. ბ-ის დაზარალებულად ცნობის მომენტსა და

საფუძველზე სასამართლოებმა, ასევე, მიუთითეს პირველი სამართლნარმოების ფარგლებში და აღნიშნეს, რომ მოსარჩელეს ზიანი მხოლოდ იმიტომ არ აუნაზღაურდა, რომ გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი. შესაბამისად, გასაჩივრებულ აქტში მითითებული გარემოებები თანასწორობის პრინციპის დაცვას არ ადასტურებს.

30. ზიანის ასანაზღაურებელი თანხის მოცულობასთან დაკავშირებით კი, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ 6. ბ-ისთვის სს „...ის“ მიერ მიყენებული ზიანის ოდენობა დამატებით კვლევას არ საჭიროებს, რამეთუ იგი განსაზღვრულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და შეადგენს 52 356 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. ამასთანავე, თუკი საქართველოს მთავრობამ სხვა დაზარალებულები სრულად არ დააკმაყოფილა, მანვე უნდა დაადასტუროს და მიუთითოს, რა პროპორციით მოხდა თანხის გაანგარიშება და თანასწორობის პრინციპის დაცვით, იმავე მეთოდით უნდა გადაუხადოს მოსარჩელეს კომპენსაცია.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის სადაცვო განკარგულებით არ მომხდარა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ჯეროვანი აღსრულება, გასაჩივრებული აქტი არ არის სათანადოდ დასაბუთებული და კვლავ ვერ ჰასუხობს თანასწორობის პრინციპის დაცვის მოთხოვნებს. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ სადაცვო აქტი გამოიცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, თუმცა საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადაცვო საკითხის გადაუწყვეტლად სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნინაპირობა. მითითებული ნორმის გამოყენება „სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-355-340(2-09)).

32. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადაცვო შემთხვევებში სასამართლო იყო უფლებამოსილი და პქნდა რეალური შესაძლებლობა, რომ სარჩელი არსებითად გადაეწყვიტა, რამეთუ საქმეზე

დადგენილია ყველა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, მათი სამართლებრივი შეფასება კი სწორებ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. საკასაციო სასამართლო, ასევე, ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დავა ერთხელ უკვე იქნა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტილი, თუმცა გასაჩივრებულ აქტში იმავე ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ წინაპირობებზე არის მითითება გაკეთებული, რაც სასამართლომ გამოიკვლია, შეაფასა და სათანადო არგუმენტაციად არ მიიჩნია. მაშასადამე, ვინაიდან საქმეზე ახალი გარემოებები გამოკვეთილი არ არის და ყველა ფაქტი უდავოდ დადგენილია, მხარეთა უფლებების დროულად დაცვის მიზნით, სასამართლომ მოცემული დავა არსებითად უნდა გადაწყვეტოს.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონბება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებისა და წინამდებარე განჩინებაში გაკეთებული განმარტებების გათვალისწინებით, უნდა იმსჯელოს სასარჩევლო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობაზე და არსებითად გადაწყვეტილს მოცემული დავა. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლიდან გამომდინარე, საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. ბ-ისა და საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივრები

დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების/არააღიარების საფუძველი

განხილვა საქართველოს სახელით

№ბს-121(კ-20)

23 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. ქადაგიძე,
6. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 19 თებერვალს პ. ნ-ებ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 7 თებერვლის №MES 3 19 00131946 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის პ. ნ-ის მიერ შპს „...ში“, 1993-1997 წლებში, მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2019 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით პ. ნ-ის სარჩეული დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 7 თებერვლის №MES 3 19 00131946 გადაწყვეტილება; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონით დადგენილ ვადაში, პ. ნ-ის მიერ „...ში“ 1993-1997 წლებში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 25¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახდენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომელიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას. მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განათლების მიღების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს; ხოლო პირის მიერ პროგრამის ნაწი-

ლობრივ გავლა – საგანმანთლებლო პროგრამის შესაბამისი ნაწილის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოპასუხე – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება და განათლების აღიარების საკითხის გადაწყვეტა ევალება საქმის გარემოების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად, რაც წარმოადგენს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას. ამასთან, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარება ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ნებისმიერ სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესით“ რეგულირებული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების მიერ მიღებული განათლების აღიარების აღიარების შესაძლებლობა იმთავითვე გულისხმობს მათ მიერ მიღებული განათლების შესახებ სრულყოფილი დოკუმენტაციის არარსებობას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ბრძანებით რეგლამენტირებული განათლების აღიარების მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღნიშნული პირების მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას სწორედ ამ პირობების.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და რასაც არც მოპასუხე – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ხდის სადავოდ, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტები, მათ შორის შპს „...ის“ მიერ გაცემული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილი სტუდენტის ბილეთის, ე. ს-ის, გ. ნ-ისა და თ. ბ-ის წერილობითი

განცხადებით დადგენილად მიიჩნია, რომ პ. ნ-ე 1993-1997 წლებში ნამდვილად სწავლობდა შპს „...ში“ იურისტ-ეკონომისტის ფაკულტეტზე. სასამართლომ ყურადღება გამახვილა, ასევე, იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ეროვნული არქივის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ შპს „...ის“ დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მოსარჩელის მიერ „...ში“ მიღებულ უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის წარმოებისას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვერ იქნა მოძიებული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტაცია: მოსარჩელის მითითებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებები, კურსიდან-კურსზე გადაყვანის ბრძანებები, სახელმწიფო საგამოცდო ოქმები, კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები, დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ურნალის ასლები და სწავლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო საკითხი სრულყოფილად არ გამოიკვლია, კომპლექსურად არ გააანალიზა და შესაბამისი შეფასება არ მისცა ადმინისტრაციული წარმოების დროს მოპოვებულ და მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. ის გარემოება, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვერ იქნა მოძიებული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტაცია: მოსარჩელის მითითებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანება, კურსიდან-კურსზე გადაყვანის ბრძანება, სახელმწიფო საგამოცდო ოქმი, კვალიფიკაციის მინიჭების გაცემის სარეგისტრაციო ურნალის ასლები და სწავლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, ის გარემოება, რომ ხსენებული დოკუმენტები არც საქართველოს ეროვნულ არქივში არ ინახებოდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მიზნიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს მითითებით, არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრა-

ციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე-34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 7 თებერვლის №MES 3 19 00131946 გადაწყვეტილება მოსარჩევლისათვის განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხეს უნდა დავალებიდა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩევლის მიერ „...ში“ 1993-1997 წლებში მიღებული, უმაღლესი განათლების აღიარების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, რომელმაც გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, რომელმაც გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლოებმა არასწორად მიიჩნიეს დადგენილად ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ე. ს-მა, გ. ნ-ემ და თ. ბ-ემ წერილობით დაადასტურეს 1993-1997 წლებში შპს „...ში“ პ.

ნ-ის სწავლა და იმ ფაქტის ნამდვილობა, რომ პ. ნ-ე იყო მათი კურ-სელი. №3/1173-19 საქმეში არ არსებობდა კვალიფიკაციის მინიჭე-ბის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც, ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სა-ქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამ-დვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლე-ბის აღიარების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაადასტურებდა პ. ნ-ის მიერ განათლების მიღების ფაქტს. კასა-ტორის მოსაზრებით, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სა-რეგისტრაციო უზრნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს.

კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრა-ციული წარმოების დროს დადგინდა, რომ შპს „...ის“ დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ იყო დაცული. ამასთან, პ. ნ-ემ ვერ წარადგინა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემუ-ლი „წესით“ გათვალისწინებული დოკუმენტაცია კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე. წარდგენილია მხოლოდ სტუდენტის ბილეთი, რომელიც განათლების აღიარების მიზნებისთვის არ არის რელე-ვანტური. განათლების მიღების ფაქტის დადასტურების შემთხვე-ვაში, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 25¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ცენტრი უფლებამოსილია გასცეს განათლების აღიარების დამადასტურე-ბელი დოკუმენტი – დიპლომი, რაც მოცემულ საქმეში თუნდაც თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებშიც სწორედ მოსარჩევლის ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლებელია, ვინაიდან როგორც ადმინისტრაციული წარმოების დროს, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოში სამართალნარ-მოების ფარგლებში მოსარჩევეს არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფდა მის მიმართ კონკრეტული კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს. საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემისას კი, აუცილებელი იყო, კონკრეტული კვალიფიკაციის დიპლომში მითი-თება, ვინაიდან, კასატორის განმარტებით, „უმაღლესი განათლე-ბის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დიპლომი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწე-სებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებე-ლი დოკუმენტი.

კასატორი მიუთითებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქარ-

თველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესზე“ და აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სწორებ წესის შესაბამისი რეგულაციებით იხელმძღვანელა ცენტრმა განათლების მიღების ფაქტის დადასტურების თაობაზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და ცალსახად დაადგინა, რომ არ არსებობდა ხსენებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პ. ნ-ის სწავლის თაობაზე ინფორმაცია, ასევე, ვერ მოიძებნა შპს „ში“ 1993-1997 წლებში პ. ნ-ისთვის კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტები. კასატორის განმარტებით, სასამართლო პროცესზე პ. ნ-ის მიერ წარმოდგენილი მისი კურსელების წერილობითი განცხადებებითა და ჩათვლის წიგნაკებით/სტუდენტის ბილეთებით დასტურდება მხოლოდ ის, რომ ისინი სწავლობდნენ იურისტ-ეკონომისტის ფაკულტეტზე, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა არ ემთხვეოდეს შესაბამის კვალიფიკაციას, აღნიშნული კი, გამორიცხავს მოსარჩელის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, რადგან სახეზე არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით დაგენილი პირობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის და გასა-

ჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

პ. ნ-ემ 2019 წლის 14 იანვარს განცხადებით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და შპს „...ში“ 1993-1997 წლებში მიღებული განათლების აღიარება მოითხოვა.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2019 წლის 16 იანვრის №MES 0 19 00034004 წერილით პ. ნ-ეს მოსთხოვა შპს „...ში“, 1993-1997 წლებში, მიღებული განათლების აღიარებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა.

პ. ნ-ემ 2019 წლის 18 იანვარს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა სტუდენტის ბილეთი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2019 წლის 16 და 18 იანვრის წერილებით მიმართა საქართველოს ეროვნულ არქივს და მოითხოვა არქივში დაცული, შპს „...ში“ პ. ნ-ის მიერ უმაღლესი განათლების აღიარებისთვის საჭირო, სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტაციის წარდგენა.

საქართველოს ეროვნული არქივის 2019 წლის 30 იანვრის წერილით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეცნობა, რომ შპს „...ის“ დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ იყო დაცული. შესაბამისად, არქივი მოკლებული იყო შესაძლებლობას წარედგინა პ. ნ-ის მიერ აღნიშნულ დაწესებულებაში სწავლების ფაქტის შესახებ ინფორმაცია.

ე. ს-მა, გ. ნ-ემ და თ. ბ-ემ წერილობით დაადასტურეს, რომ პ. ნ-ე 1993-1997 წლებში ნამდვილად სწავლიბდა შპს „...ში“ და იყო მათი კურსელი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებაზე, რასაც არც მოპასუხებდიდა სადაცოდ, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს უწყებრივი სალიცენზიონ რეესტრის მონაცემებით, შპს „...ი“ წარმოადგენდა ლიცენზირებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას. შესაბამისად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტები, მათ შორის შპს „...ის“ მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტები, მათ შორის შპს „...ის“ მიერ გაცემული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განათლების მიღება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების შეძენის, მისი ფორმის და პროფესიული მიმართულების არჩევის, შეძენილი უმაღლესი განათლების აღიარებისა და მისი თავისუფალი რეალზაციის დაუბრკოლებლად, შეუზღუდვად განხორციელების შესაძლებლობის შექმნას. ამასთან, აღნიშნული არ გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებას, რომლებითაც განსაზღრული იქნება პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების საკითხი, რაც პირდაპირ უკავშირდება ხარისხიანი განათლების მიღებას.

სწორედ განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეიქმნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრი, ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას. ამავე კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრულია, ცენტრის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები, კერძიდ, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. ამავე კანონის 25¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს ოუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უძალლესი განათლების, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლოსაქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილო-

ბის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის „მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარებას, რაც გულისხმობსა ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განათლების მიღების ფაქტის დადგენის მიზნებსათვის, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო უზრნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს; ხოლო პირის მიერ პროგრამის წარმიმდობრივ გავლა – საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი წარმიმდობრივი გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს – პ. 6-ის მიერ შპს „...ში“, 1993-1997 წლებში, მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 7 თებერვლის №MES 3 19 00131946 გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 7 თებერვლის №MES 3 19 00131946 გადაწყვეტილებას, საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ვერ იქნა მოძიებული შპს „...ში“ 1993-1997 წლებში პ. 6-ისთვის კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები (კანონით დადგენილი წესით), ამდენად, სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლოსა-

გან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს ან შეაფასოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დასასაბუთოს თავისი სარჩელი და ნარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია ნარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის მონაწილეთა ვალდებულებას წარმოადგენს, მათ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებების წარდენის გზით დაადასტურონ. თავის მხრივ, სასამართლოს ვალდებულებაა, მხარეებს მისცეს მტკიცებულებათა წარდგენისა და საკუთარი პოზიციებისა დაცვის პროცესუალური შესაძლებლობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი მოსამართლეს პროცესში აქტიურ როლს ანიჭებს და აძლევს შესაძლებლობას, იზრუნოს საქმის მართებული გადაწყვეტისათვის საჭირო ინფორმაციისა თუ მტკიცებულებათა დამატებით მოპოვებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე პ. ნ-ეს შპს „...ში“ 1993-1997 წლებში მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს მხოლოდ სტუდენტის ბილეთი და ე. ს-ის, გ. ნ-ის და თ. ბ-ის წერილობით დაადასტურება, რომ პ. ნ-ე 1993-1997 წლებში ნამდვილად სწავლობდა შპს „...ში“ და იყო მათი კურსელი, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის მიჩნეულ იქნა საკმარის მტკიცებულებად, რათა დაედგინათ პ. ნ-ის მიერ შპს „...ში“ 1993-1997 წლებში მიღებული უმაღლესი განათლების და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საკმარისად არ არის დასაბუთებული არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით. საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა მოიპოვოს მოსარჩევლის პ. ნ-ის მიერ შპს „...ში“ 1993-1997 წლებში მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულებები და დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობის შემთხვევაში იმსჯელოს წარმოდგენილი სტუდენტის ბილეთი, რამდენად მიეკუთვნება წარსულში მიღებული განათლების და კულიტივური უმაღლესი მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს, ვინაიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა წესით გაცემულ საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს მიიჩნევს სახელმწიფო ოლიარებულად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება/არაღიარების საკითხი მხრისათვის აღმტურველი ბუნებისაა, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ მხარეს გარკვეული უფლებამოსილება ენიჭება. შესაბამისად, უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარი სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება აქტის გაუქმებას და ამ დოკუმენტის მიმართ სრული მოცულობით ვრცელდება კანონიერი ნდობის დამცველობითი ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღმტურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის „კანონიერების პრინციპი“, რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. ამ მნიშვნელოვანი პრინციპს უპირისპირდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი. ამდენად, ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული სამართლწარმოების ამოცანაა კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოახდინონ ამ ორი პრინციპის შეპირისპირების გზით თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ წარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარის თქმა სწავლის შედეგების ფაქტობრივი გაპათილებაა და ავტომატურად არ შეიძლება გახდეს ფიზიკური პირის მიერ უკვე მოპოვებული შრომის უფლების შეზღუდვის საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ

დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების ფარგლებში ასევე უნდა გამოარკვიოს სადაც აქტისადმი მოსარჩელის კანონიერი ნდობის საფუძვლები, კერძოდ, მოსარჩელე მუშაობს თუ არა იმ კვალი-ფიკაციით, რაც სტუდენტის ბილეთშია მითითებული და აღნიშნულის საფუძველზე, ახორციელებს თუ არა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე მოქმედებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საქმის მასალებში წარმოდგენილი არასაკმარისი მტკიცებულებისა (სტუდენტის ბილეთი და მონმეთა ჩვენება) და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოცემულ საკითხზე ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს პ. ნ-ის მიერ შპს „ში“ 1993-1997 წლებში მიღებული უმაღლესი განათლების ალიარების კანონიერების საკითხზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ და საბოლოოდ საქმეზე მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყვდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-

ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა და არ საჩივრდება.

მინის ნაკვეთის ფუძეციური ზონის შეცვლის თაობაზე ნორმატიული აქტის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1112(კ-18)

26 იანვარი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე

დავის საგანი: ნაკვეთების ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა-შეყვანის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. დ-ამ 16.12.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის იმ ნაწილში ბათილად (ცნობის მოთხოვნით, რომლითაც ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთები – ს.კ. №... და ს.კ. №... შეყვანილ იქნა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 03.09.2007წ. და 15.02.2008წ. შეიძინა ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე 450-450 კვ.მ. ფართის ორი მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 06.10.1994წ. დადგენილებით გამოეყოთ ი.

და კ. შ-ებს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. მოსარჩე-ლის განმარტებით, ...ის ქუჩაზე მ. დ-ას კუთვნილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორია მთლიანად განაშენიანებულია, კერძოდ მი-ნის ნაკვეთზე ს.კ. №... შპს „...ს“ აშენებული აქვს 8 (რვა) სართული-ანი საცხოვრებელი კომპლექსი, ხოლო ნ.ზ-ისა და თ. ბ-ას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №...), რომლის ტერიტორიაზეც ვრცელდებო-და ლსზ-ის სტატუსი, ამჟამად გაცემულია სპეციალური ზონალუ-რი შეთანხმება ...ოს ასაშენებლად. ამდენად, ზემოაღნიშნულ ტე-რიტორიაზე სრულიად დასაშვებია სამშენებლო პირობების დად-გენა, მისი შემდგომი განაშენიანების მიზნით. მოსარჩელეს უკა-ნონოდ ეზღუდება თავისი საკუთრების გამოყენების უფლება, რად-გან მიწის ნაკვეთები, რომელთა სამშენებლოდ განვითარებასაც მას სურს, შეზღუდულია სპეციალური, ლსზ-ის სტატუსით.

მოსარჩელე უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონ-ვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლზე, კონსტიტუ-ციის 21-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ საკურებულოს გადაწყვეტი-ლებით მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ისეთი ზონის სტატუსი, რომელიც მთლიანად ზღუდვას მისი და-ნიშნულებისამებრ გამოყენებას. შეზღუდვის თავისებურებიდან გამომდინარე, საერთოდ ეჭვეჭვეშ დგება საკუთრების უფლების არ-სი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 06.03.2017წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის შესა-ბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ ქ. თბილისის მუ-ნიციპალიტეტის მერია და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერი-ტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკით-ხთა საბჭო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 29.09.2017წ. გადაწყვეტილებით მ. დ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე ფართით 450-450 კვ.მ. (ს.კ. №... და ს.კ. №...) რეგის-ტრირებულია მ. დ-ას უფლება 2007-2008 წლებში დადებული ნას-ყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე. ქ. თბილისის მუნიცი-პალიტეტის საკურებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით მ. დ-ას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მოქცე-ულ იქნა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში (ლსზ) და 2009 წლი-დან დღემდე აღნიშნული მიწის ნაკვეთების ფუნქციური ზონის ცვლილება არ განხორციელებულა. მ. დ-ამ 09.09.2016წ. განცხადე-

ბით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ქალაქ-გეგმარებითი დასკვნის მომზადება მოითხოვა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.09.2016წ. №2839286 გადაწყვეტილებით მ. და-ას ეცნობა, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით ვრცელდებოდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), სადაც დაუშვებელი იყო ყოველგვარი მშენებლობა, რის გამოც არქიტექტურის სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეცა დადებითი ქალაქებრივი დასკვნა. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 03.11.2016წ. №54 სხდომაზე განხილულ იქნა მ. და-ას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის სტატუსის – ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილების საკითხი და ზონალური საბჭოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ცვლილებაზე ეტექა უარი.

ქ. თბილისის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილების თანახმად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიებს გამოყენებს (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს, ხოლო „ჩარჩო გეგმა“ – ფუნქციურად და გეგმარებითად ერთიანი დიდი ქალაქმშენებლობითი ერთეულის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის სქემის სახით დამუშავებული ქალაქ-თმშენებლობითი არასამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დადგენილი პროცედურის და პირობების ფარგლებში განსაზღვრავს განაშენიანებს რეგულირების გეგმის გეგმარებით მიმართულებებსა და პრიორიტეტებს.

სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“ ადგენს სამშენებლო საქმიანობისათვის ტერიტორიებისა და მიწის ნაკვეთის გამოყენების სპეციფიკურ პირობებს. აღნიშნული წესის მიხედვით, უფლებრივი ზონირების განხორციელების მიზნით დედაქალაქის ტერიტორია იყოფა მიწათსარებლობის გეგმის გადაწყვეტების შესაბამის ზოგად

ფუნქციურ ზონებად და განაშენიანების რეგულირების გეგმების გადაწყვეტების შესაბამის კონკრეტულ ფუნქციურ ზონებად(ქვე-ზონებად), რომელთა დაყოფა აისახება მინათსარგებლობის გენე-რალური გეგმის შესაბამისი უფლებრივი ზონირების ზოგად რუკა-ში. ამასთან, ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სხვადასხვა ზოგადი ფუნქციური ზონები, მათ შორის, ლანდშაფტურ-სარეკარე-აციო ზონა – (ლსზ), რომელიც წარმოადგენს თბილისის (ადმინის-ტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფა-სეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლე-ბელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი შენობა-ნა-გებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ი. და კ. შ-ების მიმართ მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 06.10.1994წ. №23.23.474 დადგენი-ლება მინის ნაკვეთების ინდივიდუალური ბინაომშენებლობისათ-ვის გამოყოფის თაობაზე რელევანტურია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით. სახელმწიფოს ვალდებულებას წარ-მოადგენს როგორც კერძო მესაკუთრეთა ინტერესების დაცვა, ასე-ვე ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვა. მოცემულ შემთხვევაში და-გენილია, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთ-ზე, 2009 წლიდან დღემდე ფუნქციური ზონის ცვლილება არ გან-ხორციელებულა. მითითებული მინის ნაკვეთი წარმოადგენს ერ-თიანი გამწვანებული ტერიტორიის ნანილს, სადაც საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაუშვებელია. ამასთან, მითითებული მი-ნის ნაკვეთის სტატუსის ცვლილების საკითხი ქ. თბილისის მუნი-ციპალიტეტის მერიის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენი-ანების რეგულირების საკითხთა საბჭომ განიხილა და ლანდშაფ-ტურ-სარეკარეაციო ზონის საცხოვრებელი ზონით შეცვლა მიზან-შენონილად არ მიიჩნია, ზონის სტატუსის ცვლილების თაობაზე საბჭოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სადაცო არ გამხდარა. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმას-თან დაკავშირებით, რომ იმავე ლანდშაფტურ-სარეკარეაციო ზო-ნაში მიმდინარე განაშენიანების პროცესი არათანაბარ პირობებში აყენებს მოსარჩელეს ერთსა და იმავე ზონაში არსებულ სხვა მინის ნაკვეთების მესაკუთრეებთან მიმართებით. საქართველოს კონ-სტიტუციის მე-14 მუხლით დაცული თანასწორობის უფლების მიზ-ნებისთვის, არსებითად თანაწორი პირების მიმართ ნებისმიერი სა-ხის დიფერენცირება დისკრიმინაციულ მოპყრობად არ ჩაითვლე-ბა. კონსტიტუციის მე-14 მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოს, ნებისმიერ შემთხვევაში სრულად გაათანაბროს არსებითად თანას-წორი პირები. ერთმანეთისგან განსხვავდება დისკრიმინაციული

დიფერენციაცია და ობიექტური ნიშნით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე, სადაც ნორმით დადგენილი განსხვავებული მოპყრობის საფუძველზე, კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩარევა იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიფერენცირება ხდება არსებითად თანასწორ პირებს შორის, რასაც განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს აზრით ადგილი არ აქვს. საქმის მასალებით, ასევე ფაქტების კონსტატაციით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ ერთერთ ნაკვეთზე (ს.კ. №...) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განხორციელებულია ქ. თბილისის საკრებულოს 05.06.2009წ. №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ მიღებამდე, ხოლო მეორე ნაკვეთი (ს.კ. №... და №...), რომელზეც გაცემულია სპეციალური ზონალური შეთანხმება ...ოს ასაშენებლად და რომელთან მიმართებით არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, არ მდებარეობს მოსარჩელის ნაკვეთის მიმდებარედ, აღნიშნული ნაკვეთები მ. დ-ას საკუთრებაში არსებული ნაკვეთებისგან გამოყოფილია ...ის ქუჩით. ამდენად, მოსარჩელე ვერ ამტკიცებს თუ რაში გამოიხატებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მის მიმართ არათანაბარი მოპყრობა მასსა და მასთან არსებითად თანასწორ პირებს შორის. სახეზეა უპირატესი საჯარო ინტერესის არსებობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.09.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციი წესით გაასაჩივრა მ. დ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.2018წ. განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს უფლებამონაცვლედ (ცნობილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.06.2018წ. განჩინებით მ. დ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.09.2017წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწო-

რად გადაწყვიტა სადაცო საკითხი, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება, თავის მხრივ, აპელანტმა თავის საპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.06.2018წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. და-ამ. კასატორმა იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძლებზე მითითებით, რომლებზეც ამყარებდა სასარჩელო მოთხოვნებსა და სააპელაციო საჩივარს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკამაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფას საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში დაცული მტკიცებულებები. როგორც, საქალაქო ისე სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტებზე, კერძოდ ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებსა და განაშენიანების რეგულირების წესებზე“, რომელიც გაუქმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.2016წ. №14-39 დადგენილებით, სარჩელის წარდგენის დროს მოქმედებდა არა ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. დადგენილება, არამედ 30.12.2014წ. №20-105 დადგენილება, რომელმაც პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი მიაყენა მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. მ. და-ამ 09.09.2016წ. განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ქალაქებრამარტით დასკვნის მომზადების მოთხოვნით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.09.2016წ. №2839286 გადაწყვეტილებით მ. და-ასათვის ცნობილი გახდა, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ქ. თბილისის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), სადაც დაუშვებელი იყო ყოველგვარი მშენებლობა. კასატორმა კანონით დადგენილ ვადაში სადაცოდ გახადა ის ნორმატიული აქტი, რომელიც მის კანონიერ უფლებებს აყენებდა პირდაპირ და უშუალო ზიანს. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის სადაცო ნაწილი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იმგვარად ზღუდავდა მ. და-ას საკუთრების უფლებას, რომ შინაარსს უკარგავდა მას, როგორც ობიექტურ

ლირებულებას. არსებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა ისე-თი ზონის სტატუსი, რომელიც სრულად გამორიცხავდა მისი და-ნიშნულებისამებრ გამოყენებას, მეტიც ლსზ-ის სტატუსის მინი-ჭება გულისხმობდა, რომ მიწის ნაკვეთის განვითარება უნდა მომ-ხდარიყო მხოლოდ საკურარეაციო მიზნებისთვის.

ქ. თბილისის საკურებულოს 30.12.2014წ. №20-105 გადაწყვეტი-ლების სადაც ნაწილის მოქმედებით იზღუდება კასატორის საკუთ-რების უფლება, კერძოდ მას ერთმევა შესაძლებლობა გამოიყენოს მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ. შეზღუდვა ეხება სარგებლობის უფ-ლებას, რაც საკუთრების უფლების უმნიშვნელოვანესი ელემენ-ტია. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს 24.05.2016წ. №14-39 დადგენილების თანახმად ლსზ-ის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთებზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობისა. შე-საბამისად, საკუთრების უფლების შეზღუდვა ხდება იმგვარად, რომ მას უკარგავს ფუნქციას, რადგან კასატორის საკუთრებაში არსე-ბული მიწის ნაკვეთით სარგებლობა მასზე სამშენებლო სამუშაო-თა ჩატარების უფლების გარეშე, მხოლოდ ფორმალურად რეგის-ტრირებულ უფლებად რჩება.

სააპელაციო სასამართლო აუცილებელი საზოგადოებრივი სა-ჭიროებისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვაზე უთითებს, თუმცა მხედველობის მიღმა ტოვებს ამ შეზღუდვის ხარისხს. შეზ-ღუდვის ხარისხი არ უნდა გასცდეს გონივრულ ზღვარს, რომლის შემდეგაც იწყება საკუთრების უფლების რღვევა და თავისი შინა-არსით უთანაბრდება საკუთრების უფლების ჩამორთმევას.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო მსჯელობის გარეშე დატოვა ქ. თბილისის საკურებულოს 26.12.2016წ. საოქმო გადაწყვე-ტილება, რომელიც საფუძვლად დაედო სადაც გადაწყვეტილე-ბას და რომელიც არ შეიცავს მსჯელობას თუ რა აუცილებელი სა-ზოგადოებრივი საჭიროებით იყო განპირობებული მ. დას საკუთ-რებაში რიცხული მიწის ნაკვეთებისათვის ლსზ-ის სტატუსის გან-საზღვრა, იყო თუ არა შეზღუდვა კანონით პირდაპირ გათვალისწი-ნებული, იყო თუ არა იგი ლეგიტიმური მიზნის – საჯარო ინტერე-სის დაცვის თანაზომიერი, სასამართლოს არ უმსჯელია საკუთრე-ბის უფლების შეზღუდვის ხარისხზე. სასამართლოს მიერ იმ გარე-მოებაზე მითითება, რომ 2009 წლის გაუქმებული ნორმატიული აქ-ტითაც ვრცელდებოდა მ. დას ქონებაზე ლსზ-ის სტატუსი, რომე-ლიც უცვლელად იქნა დატოვებული სადაც 2014 წლის გადაწყვე-ტილებით, არ აქცევს კანონიერად 30.12.2014წ. უკანონო გადაწ-ყვეტილებას სადაც ნაწილში. ზემოაღნიშნული 2009წ. გადაწყვე-ტილების ხარვეზიანობაზე თვითონ მოპასუხე მიუთითებდა ნარ-

მოდგენილ შესაგებელში. გადაწყვეტილების ხარვეზიანობაზე მიუთითებს ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.06.2015ნ. გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №18-ში მდებარე ნ. ზ-ისა და თ. ბ-ას კუთვნილ მინის ნაკვეთებს მოეხსნათ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი და ამჟამად ტერიტორიაზე გაცემულია სპეციალური ზონალური შეთანხმება სასტუმროს ასაშენებლად.

კასატორი აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 06.10.1994ნ. დადგენილებით ი. და კ. შ-ებს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გამოყენოთ ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე 450-450 კვ.მ. ფართის მინის ნაკვეთები. აღნიშნული აქტით განსაზღვრული უფლებები არის არა მხოლოდ სუბიექტის-თვის აღმჭურველი ძალის მქონე, არამედ თავად მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამდგენი აქტი. აღნიშნული აქტით განსაზღვრული პირობა ყოველი შემდენისათვის წარმოადგენს სწორედ კანონიერი ინტერესებსა დაცვის საფუძველს. კასატორმა 2007-2008 წლებში შეიძინა ზემოაღნიშნული მინის ნაკვეთები, მაშინ როდესაც მათზე არ ვრცელდებოდა არანაირი შეზღუდვა და ტერიტორია სრულიად ვარგისი იყო მშენებლობის სანარმოებლად.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სზაკ-ის მე-4 მუხლის მოთხოვნების უგულებელყოფით, საქმის გარემოებათა იდენტურობის არსებობის მიუხედავად სხვადასხვა პირის მიმართ მიიღო სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილება. ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მ. დ-ას მინის ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორია მთლიანად განაშენიანებულია, კერძოდ მინის ნაკვეთზე ს.კ. №... შპს „...ს“ აშენებული აქვს რვასართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, ხოლო ნ. ზ-ისა და თ. ბ-ას კუთვნილ მინის ნაკვეთებზე (ს.კ. №... და №...) გაცემულია სპეციალური ზონალური შეთანხმება ...ოს ასაშენებლად. უკანასკნელი მინის ნაკვეთი განთავსებულია იმავე ზონაში, მ. დ-ას კუთვნილი მინის ნაკვეთის გაგრძელებაზე. საქმეში დაცულია კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.06.2015ნ. გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ნ. ზ-ისა და თ. ბ-ას კუთვნილ მინის ნაკვეთებზე ლსზ-ის სტატუსის გავრცელების კანონიერებას, რომლითაც სასამართლომ კანონისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით მოქალაქეს დაუბრუნა საკუთრების შეუფერხებლად სარგებლობის უფლება. შესაბამისად, კასატორს მიაჩნია, რომ იდენტური საქმის გარემოებების არსებობის ფარგლებში მის მიმართ საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება დაუსაბუთებელი და უკანონოა.

კასატორი თვლის, რომ სასამართლოს სრულყოფილად არ გა-

მოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. სასამართლომ არასწორად განმარტა გამოყენებული სამართლის ნორმები და არასწორად შეაფასა მტკიცებულებები. ამდენად, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების გაუქმების და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

სასკ-ის 16¹ მუხლის საფუძველზე სასამართლოს მეგობრის სტატუსით თავისი მოსაზრება წარმოადგინა დ. ჯ-მა, რომელმაც ევროპული კონვენციის პრეცედენტულ საქმეებზე მითითებით აღნიშნა, რომ კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის 1-ელ ნაწილში „საკუთრების“ ცნება ავტომატურ მნიშვნელობას ატარებს, რაც მოიცავს როგორც „არსებულ ქონებას“ ისე აქტივებს, მათ შორის მოთხოვნებს, რომელთა მიმართაც მომჩინანს შეუძლია ამტკიცოს, რომ აქვს მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“ (Prince Hans-Adams II of Liechtenstein v. Germany, §83), „საკუთრების“ ცნება დამოუკიდებელია შიდა სამართალში ფორმალური კლასიფიკაციისაგან და არ შემოიფარგლება მხოლოდ სხეულებრივი ნივთების მფლობელობით (Oneryildiz v. Turkey, 30.11.04w., §129). პირველი ოქმის 1-ელ მუხლთან ჩარევის შესაბამისობისათვის ის უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს: იყოს კანონშესაბამისი, შეესაბამებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, იყოს თანაზომიერი მიზნის მისაღწევად (Beyeler v. Italy, §§108-114). კანონიერების პრინციპი მოითხოვს არა მხოლოდ შიდა საკანონმდებლო ბაზის არსებობას და მის დაცულობას, არამედ ასევე კანონის ხარისხს, რომელიც უნდა იყოს შესაბამისობაში სამართლის უზენაესობასთან (Malone v. The United Kingdom, § 67), იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი (Beyeler v. Italy, §109, Henrich v. France, §42 და სხვ.). კანონიერების კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია რეგულაციების არაუკაუპებითი გამოყენება. სამართლებრივი სისტემის ორგანიზება უნდა გამორიცხავდეს ურთიერთსანინააღმდეგო გადაწყვეტილებებს (Beian v. Romania, §§37-39 და სხვ.). ჩარევის თანაზომიერების, სამართლიანი ბალანსის დარღვევის საკითხი რელევანტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩარევა ემსახურებოდა საზოგადოებრივ ინტერესს, აკმაყოფილებდა კანონიერების მოთხოვნას და არ იყო თვითნებური (Latridis v. Greece, §58; Beyeler v. Italy, §107). ზოგადი წესის მიხედვით მინის ნაკვეთის ფლობის ფაქტი თავისთავად არ იძლევა მასზე მშენებლობის უფლების გარანტიას, თუ მესაკუთრე მიიჩნევს ამას მიზანშეწონილად. ეროვნული ხელისუფლების ორგანოები იყენებენ გარდაუვალ დისკრეციას დაგეგმვის პოლიტიკის არჩევანსა და განხორციელებაში და ამ კონტექსტში მათ მიხედულების ფართზე ზღვარი აქვთ (Buckley v. The United Kingdom; 25.09.1996, §75, Reports

of Judgment and Decisions 1996 _ IV; Corraiz Lizarraga and Others v. Spain, §70; Lay Lay Company Limited v. Malta 23.07.2013, §83). ამასთანავე, ადმინისტრაციულ ორგანოებს აქვთ წინდახედულების ვალდებულება, რათა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას შეაფასოს მის მიერ მისაღები გადაწყვეტილების შედეგები, დასაბუთდეს მიღებული გადაწყვეტილების აუცილებლობა და სავარაუდო რისკის მართლზომიერება. თანაზომიერების პრინციპი მოთხოვს რისკის ლიმიტირებას და თანაზომიერების პრინციპის უზრუნველსაყოფად მუდმივი მონიტორინგის განხორციელებას (Hatton and others v. The United Kingdom, 08.07.2003, §128). ლეგიტიმური მოლოდინის არსებობისას, სამართლებრივი განსაზღვრულობის/იურიდიული უსაფრთხოების პრინციპის საწინააღმდეგოდ, ახალი ნორმა უხეშად არ უნდა ჩაერიოს ლეგიტიმურად ჩამოყალიბებულ მშვიდობიან სიტუაციაში. ამ საკითხში მნიშვნელოვანია პირის შესაძლებლობა სცოდნიდა მის ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (Allan Jacobson v. Sweden, §§ 60-61; Z.A.N.T.E. _ Marathonisi A.E. v. Greece, §53 და სხვ.), მათ შორის საკუთრების შეძენისას.

წერილის ავტორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ნაკვეთზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის გავრცელებით ჩარევა განხორციელდა ნორმატიული აქტის საფუძველზე, შესაბამისად, ჩარევა აკმაყოფილებდა „შიდასაკანონმდებლო ბაზის“ არსებობის კრიტერიუმს, ნორმატიული აქტი გამოქვეყნებულია „საკანონმდებლო მაცნეში“ (ვებგვერდი, 06.01.15წ., კოდი....), შესაბამისად ხელმისაწვდომობის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ამასთანავე, მომართვაში ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ თ. ბ-ას და ნ. ზ-ის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე გაუქმდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, მ. დ-ას ნაკვეთის მომიჯნავედ მეორე ნაკვეთზე აღმართულია 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რის გამოც ჩარევას განჭვრეტადობის ნაკლი აქვს. წერილის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების ორგანოს თანამიმდევრულობის მნიშვნელობაზე და აღნიშნავს სიცხადის ნაკლებობას, რაც გამოიხატება ზონის დამდგენ საკრებულოს დადგენილებაში რამდენიმეწლიან მონაკვეთში 74-ჯერ განხორციელებულ ცვლილებაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელებულა კონკრეტული საკუთრებითი ინტერესების შეფასება სადაც დადგენილების მიღებამდე, ხოლო მისი პოზიტიური ვალდებულების გათვალისწინებით – არც სადაც დადგენილების მიღების შემდგომ. მოსარჩევემ ნაკვეთები შეიძინა მშენებლობის მიზნით, ბინათმშენებლობას ჰქონდა მოთხოვნითი ხასიათი, კასატორმა ის მიღლო ტრანზაქციის შედეგად (...), 17.12.2013, ჭი...), შესაბამისად, ჩარევა ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების ტესტს და ვერ უზრუნველყოფს კონვენ-

ციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნის და-ცულობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. დ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.06.2018წ. განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. დ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმის მასალების მიხედვით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 06.10.1994წ. №23.23.474 დადგენილების შესაბამისად ი. და კ. შ-ებს დაუმაგრდათ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის 450-450 კვ.მ. ფართის მინის ნაკვეთები ვაკის რაიონში, ...ის ქუჩაზე, გეგმარების შესაბამისად. 03.09.2007წ. და 15.02.2008წ. დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე მ. დ-ამ შეიძინა ზემოაღნიშნული მინის ნაკვეთები. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე მინის ნაკვეთებზე ფართით 450-450 კვ.მ. (შესაბამისად ს.კ. №... და ს.კ. №...) რეგისტრირებულია მ. დ-ას საკუთრების უფლება. ქ. თბილისის საკრებულოს 05.06.2009წ. №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების პერსპექტიული გეგმის“ თანახმად, მ. დ-ას საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთები შეყვანილი იქნა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში, რომლის სამშენებლოდ განვითარება კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების – ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაიწყო ადგინისტრაციული წარმოება დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების უზრუნველსაყოფად, რის შედეგადაც პროცედურული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 16.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 68.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის საფუძველზე დამტკიცდა „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა“, გეგმის მიხედვით მოსარჩელე მ. დ-ას მინის ნაკვეთები კვლავ მოქცეულ იქნა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში (ლსზ) და 2009 წლიდან დღემდე აღნიშნული მინის ნაკვეთების ფუნქციური ზონის

ცვლილება არ განხორციელებულა.

მ. დ-ამ 09.09.2016წ. განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებზე ქალაქებეგმარებითი დასკვნის მომზადება მოითხოვა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.09.2016წ. №2839286 გადაწყვეტილებით მ. დ-ას ეცნობა, რომ მინათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით მის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), სადაც დაუშვებელი იყო ყოველგვარი მშენებლობა, რის გამოც არქიტექტურის სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეცა დადებითი ქალაქებეგმარებითი დასკვნა. ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 03.11.2016წ. №54 სხდომაზე განხილულ იქნა მ. დ-ას საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის სტატუსის – ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილების საკითხი და ზონალური საბჭოს გადაწყვეტილებით მოსარჩევეს ცვლილებაზე უარი ეთქვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში კასასატორი (მოსარჩევე) სადავოდ ხდის მისი კუთვნილი უძრავი ქონების სამართლებრივი დაგეგმვისა და განვითარების შეზღუდვის კანონიერებას. ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის არსებობით მას ერთმევა მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების შესაძლებლობა. ამდენად, მოცუმული დავის ფარგლებში შესაფასებელია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის“ კანონიერების საკითხი მ. დას მინის ნაკვეთებისათვის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭების ნაწილში.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცუმული სამართალნარმოების მიმდინარეობის პროცესში სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა (მისი გრაფიკული ნაწილის – რუკის ჩათვლით) ძალადაქარგულად გამოცხადდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15.03.2019წ. №39-18 დადგენილებით, რომლითაც დამტკიცდა დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15.03.2019წ. №39-18 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმით“ მ. დ-ას საკუთრებაში არსებული (ს.კ. №... და ს.კ. №...) მინის ნაკვეთები კვლავ

მოქმედა თბილისის გამწვანებული ტერიტორიების საზღვრებში. ამას-თან, სადაც ნორმის ახალი რედაქცია არსებოთად იმეორებს ძველი (გასაჩივრებული) რედაქციის ნორმატიულ შინაარსს. ამგვარად, ახლად მიღებული ნორმით არ შეცვლილა მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობა მის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლო შეზღუდულია დავის საგნის ფარგლებით და ამავე კოდექსის 381-ე და 406-ე მუხლებით დაუშვებელია საკა-საციო სასამართლოში დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, საკასა-ციო პალატა არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს თბილისის მუნი-ციპიპალიტეტის საკრებულოს 15.03.2019წ. №39-18 დადგენილების ახალი რედაქციის კანონიერებაზე. ამასთანავე, მოსარჩელის მიერ სადაც გამხდარი ნორმის ძალადაკარგული რედაქციის კანონი-ერებაზე მსჯელობა მოსარჩელის საკუთრების უფლების დაცვის პრევენციულ საშუალებას წარმოადგენს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15.03.2019წ. №39-18 დადგენილების კასატორის საკუთრების უფ-ლების შემზღვდავი რეგულაციის მიმართ. აღნიშნულ მოსაზრებას ემყარება საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად, სადაც ნორმის ძალადაკარგულად ცნობა ყველა შემ-თხევებაში არ ინვეცს სადაც გამხდარი ნორმატიული შინაარსის გაუქმებას, ნორმის გაუქმების შემდეგ, იგი შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა ისეთი დებულებით, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ შეი-ნარჩუნებს მოსარჩელის მიერ სადაც გამხდარ ნორმატიულ ში-ნაარსს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2015წ. №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინა-აღმდეგ“, II-6), რაც მოსარჩელის საკუთრების უფლების დაცვის უზ-რუნველსაყოფად არსებითად გასაჩივრებული დებულებით განპი-რობებული პროცესის ნორმატიული შინაარსზე მსჯელობის სა-ფუძველს წარმოადგენს (სუს 01.10.2020წ. გადაწყვეტილება, საქ-მე №ბს-845(კ-19); სუს 21.05.2020წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-1233(კ-18)). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეფასებას ექვემდებარება ძალადაკარგული ადმინისტრაციული ნორმატიული აქტის სადაც ნაწილით გათვალისწინებული საკუთ-რების უფლებაში ჩარცების კანონიერების, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენი-ლებით დამტკიცებული გენერალური გეგმის სადაც ნაწილის ბა-თილად ცნობის საკითხი.

ქ. თბილისის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილე-ბის თანახმად, დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური

გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. ზემოაღნიშნული დადგენილება მიღებულია სადაც პერიოდში მოქმედი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის (20.07.2018წ. №3213 კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 143-ე მუხლით გაუქმებულია 2019 წლის 3 ივნისიდან) საფუძველზე, რომელიც ქვეყნის მდგრადი განვითარების და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოთი უზრუნველყოფის მიზნით, არეგულირებდა სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პროცესს, მათ შორის, განსახლების, დასახლებათა, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადგენდა ამ სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე კანონის 5.2 მუხლის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიის ცალკეული ნაწილების გამოყენება და განვითარება უნდა შეესაბამებოდეს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საერთო პირობებსა და მოთხოვნებს. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა ნარმოადგენენ ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სახელებს („სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-10 მუხ.). დასახლების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო (25.31 მუხ.). ქ. თბილისის ტერიტორიებისათვის ქალაქთმშენებლობის სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებდა ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. №4-13 გადაწყვეტილებით (ძალადაკარგულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.2016წ. №14-39 დადგენილებით) დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტი ნარმოადგენდა ქალაქთმშენებლობითი რეგულირების სისტემის ნაწილს, რომლის მიხედვით დედაქალაქის ტერიტორია დაიყო მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამის ზოგად ფუნქციურ ზონებად და განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამის კონკრეტულ ფუნქციურ ზონებად (ქვეზონებად). ამასთან, ქ. თბილისის ტერიტორი-

აზე გამოყოფილი იყო სხვადასხვა ზოგადი ფუნქციური ზონები, მათ შორის, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) – ანუ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია, სადაც შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად.

სადავო დადგენილება სზაჟ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად არის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. სასკ-ის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო როგორც ინდივიდუალური, ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის განხილვისას აფასებს აქტის კანონიერების საკითხს. ამდენად, სასამართლო ამონმებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისობას კანონმდებლობასთან და იმ საკანონმდებლო აქტთან, რომლის შესასრულებლადაც გამოცემულია იგი. შესაბამისად, დადგენის საჭიროებს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო ნაწილის შესაბამისობა მისი მიღების დროს მოქმედ კანონმდებლობასთან.

თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებანი ექსკულუზიურია. მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის, მათ შორის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება, კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 16.2 მუხ.). მიწათსარებლობის გენერალური გეგმის დამტკიცება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ, ექსკულუზიურ უფლებამოსილებას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება ემყარება თვითმმართველობის პოლიტი-

კურ იდეას, თვითმმართველობა წარმოადგენს ადგილობრივ ხელი-სუფლებას, რომელიც ეფუძნება საკუთარი საქმეების საკუთარი პასუხისმგებლობით მოწესრიგებას. დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი აყალიბებს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან შედარებით, თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს მიხედულების შედარებით უფრო ფართო სპექტრს, რაც განაპირობებს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს – საკრებულოს გადაწყვეტილების კანონიერების და არა მიზანშენონილობის თვალსაზრისით შემოწმებას. დავეგმვის პოლიტიკის არჩევანსა და განხორციელებაში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს ფართო დისკრეციით და ამ კონტექსტში მიხედულების ფართე ზღვარი აქვს (*Lay Lay Company v. Malta*, 23.07.2013w. §83). ამასთანავე, მუნიციპალიტეტის საკუთარი, ექსკლუზიური ფუნქციის განხორციელებისას, დისკრეციული უფლებამოსილება შეზღუდულია კანონმდებლობის მოთხოვნებით, რომელიც გულისხმობს ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისობას ადამიანის ძირითად უფლებებთან, დაგეგმვის ძირითად პრინციპებთან. ქალაქების განვითარების სფეროს სირთულე ბუნებრივად განაპირობებს გეგმარებითი პოლიტიკის რეალიზაციისას კომპეტენტური ორგანოს თავისუფალი მიხედულების ფართო სპექტრს, რაც არ გამორიცხავს სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას პირის საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლებასთან შესაბამისი საშუალებით ინტერესთა თანაფარდობაზე (*Sporrong and Lonnrot v. Shveden*, 23.09.1982, §69). ამდენად, თავდაპირველად მოწმდება მუნიციპალიტეტის მიერ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება, ხოლო შემდგომ ამ უფლებამოსილების განხორციელების კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებთან შესაბამისობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის 24.2 მუხლით, რომლის მიხედვითაც დასახლებათა სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის საჭიროებას ასაბუთებს შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის უფლებამოსილი ორგანო. უფლებრივი ზონის მინიჭების კანონიერების შეფასების თვალსაზრისით სავალდებულოა დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის საჭიროების დასაბუთება. საჭიროების დასაბუთების პროცესში, საჯარო და კერძო ინტერესების შეწონასწორებისა და დაბალანსების მიზნით, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა სადაც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სა-

ფუძვლების „შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით, რომლის მიხედვითაც სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის და კერძო ინტერესის შეწონასწორება და დაბალანსება (იდენტურ ვალდებულებას აწესებს ამჟამად მოქმედი „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-9 მუხლი). დაგეგმვა არის კომპლექსური პროცესი, სადაც მრავალი ინტერესი იყრის თავს, რომელიც ერთმანეთთან უნდა შეჯერდეს და დაბალანსდეს, რაც გეგმარებითი უფლებამოსილების სამართლიანად განხორციელების აუცილებელი პირობათაგანია. შესაბამისად, უფლებრივი ზონირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას დაგეგმვის და დაგეგმვის შენარჩუნების საჭიროების დასაბუთების პროცესში, როგორც სადავო პერიოდში, ისე ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს საჯარო და კერძო ინტერესების შეწონასწორებასა და დაბალანსებას. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის 6.1 მუხლის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო ინტერესებს განეკუთვნება: ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისო ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინიციანო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში კერძო ინტერესებს განეკუთვნება: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესები, დაკავშირებული მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ობიექტების) სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან და განვითარებასთან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში არსებობასთან. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ენინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პროცესში საჯარო და კერძო ინტერესების შეთანხმებას უზრუნველყოფენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. თანაზომი-

ერების პრინციპი გულისხმობს, რომ უფლების მზღვდავი საკანონ-მდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ლირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას, ასეთს განეკუთვნება ქალაქების მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს, დაუძვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.06.2012წ. №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰ. ქონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 14.11.19წ. №2/5/879 გადაწყვეტილება საქმეზე „ზ. სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

დასაბუთების საკამარისობა დგინდება არა კანონმდებლობის ზუსტად განსაზღვრული კრიტერიუმებით, არამედ ქალაქთმშენებლობითი მიზნებიდან, ამოცანებიდან, პრინციპებიდან გამომდინარე ანუ დაგეგმვის საჭიროებას განსაზღვრავს არა ვალდებულების წარმომშობი კონდიციური, არამედ ენ. მიზნობრივი ნორმა, რომელშიც მოცემულია მიზანი და მისი მიღწევის დებულებები, ასეთი ნორმა არ ადგენს კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს, განსხვავებით კონდიციური ნორმისაგან, უკანასკნელის სამართლებრივი სტრუქტურის ბუნებიდან გამომდინარე, ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი შემადგენლობის არსებობა უცილობლად ითვალისწინებს სამართლებრივ შედეგს. მიზნობრივი ნორმებით მოწესრიგებულ ერთ-ერთ სფეროს განეკუთვნება ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა, რომელიც შეეხება კომპლექსური, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მრავალი საკითხის რეგულაციას. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა, საკითხის მიზნობრივი ნორმებით მოწესრიგების გზით, არ უნდაეს ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული გეგმის შემუშავების ვალდებულებას (ანუ მინის ნაკვეთს კონკრეტული ფუნქციური ზონის/ქვეზონის სტატუსის მინიჭების ვალდებულებას), თუმცა ადგენს ფარგლებს, რომელთა დარღვევაც იწვევს გეგმის უკანონობას/შეუსაბამიბას ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან (ანუ გეგმის სათანადო ნაწილის ბათოლად ცნობის პირობას). კერძოდ, ასეთ სამართლებრივ შედეგს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ვერ ასაბუთებს შესაბამისი მიზნიდან გამომდინარე კონკრეტული დაგეგმვის საჭიროებას.

საკუთრების უფლების შეზღუდვის საზომი პროპორციულობის პრინციპია, რომლის თანახმად რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ლირებული, ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას, ამასთანავე, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზო-

მიერი უნდა იყოს, დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე, შეზღუდვა უნდა იყოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს – აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას და უნდა იყოს პროპორციული. ლეგიტიმური მიზნის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ უფლებამი ჩარევა გამართლებულია. საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის დაცვის შემოწმების ერთ-ერთი ეტაპია აუცილებლობა. მმართველობითი ღონისძიება აუცილებელია მაშინ, როდესაც არ არსებობს მიზნის მიღწევის სხვა ისეთი საშუალება, რომელიც უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებს კერძო ინტერესს. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში არ მიიღო მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობა და ის, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, როგორც გამწვანებული ტერიტორიის შენარჩუნებაზე, ასევე მინის ნაკვეთის კერძო მესაკუთრის ინტერესების შესაბამისად სამშენებლო განვითარების შესაძლებლობაზე ორიენტირებულ ფუნქციურ ზონებს, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.2016წ. №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის“ 1-ლი დანართს თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია განაშენიანების ისეთი საგამონაკლისო სახეობები, როგორიცაა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ...ო და სხვ. (8 პ.). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.2016წ. №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და სადაცო ნორმატიული აქტის გამოცემის დროისათვის მოქმედი „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა მოიცავს როგორც წესი თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან დაცული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას. ...ის ქუჩაზე მ. დ-ას საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთები მართალია უშუალოდ არ ემიჯნება, მაგრამ მდებარეობს სატრანსპორტო ზონის მიმდებარედ და იმდენად ახლოს, რომ დაგეგმვის საჭიროების დასაბუთებისას აუცილებლობის ეტაპზე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეფასებინა თურადენად უწყობდა აღნიშნული ხელს მესაკუთრისათვის შედარებით ნაკლები ტვირთის დაკისრებას, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონით.

საჯარო და კერძო ინტერესების შეწონასწორებისა და ბალანსის უზრუნველყოფის ვალდებულება ემსახურება სადაც ადმინისტრაციული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი) გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვას. საქართველოს კონსტიტუცია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავს საკუთრების უფლების შეზღუდვის და საკუთრების უფლების ჩამორთმევის საკითხს, ამასთან, ანესებს, რომ შეზღუდვა არ უნდა იყოს ისეთი ხარისხის, რომ გამოიწვიოს საკუთრების უფლების არსის დარღვევა, შეზღუდვა საკუთრების უფლებას არ უნდა უკარგავდეს არსს და ეჭვებებ არ უნდა აყენებდეს საკუთრების უფლების შინაარსს. შესაბამისად, თუკი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება მოითხოვს იმგვარ შეზღუდვას, რაც საკუთრების უფლებას არსს უკარგავს, ასეთ დროს შესაძლებელია საკუთრების უფლების ჩამორთმევა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული წინაპირობის დაცვით, მხოლოდ სამართლიანი ანაზღაურების სანაცვლოდ – ექსპროპრიაციის გზით. ამდენად, საკუთრების უფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელია. ამ უფლების შეზღუდვა კანონმდებლის მიერ მხოლოდ განსაკუთრებული წინაპირობებით არის შესაძლებელი. სახელმწიფოს წევატიურ ვალდებულებას შეადგენს ისეთი მოქმედებებისაგან თავის შეკავება, რომელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას, ხოლო სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას შეადგენს ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს საზოგადოების წევრებს შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად: „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინერ თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები უფლებამოსილები არიან, inter alia, საჯარო ინტერესის შესაბამისად განახორციელონ საკუთრების გამოყენების კონტროლი, უფლებაში ჩა-

რევა არა მხოლოდ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, არა-მედ უნდა პასუხობდეს პროპორციულობის მოთხოვნას, სასამარ-თლომ უნდა დაადგინოს საზოგადოების საჯარო ინტერესსა და ინ-დივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცულობა (ადამიანის უფლებათა ევრო-პული სასამართლოს 23.09.1982წ. გადაწყვეტილება საქმეზე „Sporrong- პული სასამართლო შვედეთის წინააღმდეგ“ (Sporrong and Lönnroth v. Sweden), §61).

საკუთრება, როგორც სუბიექტის სამართლებრივი სიკეთე, სა-მართლებრივ ცხოვრებაში რეალიზებისათვის საჭიროებს საკანონ-მდებლო, ნორმატიულ გამოხატულებას. შესაბამისად, ხელისუფ-ლება ვალდებულია დაადგინოს საკუთრების უფლების შინაარსი და საზღვრები. ასეთი ნორმები გენერალურ-აბსტრაქტულად გან-საზღვრავს მესაკუთრის უფლებებსა და მოვალეებს ანუ საკუთ-რების უფლების შინაარს. კერძოდა საჯარო სამართლებრივი ნორ-მებით განისაზღვრება მესაკუთრის სამართლებრივი მდგომარეო-ბა. საკუთრების უფლების კონკრეტული შინაარსი გამომდინარე-ობს საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების მომწერლიგებე-ლი, შესაბამის დროს მოქმედ ნორმათა ერთობლიობიდან. სახელ-მწიფო უფლებამოსილია ჩამოართვას ან შეუზღუდოს პირს საკუთ-რებასთან დაკავშირებული კონკრეტული ისეთი უფლებები, რომ-ლებიც ზოგადად მოქმედი ნორმატიული აქტებით მოქცეულია მე-საკუთრის სამართლებრივ უფლებამოსილებებში. გენერალური გეგმით განსაზღვრული განაშენიანების წესით დადგენილია არა ქონებრივი ხასიათის მოთხოვნების ჩამორთმევის წესი, არამედ თა-ვად ამ მოთხოვნაზე საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლე-ბი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის ფუნქციუ-რი ზონირება ნარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფ-ლების შინაარსისა და მესაკუთრის უფლებამოსილების დადგენის ერთ-ერთ სამართლებრივ საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში მუ-ნიციპალიტეტის მიერ ნაკვეთის ინდივიდუალური მშეგბლობისათ-ვის გამოყოფის, მოსარჩელის მიერ ნაკვეთების ამ მიზნით შესყიდ-ვის გათვალისწინებით, სახეზეა ნაკვეთებზე საკუთრების უფლე-ბის შეზღუდვა. მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვა-რი, კერძოდ, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ ნარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყ-ნებას (სკ-ის 170.1 მუხ.). საკუთრების ცნება ავტონომიური შინა-არსისაა და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ საგნებზე

საკუთრების უფლებით, ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რომელიც ქმნის ქონებას, ქონებრივი ღირებულებები, მათ შორის უფლება მოთხოვნაზე, რაც კანონიერი მოლოდინის საფუძველზე წარმოიშობა და პირის საკუთრების ეფექტურ გამოყენებას განაპირობებს, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.07.2010წ. № 1/5/489-498 განჩინება, II-2). საკუთრების ცნება მოიცავს როგორც არსებულ ქონებას, ისე აქტივებს, მათ შორის მოთხოვნებს, რომელთა მიმართაც მომჩივანს შეუძლია ამტკიცოს, რომ აქვს ლეგიტიმური მოლოდინი (Depall v. France, §86). საკუთრება მოიცავს როგორც მატერიალურად არსებულ ქონებას, ასევე აქტივებს (ქონებრივ უფლებებს), მათ შორის მოთხოვნებს რომელთა მიმართაც მომჩივანს შეუძლია ამტკიცოს, რომ აქვს საკუთრებით სარგებლობის გაგრძელების შესაძლებლობის სულ მცირე გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი (Hamer v. Belgium, no.21861/03, §§75, 76, ECHR 2007-V(extracts)). მართალია, ფუნქციური ზონირების დროს ადმინისტრაციული ორგანო უმეტესად შეზღუდულია მიზნობრივი (შედეგობრივი) ნორმებით და არა კერძო პირის მოლოდინით, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს სრულად პირის კანონიერი ნდობის არსებობას, სახეზე არ არის კანონიერი ნდობის გამომრიცხავი სზაკ-ის 9.2 მუხლის „„ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან სადაც ნაკვეთები მუნიციპალიტეტის აქტით (06.10.1994წ.) უკვე იყო გაცემული ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, ამასთანავე, დაინტერესებული მხარეს არ მისცემია ანაზღაურება სზაკ-ის 61.4, 209-ე მუხლების საფუძველზე. სარგებლობის გაგრძელების შესაძლებლობის ლეგიტიმური მოლოდინი აუცილებლად უნდა ემყარებოდეს კანონმდებლობიდან გამომდინარე საკმარის საფუძველს (Depalle v. France (GC), no.34044/02, §63, ECHR 2010). სასამართლოს ერთგვაროვანი გადაწყვეტილებებით მისი დადასტურება (Kopecky v. Slovakia (GC), no. 44912/98, §52, ECHR 2004-IX) ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ობიექტურად წარმოშობენ სარგებლობის გაგრძელების შესაძლებლობის მოლოდინს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს გააჩნია საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მინის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების ლეგიტიმური მოლოდინი, რომელიც ემყარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 06.10.1994წ. № 23.23.474 დადგენილებას. კანონქვემდებარენორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებული ნაწილით, მოსარჩელეს ერთმევა შესაძლებლობა მინის ნაკვეთი გამოიყენოს მისთვის გადაცემული მიზნით – ინდივიდუა-

ლური მშენებლობისათვის, ამასთან, ქონების დანიშნულების განსაზღვრა ხდება იმგვარი სარგებლობისათვის, რომელიც შინაარსობრივად მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება და ვერ იქნება გამოყენებული მესაკუთრის მიერ. შეზღუდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სახის შეზღუდვა ეჭვქვეშ აყენებს საკუთრების უფლების არსს, რადგან ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭებით მოსარჩელეს ეკრძალება მშენებლობის წარმოება მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, საკრებულოს 24.05.2016წ. №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ნების“ თანახმად, ლსზ-ის სტატუსის მქონე მიწებზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობისა. ამ სტატუსის მინიჭება გულისხმობს, რომ მიწის ნაკვეთის განვითარება უნდა მოხდეს მხოლოდ სარეკრეაციო მიზნებისთვის და ნაკვეთი გამოყენებული უნდა იქნეს საზოგადოებრივ სივრცედ, რაც სადაც ტერიტორიის მიმართ არ არის სათანადოდ დასაბუთებული და შესაბამისად იმ ხარისხით ზღუდვას საკუთრების უფლებას, რომ შინაარსს უკარგავს მას, საკუთრებას ანიჭებს ილუზორულ ხასიათს. სახელმწიფოს მიერ სამშენებლო მიზნით მიწის ნაკვეთის განკარგვა და მოგვიანებით ამ მიწის ნაკვეთისათვის იმგვარი ფუნქციური ზონის განსაზღვრა, რაც ხელს უმლის მის მიერვე გამოცემული აღმჯრეველი შინაარსის გადაწყვეტილების ალსრულებას, მოცემულ შემთხვევაში ენინააღმდეგება კეთილსინდისიერი მმართველობის პრინციპს.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის ნაკვეთზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონალური შეზღუდვა დადგინდა ჯერ კიდევ 05.06.2009 წ. გადაწყვეტილებით დამტკიცებული გეგმით, რაც მოსარჩელის მიერ სადაც არ გამხდარა და თავის მხრივ უცვლელად იქნა დატოვებული სადაც 30.12.2014წ. გადაწყვეტილებით, არ ასაბუთებს გასაჩინორებული განჩინების კანონიერებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთებზე მ. დ-ას მიერ შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმებისას არ იყო დადგენილი ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი, შესაბამისად, მოსარჩელეს არ ჰქონდა შეზღუდული თავისი ნებით მისი კუთვნილი ფართით სარგებლობის უფლება. ქ. თბილისის საკრებულოს 05.06.2009წ. №6-17 გადაწყვეტილებით „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა“ დამტკიცდა იმუამად მოქმედი „საქარ-

თველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის საფუძველზე, რომლის გაუქმებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 165.4, 75-ე მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, გენერალური გეგმა ძალადაკარგულად გამოცხადდა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით დამტკიცდა „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა“. მოსარჩელისათვის მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ლსზ-ის სტატუსის გავრცელების თაობაზე ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც 09.09.2016წ. ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენების მიზნით განცხადებით მიმართა ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურს და მოითხოვა მინის ნაკვეთებზე ქალაქების დასკვნის მომზადება. სასკ-ის 22.1 მუხლის შესაბამისად, ნორმატიული აქტის შემთხვევაში სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში. სარჩელი დასაშვებია თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს. ნაკვეთის სამშენებლო განვითარებაზე არქიტექტურის სამსახურის მიერ უარიდან (16.09.16წ.) სამთვიან ვადაში აღიძრა სარჩელი. დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა დამუშავებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოსალოდნელი ტენდენციების გათვალისწინებით, ამდენად, დროთა განმავლობაში მასში ცვლილებების შეტანა და ფუნქციური ზონის ცვლილება სხვა ზონად შესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს და მიზანს. 2009 წელს გეგმის დამტკიცებამდე დედაქალაქს არ გააჩნდა მინათსარგებლობის გეგმა, მინათსარგებლობის დოკუმენტაციის შემუშავების პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით კანონმდებელმა თავადვე დაუშვა სხვა-დასხვა პირთა საკუთრების უფლების შელახვის გამო მისი სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქიტენინგბლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის 27.5 მუხლის თანახმად იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა საკუთრების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა მინათსარგებლობის დაგეგმვის დოკუმენტებით გათვალისწინებული ლონისძიებების განხორციელებით, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს. შესაბამისად, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითება მ. დას მიერ ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის გაუსაჩივრებლობაზე არ გამორიცხავს სარჩელის საფუძვლითანობას, მით უფრო, რომ სარჩელის აღძვრის მომენტში სენებული წესი უკვე ძალადაკარგული იყო. აღსანიშნა-

ვია, რომ საკრებულოს 05.06.2009წ. №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმაში ეტაპობრივად ხდებოდა დაინტერესებული პირების განცხადებების საფუძველზე შესწორებების მიღება, აღნიშნულის შესახებ მოპასუხებაზე თავად უთითებს თავის შესაგებელში, შესაბამისად ის არ წარმოადგენდა უტყუარ სახელმძღვანელო მასალას დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის დამტკიცებისათვის. ამდენად, 05.06.2009წ. №6-17 განკარგულებით მ. დ-ას კუთვნილ ნაკვეთებზე ლსზ-ის სტატუსის გავრცელება არ გამორიცხავს საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით დამტკიცებულ გეგმაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას. მ. დ-ას მიერ უძრავი ქონების შეძენის მომენტისათვის (03.09.07წ. და 25.02.08წ. ნასყიდობის ხელშეკრულებები) არც ერთ მინის ნაკვეთზე არ ვრცელდებოდა ზონალური შეზღუდვა, ლსზ-ის სამართლებრივი რეზიმი, მეტიცქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 06.10.1994წ. №23.23.474 დადგენილებით თავდაპირველ მესაკუთრეებს ზემოაღნიშნული მინის ნაკვეთები სწორედ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის დაუმაგრდათ, მუნიციპალიტეტის კაბინეტის 06.10.1994წ. №23.23.474 დადგენილების საფუძველზე, თავდაპირველი მესაკუთრეების – ი. შ-ას და კ. შ-ას მიმართ ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის მიერ გეგმარების შესაბამისად შედგა მინის ნაკვეთების საზღვრების ნატურაში გამოყოფის ოქმები. აღნიშნულმა განაპირობა მოსარჩელის მიერ შესაბამისი ფასით ფართის შესყიდვა, მუნიციპალიტეტის მიერ კ. და ი. შ-ების სახელზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მინის ნაკვეთები მოგვიანებით რამდენჯერმე გასხვისდა (იხ. 06.07.05წ. №1-2786; 03.02.2006წ. №1-1421; 15.02.2008წ. №1-1982; 06.07.2005წ. №1-2786; 03.09.2007წ. №1-3851 ნასყიდობის ხელშეკრულებები), კასატორი მ. დ-ა ნასყიდობის ხელშეკრულებების (03.09.2007წ. და 15.02.2008წ.) საფუძველზე საჯარო რეესტრში აღირიცხა ნაკვეთების (... და ...) მესაკუთრედ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 06.01.1994წ. №23.23.474 დადგენილებით განსაზღვრული უფლება არის არა მხოლოდ თავდაპირველი მესაკუთრეებისათვის, არამედ ნაკვეთების შემდეგი შემძნობათვის (მათ შორის კასატორისათვის) უფლების დაცვის საფუძველი, ვინაიდან კასატორის მიერ სადაც ნაკვეთების შეძენის პერიოდში ნაკვეთებზე ლსზ-ის სტატუსი ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა. ამდენად, სადაც ადმინისტრაციული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაეთვალისწინებინა მისი წინამორბედი ადმინისტრაციული ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ გამო-

ცემული აღმჭურველი აქტით გათვალისწინებული უფლების მოსალოდნელი შეზღუდვა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ნორმატიული აქტით ვერ დგინდება მოსარჩელის საკუთრების უფლების შეზღუდვის აუცილებლობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა მოსარჩელის საკუთრების უფლების დაცვის ინტერესს, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელეს პქნდა ლეგიტიმური, პატივსადები მოლოდინი ნაკვეთების სამშენებლო განვითარების, ნაკვეთების თავისი სურვილის მიხედვით სარგებლობის, რაც საკუთრების უფლების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მუნიციპალიტეტის მიერ სადაც ფართის ინდივიდუალური მშენებლობისათვის გამოყოფის მიუხედავად, ინტერესთა მნიშვნელოვანი, კარდინალური დაპირისპირების მიუხედავად, გეგმას არ ახლავს სადაც ნაკვეთების მიმართ რაიმე დასაბუთება, მითითება ყველა იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომლის საფუძველზე მოხდა დაგეგმვის პროცესში ინტერესთა შეჯერება.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებათა იდენტურობის არსებობის მიუხედავად სხვადასხვა პირის მიმართ მიიღო სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები. ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მ. და-ას კუთვნილი მიწის ნაკვეთის ახლოს მდებარე ტერიტორია განაშენიანებულია, კერძოდ ნ. ზ-ისა და თ. ბ-ას კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. №... და №...) გაცემულია სპეციალური ზონალური შეთანხმება ...ოს ასამშენებლად. ამას-თანავე, სლ-ში ს.კ. №... მიწის ნაკვეთზე მოქცეულია გეგმის დამტკიცებამდე შპს „...ის“ მიერ აშენებული რვასართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რაც ადასტურებს უფლების ჩარევაში განჭვრეტადობის ნაკლის არსებობას. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთისათვის ლანდშაფტურ-სარეკრაციო ზონის სტატუსის მინიჭება ბათილად არის ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.05.2020წ. გადაწყვეტილებით (საქმე №ბს-1233(კ-18)). დაუშვებელია არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მიდგომა, მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის გავრცელება. სამართლებრივი სისტემის ორგანიზება უნდა გამორიცხავდეს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას (Neijdet Sahin and Perihan Sahin v. Turkey, §§56-57, 80). სზაკ-ის მე-4 მუხლის თანახმად ყველა თანასწორია კანონის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი

განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონ-მდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას და პირიქით განსხვავებულ შემთხვევაში დაუშვებელია იდენტური გადაწყვეტილების მიღება. მოცემულ შემთხვევაში მეზობლად მდებარე მინის ნაკვეთები განსხვავებულ პირობებშია ჩაყენებული. თანასწორობის პრინციპზე მიუთითებს სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლი). თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს განსხვავებულ მიდგომას, უკეთუ არსებული განსხვავება იძლევა განსხვავებული მიდგომის მართლზომიერების დასაბუთების შესაძლებლობას. განსხვავებული, შედარებით არახელსაყრელი პირობების განსაზღვრა განპირობებული უნდა იყოს არსებითი, გონივრული და ობიექტური მიზეზებით (ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია), დაუშვებელია არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ (დიკრიმინაციული დიფერენციაცია) და პირიქით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დიფერენციაციის მიზეზი აუხსნელია და მოკლებულია გონივრულ საფუძველს.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ნორმატიული აქტით მ. დ-ას ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ არ დგინდება ამგვარი შეზღუდვით საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობა, შეზღუდვა არ არის დასაბუთებული, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია თუ რა ინტენსივობით იზღუდება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, რამდენად თანაზომიერია ლეგიტიმური მიზნის – საჯარო ინტერესის მისაღწევად კონკრეტულ მოცემულ შემთხვევაში საკუთრების უფლების ასეთი ხარისხის შეზღუდვა, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.06.2018ნ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. დ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014ნ. №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მინათსარებლობის გენერალური გეგმა“ მოსარჩელე მ. დ-ას საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთებისათვის (ს.კ. №... და ს.კ. №...) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინი-

ჭების ნაწილში.

სსკ-ის 57.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს – ქ. თბილისის საკრებულოს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ მოცემულ სასარჩელო მოთხოვნაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. დ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 (100+150+300) (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ჭ ვ ი ტ ა:

1. მ. დ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.06.2018წ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. დ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მწარმეთა სამართლოს გენერალური გეგმა“ იმ ნაწილში, რომლითაც ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთები – ს.კ. №... და ს.კ. №... შეყვანილ იქნა ლანდშაფტურ-სარეკორდიო ზონაში.
5. მოპასუხეს – ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაეკისროს მ. დ-ას მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საჯარო ინფორმაციის გაცემა

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ
დავაზე მოსარჩევლის სასარგებლოდ მოკავშირის
იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურების
დაკისრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№პს-917-909(პ-16)

19 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეუ-
ლი ხარჯის ანაზღაურება

აღნერილობითი ნანილი:

ა(ა)იპ ...ომ 20.01.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე
სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის მიმართ და სასარჩელო მოთ-
ხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვა სსიპ ქ. თბილისის №...
საჯარო სკოლისთვის, სხვა პირის პერსონალური მონაცემების სა-
იდუმლოების დაცვის უზრუნველყოფით, შემდეგი საჯარო ინფორ-
მაციის გაცემის დავალება: სკოლის წესდების ასლი, სკოლის შინა-
განაწესის ასლი, სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, სკოლის პედა-
გოგთა და დამხმარე პერსონალის უფლებებისა და სამსახურებრი-
ვი მოვალეობების განაწილების, საათობრივი დატვირთვის შესა-
ხებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები; სკოლის მიერ
2009-2014 წლებში ჩატარებული სკოლისგარეშე ან კლასგარეშე სა-
განმანათლებლო-შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების სტატის-
ტიკური მონაცემები; სკოლის მიერ 2009-2014 წლებში ჩატარებუ-
ლი სკოლისგარეშე ან კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნები-
თი და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტების ან სამსა-
ხურებრივი მოხსენებითი ბარათების ასლები; სკოლის 2009-2014
წლებში ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში შეზღუდული შესაძლებ-
ლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საქმიანობის მიზნით გა-
მოყოფილი დაფინანსების შესახებ ინფორმაცია და ამ საქმიანო-

ბასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები; სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობის არჩევის/გადარჩევის დოკუმენტების ასლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ 2009-2014 წლებში ჩატარებული სხდომის ოქმების, ასევე, ღონისძიების ამსახველი დოკუმენტების ასლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის 2009-2014 წლებში შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასლები, ასევე ამ გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების, მოხსენებითი ბარათების და ანგარიშების ასლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებული და ადაპტირებული ღონისძიებების და კლასგარეშე აქტივობების ამსახველი დოკუმენტების ასლები 2009-2014 წლების საორიენტაციო პერიოდში. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე მოპასუხისათვის სასამართლოსგარეშე ხარჯების (წარმომადგენლობითი მომსახურების ხარჯის) ანაზღაურება 550 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.2016 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ...ოს სარჩელი დაკმაყოფილდა, სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლას დაევალა მოსარჩელისათვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემა სხვა პირის პერსონალური მონაცემების საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფით; სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლას ა(ა)იპ ...ოს სასარგებლოდ დაეკისრა 50 ლარის გადახდა, მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად.

წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, სკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული მეორე მხარისათვის დასაკისრებელი ხარჯების მაქსიმალურ ოდენობას, რა ფარგლებშიც სასამართლოს შეუძლია თავისი შეხედულებით განსაზღვროს მეორე მხარის მიერ ასანაზღაურებელი ხარჯების გონივრული ოდენობა. აღნიშნული წესი ქმნის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას და იცავს მხარეს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გონივრულ ფარ-

გლებს. სასამართლომ დასაკისრებელი ხარჯის ოფენობის განსაზღვრისას გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ა(ა)იპ ...ოს დებულების თანახმად, სააგენტოში არსებობს იურიდიული განყოფილება, აღნიშნულის მიუხედავად მოსარჩელები სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის წინააღმდეგ საქმის სასამართლოში წარმოების მიზნით, წარმომადგენლობითი მომსახურების ხელშეკრულება დადო სხვა კომპანიასთან – „გ. ტ-ის ბიუროსთან“ და მოსარჩელის სახელით სასამართლოში საქმის წარმოების უფლება მიეცა ბიუროს იურისტს – გ. ტ-ს, რომელიც იმავდროულად არის მოსარჩელე სააგენტოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ამდენად, სასამართლოს მიზანშეწონილად მიიჩნია მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად 50 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.2016ნ. გადაწყვეტილებაზე გ. ტ-ის წარმომადგენლობით სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა(ა)იპ ...ომ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოპასუხისათვის ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 50 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურების დაკისრება. სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლას სააპელაციო საჩივარი არ წარუდგენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.09.2016ნ. გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ...ოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.2016ნ. გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ...ოს სარჩელი დაკმაყოფილდა, სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო საჯარო სკოლას ა(ა)იპ ...ოს სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ წარმომადგენლისათვის განეული ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 19.01.2016ნ. „გ. ტ-ის ბიუროსა“ და ა(ა)იპ ...ოს შორის გაფორმდა წარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც წარმომადგენლის მომსახურების ანაზღაურების ოფენობა 550 ლარით განისაზღვრა. 19.01.2016ნ. ა(ა)იპ ...ოს „გ. ტ-ის ბიუროსათვის“ გადარიცხული აქვს 550 ლარი წარმომადგენლობითი მომსახურებისათვის. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტმა მოითხოვა მონინააღმდეგე მხარისათვის გა-

წეული ხარჯის – 500 ლარის დაკისრება.

სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 47-ე, 53-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯების ანაზღაურება მონინააღმდეგე მხარეს შესაძლოა დაეკისროს 2 000 ლარამდე ოდენობით. კანონით განსაზღვრულია მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ის ზღვრული ოდენობა, რაც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულად განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა. ასეთი წესი ქმნის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც იცავს ხარჯის ანაზღაურებაზე ვალდებული მხარის ინტერესებს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის ფაქტობრივ-სასამართლებრივი სირთულე ან სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გონივრულ ფარგლებს.

სააპელაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2012წ. №პს-1330-1315(კ-11) გადაწყვეტილებაზე მითითებით აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსსკ-ის 37.3 მუხ.). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ განეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის ადგვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია. სააპელაციო პალატის მითითებით, ევროპული სასამართლო მაშინაც აკისრებს ხელმყოფ პირს ადვოკატის მიერ განეული შრომის ანაზღაურებას, როდესაც სამართალწარმოებაში მონანილე პირს არ გადაუხდია ადვოკატის მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხა ან წარმომადგენლობა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ქველმოქმედების სახით. სასამართლომ ასევე მიუთითა საქმეზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“ (Fadeyeva v. Russia), და აღნიშნა, რომ ადვოკატთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების არარსებობა არ გამორიცხავს სახელშეკრულებო ურთიერთო-

ბას, საადვოკატო მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც, ადვოკატების ჰონორარები ანაზღაურებადია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და რეალურია. აღნიშნულზე გავლენას არ ახდენს საადვოკატო მომსახურების ღირებულების წინასწარ გადახდის თაობაზე განმცხადებლის ვალდებულების არარსებობა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა ა(ა)იპ ...ოს მიერ 03.02.2016წ. „გ. ტ-ის ბიუროსათვის“ წარმომადგენლობითი მომსახურების ასანაზღაურებლად 550 ლარის გადარიცხვა. ამდენად, ფაქტობრივად განეული ხარჯის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სსიპქ. თბილისის №... საჯარო სკოლისათვის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.09.2016წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩინო სსიპქ. თბილისის №... საჯარო სკოლამ.

კასატიკორმა აღნიშნა, რომ გაურკვეველია გ. ტ-ის ბიუროს სამართლებრივი ფორმა. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს: ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო ამ-სანაგობის ან „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის სახით. საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში წარედგინება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს საადვოკატო ბიუროს საკონტაქტო მონაცემები, ბიუროში გაერთიანებული ადვოკატების ვინაობა და სამართლის ის დარგები, რომელშიც ადვოკატები ახორციელებენ საქმიანობას. აღნიშული ბიურო არ ფიქსირდება ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე მოძიებულ საადვოკატო ფირმებს შორის. საქმის მასალებითა და სასამართლო პროცესებზე გ. ტ-ის აღიარებით უტყუარად დასტურდება, რომ გ. ტ-ი არ არის ადვოკატი, შესაბამისად სასამართლოს მხრიდან არასწორადა შეფასებული ამ უკანასკნელისათვის, როგორც ადვოკატისათვის, განეული ხარჯის ანაზღაურების საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მიერ განსახილველ საქმესთან მიმართებით უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითება, რადგან გ. ტ-

ი არ არის ადვოკატი.

კასატორმა აღნიშნა, რომ სსკ-ის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატი-სათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე სხვა აუცილებელი ხარჯები. ვინაიდან გ. ტ-ი არ არის ადვოკატი, სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნული თანხის სხვა აუცილებელ ხარჯებათან კუთვნილების საკითხზე. სსკ-ის 105-ე მუხლზე მითითებით კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა მტკიცებულებები, რის შედეგადაც, არასწორად განმარტა 500 ლარის, როგორც ადვოკატის მომსახურებისათვის განეული თანხის, მოპასუხისათვის დაკისრების შესაძლებლობის საკითხი.

კასატორმა აღნიშნა, რომ სკ-ის 35-ე მუხლის მიხედვით არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მანიქოს საქმეების ერთპიროვნულად გაძლიერის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან მეტი ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებასაც. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოხესრიგდეს მისი წესდებით, რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას. არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმომბისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“¹, კანონის მე-9 მუხლით მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისათვის განსაზღვრული წესები. კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მეწარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, ა(ა)იპ ...ოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია გ. ტ-ი, რომელიც ა(ა)იპ... ის დებულების მიხედვით, წარმომადგენს სააგენტოს უფროსს. დებულების 12.8 მუხლის თანახმად, სააგენტოს უმაღლესი მმართველობითი, წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირია სააგენტოს უფროსი, რომე-

ლიც გადაწყვეტილებებს იღებს ერთპიროვნულად. დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულია სააგენტოს უფროსის ფუნქციები, კერძოდ, სააგენტოს უფროსი წარმოადგენს სააგენტოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ადმინისტრაციულ, ასევე საგამოძიებო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუ მის მიერ არ არის გაცემული შესაბამისი დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურთა მიმართ წარმომადგენლობის უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში მსგავსი დავალების გაცემა არ დასტურდება. გ. ტ-ი ითხოვს სააგენტოს იმ წარმომადგენლობაზე” განეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც მან გასწია სასამართლოში და რაც მისი, როგორც სააგენტოს უფროსის უშუალო ვალდებულებას წარმომადგენდა. ამდენად, სახეზეა იმ პირის მიერ წარმომადგენლობაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელმაც კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა სასამართლოში. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის იურიდიული დახმარება, როგორც ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელი პირობა სსკ-ის 53-ე მუხლის მიზნებისთვის.

კასატორმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ...ოს თავმჯდომარე – გ. ტ-ი და „გ. ტ-ის ბიუროს“ წარმომადგენელი – გ. ტ-ი ერთი და იგივე პიროვნებაა. ამასთანავე, დავის საგანი, თავისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, არ განეკუთვნება იმგვარ დავათა კატეგორიას, რომელზეც აუცილებელია კვალიფიცირებული საადვოკატო მომსახურების ან/და წარმომადგენლობის განევა, შესაბამისად წარმომადგენლობითი ხარჯის განევის აუცილებლობა არ დასტურდება. გ. ტ-ს, როგორც სააგენტოს თავჯდომარეს შეეძლო წარმოდგინა სააგენტო სასამართლო პროცესზე და დამატებითი ხარჯი არ გაელო ამისთვის.

კასატორის მითითებით, აღნიშნული საქმე სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ა(ა)იპ ...ოს მიერ მსგავსი შინაარსის არაერთი სარჩელია აღძრული. გ. ტ-ი ბოროტად იყენებს სზაკ-ის მე-3 თავით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

კასატორი აღნიშნავს, რომ უტყუარად არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის ავთენტურობა, გ. ტ-ის მიერ ხარჯის რეალურად განევა. საქმეში წარმოდგენილი არ არის შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს ააიპ ...ოს მიერ 19.01.2016ნ. „გ. ტ-ის ბიუროსათვის წარმომადგენლობითი მომსახურებისათვის 550 ლარის გადარიცხვის ფაქტის ნამდვილობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩიტრებული გა-დაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიე-რების შესწავლის შედეგად თვლის, რომ სსიპ ქ. თბილისის №... სა-ჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწი-ლობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა უურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავის საგანია სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლისათვის მოსარჩელის – ა(ა)იპ ...ოს მიერ წარმომადგენლის მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების დაკისრების მარ-თლზომიერება. საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს არ შეად-გენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მოსარჩელის მოთ-ხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება, რადგან პირველი ინსტანცი-ის სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაე-კისრა სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა, რაც სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლას არ გაუსაჩივრებია. კასატო-რი – სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლა უსაფუძვლოდ მიიჩნევს მისთვის მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათ-ვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების დაკისრებას, რადგან კასატო-რის მოსაზრებით, იურიდიული მომსახურების გაწევას ადგილი არ ჰქონია, ა(ა)იპ ...ოს უფროსი და „გ. ტ-ის ბიუროს“ იურისტი, რომე-ლიც სააგენტოს წარმომადგენლობას ახორციელებს, ერთი და იგი-ვე პირია, ამასთანავე, არ დგინდება წარმომადგენლის მომსახუ-რებისათვის ხარჯის რეალურად გაწევა, თანხის გადარიცხვის დამ-დგენი დოკუმენტის ავთენტურობა.

საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მითითებას სააგენ-ტოს უფროსისა და „გ. ტ-ის ბიუროს“ იურისტის იგივეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციუ-ლი) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონანერის მიხედვით, სა-აგენტოს წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლება-მოსილი პირია სააგენტოს უფროსი გ. ტ-ი. სასამართლოში მიმდინა-რე წარმოების ფარგლებში მოსარჩელეს წარმოადგენდა გ. ტ-ი, თუმცა როგორც „გ. ტ-ის ბიუროს“ იურისტი, რომელთანაც სააგენ-ტოს წარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ ხელშეკრულე-ბა ჰქონდა დადებული. საქმეში დაცული მაიდენტიფიცირებელი მო-ნაცემების მიხედვით, ა(ა)იპ ...ოს უფროსი გ. ტ-ი და „გ. ტ-ის ბიუ-როს“ იურისტი გ. ტ-ი ერთი და იგივე პირია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოში საქმის წარ-მოება, საკუთარი ინტერესებისა და უფლებების დაცვა მხარეს შე-უძლია განახორციელოს უშუალოდ ან/და წარმომადგენლის მეშ-ვეობით. წარმომადგენელი, როგორც წესი, მარწმუნებლისთვის იუ-

რიდიული რჩევის მიმცემი პირია, რომელიც მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს საქმის იურიდიულ ბეჭდს. ყველა პირს აქვს უფლება მოითხოვოს მის მიერ არჩეული წარმომადგენლის დახმარება თავისი უფლებების დაცვისათვის, დაუშვებელია პირის იძულება კონკრეტული ადვოკატის აყვანაზე, რადგან ადვოკატსა და მარწმუნებელს შორის ურთიერთობა ფიდუციური ხასიათისაა, ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობას. ამასთანავე, განსხვავებულია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმომადგენლის არჩევის წესი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიული პირი, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მოკლებულია ქმედებების უშუალოდ განხორციელების შესაძლებლობას, იგი თავის საქმიანობას ახორციელებს შიდა ორგანოებისა და ფიზიკური პირების მეშვეობით. ამასთანავე, როგორც ფიზიკური, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირები ხელშეკრულების საფუძველზე წარმომადგენლის არჩევანში შეზღუდულები არ არიან, უკეთუ წარმომადგენელი აქმაყოფილებს სასამართლო დავაში დაშვების ნორმატიულად განსაზღვრულ წინაპირობებს. როგორც წესი, იურიდიული პირები სასამართლოში თავის ინტერესებს იცავენ ხელმძღვანელი პირების ან ამ უკანასკნელთა მიერ უფლებამოსილი თანამშრომლების მეშვეობით (სსსკ-ის 93-ე მუხ.), თუმცა ის, რომ იურიდიულ პირს ჰყავს სასამართლოში წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან აქვს შესაბამისი განყოფილება, არ ართმევს მას შესაძლებლობას გარეშე პირთან დაღოს იურიდიული მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოყოფს სამართალწარმოებისას პირის ინტერესების დაცვის სამ შესაძლებლობას: პირადად დაცვის უფლებას, არჩეული ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლებას და სათანადო წინაპირობებისა არსებობისას, სახელმწიფოს მიერ უფასო იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფის უფლებას (6.3 მუხ.). იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ დავის წარმოება განიხილება იურიდიული პირის მიერ დავის პირადად წარმოებად. პირის მიერ სასამართლო დავის წარმომადგენლის მეშვეობით წარმოების არჩევის მიზანი სხვადასხვა ასპექტს მოიცავს, როგორებიცა: ტექნიკური, ფსიქოლოგიური, ჰუმანიტარული და სტრუქტურული. წარმომადგენლის მეშვეობით წარმოება გულისხმობს სათანადო ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირის სამართალწარმოებაში ჩართვით მხარის მაქსიმალური შესაძლებლობებით უზრუნველყოფას, რათა დავაზე მისთვის სასარგებლო შედეგი დადგეს (ტექნიკური ასპექტი). წარმომადგენლის არ აქვს დავის საგნის მიმართ განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ინტერესი, თავისუფალია ემოციებისგან, რის გამოც ობიექტური დამკვირვებ-

ლის თვალით, ადეკვატურად აფასებს მიმდინარე მოვლენებსა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (ფსიქოლოგიური ასპექტი). უფლების დაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია მარწმუნებლის მხარდაჭერა, ერთგვარად მისი დაიმედება (პუმანიტარული ასპექტი), სამართალნარმოების მიმართულებაზე გავლენის მოხდენა (სტრუქტურული ასპექტი). სწორედ პირის ინტერესების უკეთ დაცვასა და ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას ემსახურება წარმომადგენლობის ინსტიტუტი. დავის წარმომადგენლის მეშვეობით წარმოება უმეტესად ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს პროფესიული ცოდნის, კვალიფიკაციის, საქმის წარმოების უნარების არქონის ან სხვა გარემოებების გამო არ სურს ან არ შეუძლია დავის უშუალოდ წარმოება.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებასაც. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა წესრიგდება მისი წესდებით (სსკ-ის 35-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონანერით დგინდება, რომ ა(ა)იპ ...ოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს უფროსი - გ. ტ-ი. სააგენტოს დებულების თანახმად, რომელიც იურიდიული პირის შიდა ორგანიზაციასა და სტრუქტურას აწესრიგებს, სააგენტოს უფროსი არის სააგენტოს უმაღლესი მმართველობითი, წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი, იგი გადაწყვეტილებებს იღებს ერთპიროვნულად (12.8 პუნქტი), უფროსი წარმოადგენს სააგენტოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში (4.21 პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში, სწორედ გ. ტ-ია ის პირი, რომელსაც დამატებითი ხელშეკრულებისა და შეთანხმებების გარეშე, სამოქალაქო კოდექსისა და სააგეტოს დებულების გათვალისწინებით, ეკისრება სააგენტოს წარმომადგენლობის კანონისმიერი ვალდებულება. მართალია გ. ტ-ი, როგორც სააგენტოს ხელმძღვანე-

ლობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, წარმომადგენლობის ზემოაღნიშნული მიზნების გათვალისწინებით, შეზღუდული არ არის ა(ა)იპ ... ის წარმომადგენლობის განხორციელება დაავალოს ერთ-ერთ თანამშრომელს ან იურიდული მომსახურების ხელშეკრულება დადოს მესამე პირებთან და მათ გადასცეს კონკრეტულ დაგზიე ა(ა)იპ ... ის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეს მესამე პირი არ იყოს თავად სააგენტოს უფროსი. განსახილველ შემთხვევაში გ. ტ-მა, როგორც ა(ა)იპ ...ოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა წარმომადგენლობითი მომსახურების 19.01.2016წ. ხელშეკრულება დადო „გ. ტ-ის ბიუროსთან“, ხელშეკრულებას ბიუროს სახელით ხელს ანერს იურისტი გ. ტ-ი, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულებით აღიჭურვა მარწმუნებლის – ა(ა)იპ ...ოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ა(ა)იპ ...ოს უფროსი გ. ტ-ი და „გ. ტ-ის ბიუროს“ იურისტი – გ. ტ-ი, ერთი და იგივე პირია. ამდენად, წარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ა(ა)იპ ...ოს უფროსმა სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება მიანიჭა არა მესამე პირს, არამედ თავის თავს, მოცემულ შემთხვევაში მარწმუნებელი და რნმუნებული ერთი და იგივე პირია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსკ-ის 37.3 მუხ.). იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონიერულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დაგვის საგნის ლირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით (სსკ-ის 53.1 მუხ.). სახელმწიფოს მიერ დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფა გულისხმობს პირისათვის თავისი ხარჯით კონკრეტული, მისთვის მისაღები წარმომადგენლის მონვევის ხელშემლის აკრძალვას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ წარმომადგენლის პროცესში დაშვების აკრძალვა ეფუძნება ნორმატიულ საფუძველს). ამასთანავე, ხელშემლა შესაძლოა განხორციელდეს არაპირდაპირი ქმედებით, კერძოდ, პირისათვის პროფესიული და მორალური თვალსაზრისით მისაღები ადვოკატის აყვანის შესაძლებლობის გარკვეულწილად შეზღუდვით, ასეთი შეზღუდვა შესაძლოა წარმოქმნას იმ გარემოებამ, რომ პირს, რომლის სასარგებ-

ლოდაც გადაწყდა დავა, არ მიეცემა გაწეული იურიდიული მომსახურების ხარჯის გონივრული ოფენობით ანაზღაურების შესაძლებლობა (სუსგ 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17)). შესაბამისად, უკეთუ მოსარჩელე მხარის მოთხოვნა მართლზომიერია და მოწინააღმდეგე მხარეს იმთავითვე უნდა მოეხდინა მისთვის წარდგენილი მოთხოვნის დაკამაყოფილება, მაშინ სწორედ მოპასუხე ხდება იმ ხარჯის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი, რომელიც მისი დაუსაბუთებელი მოქმედების/უმოქმედობის შედეგად წარმოიშვა და პირიქით, – მოპასუხის პოზიციის საფუძვლიანობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის შიერ გაღებულ ხარჯს მოსარჩელე ანაზღაურებს. ამდენად, პირს, რომლის სასამართლო წარმოების ფარგლებში წარმომადგენლობითი მომსახურებისათვის განეული ხარჯის გონივრული ოფენობა, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 53.1 მუხლის მიზნებისათვის იურიდიული მომსახურების განევა არ არის სახეზე, რადგან აღნიშნულ მოწესრიგებაში იგულისხმება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული წარმომადგენლობის შემთხვევები. განსახილველ დავაში გ. ტ-ის მიერ სააგენტოს წარმომადგენლობით შესრულდა მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულება. იურიდიული პირის ქმედუნარიანობა ხორციელდება მისი ორგანოების, მასში დასაქმებული პირების მეშვეობით, იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი ხელშეკრულების დადებას. სააგენტოს დებულებაში სააგენტოს უფროსის უფლებამოსილებების კონკრეტული შეზღუდვების არარსებობის, ა(ა)იპ ... თან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების, სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გათვალისწინებით, გ. ტ-ის მიერ სააგენტოს სახელით სასამართლოში კონკრეტული დავის წარმოება აღარ საჭიროებდა დამატებით პროცედურებს. გარესამართლებრივ ურთიერთობებში ა(ა)იპ ... ის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (ორგანო) განსაზღვრულია. ა(ა)იპ ... ის დებულების 12.8 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უმაღლესი მმართველობითი, ასევე წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირია სააგენტოს უფროსი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად. ამდენად, სააგენტოს უფროსმა – გ. ტ-მა, სასამართლოში სააგენტოს წარმომადგენლობით განახორციელა თავისი კანონისმიერი ვალდებულება, რაც სამართლებრივ საფუძველს აცლის მოსარჩელის მოთხოვნას წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურებაზე, იურიდიული პირის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილება არ არის დამოკი

დებული ხელშეკრულებაზე – ვალდებულებით-სამართლებრივ აქტზე. ამასთანავე, მომსახურება გულისხმობს რაიმე სახის საქმიანობას ან სარგებელს, რომელსაც ერთი მხარე სთავაზობს მეორეს. განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს მომსახურების გამნევი მესამე პირი. გ. ტ-მა, როგორც სააგენტოს უფროსმა, ყველა ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა „გ. ტ-ის ბიუროს“, რომლის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსაც თავად წარმოადგენდა. ამდენად, სახეზეა იმ პირის მიერ წარმომადგენლობაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელმაც კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე, სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა სასამართლოში, რაც აღნიშნული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნის.

სასამართლოში მხარეთა წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ ადვოკატები; ორგანიზაციის თანამშრომლები ამ ორგანიზაციის საქმეებზე, მაშინაც როდესაც ისინი ადვოკატები არ არიან და სხვა ქმედუნარიანი პირები, თუმცა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში (სსკ-ის 94.1 მუხ.). პირს, რომელსაც არ ჩაუბარებია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და არ განევრიანებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალება წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის თანამშრომლისა, – ამ ორგანოს, ორგანიზაციის საქმეზე (სსკ-ის 440-ე მუხ.). საქმეზე დადგენილია, რომ გ. ტ-ი არ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად იგი ყველა ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა სააგენტოს. სააპელაციო პალატამ დაუშვა მიმდინარე დავაში ა(ა)იპ ... ის წარმომადგენლად გ. ტ-ის მონაწილეობა. ამდენად, თავად სააპელაციო პალატაც გ. ტ-ს არა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების, არამედ კანონისმიერი ვალდებულების შემსრულებელ პირად მიიჩნევს, რაც დამატებით აცლის საფუძველს მის გადაწყვეტილებას სააგენტოს მიერ წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოსარჩელის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრების ნინაპირობების არსებობის შესახებ, არ არის დასაბუთებული, არ შეფასებულა მოთხოვნის ფაქტობრივი და სა-

მართლებრივი საფუძვლიანობა.

საფუძველს მოკლებულია აგრეთვე განსახილველ დაცასთან მი-მართებით სააპელაციო პალატის მიერ საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2012წ. №გს-1330-1315(კ-11) გადაწყვეტილებისა და საქმეზე „ფადეევა რუსე-თის წინააღმდეგ“ (Fadeyeva v. Russia) ადამიანის უფლებათა ევრო-პული სასამართლოს გადაწყვეტილების მითითება, რადგან განსა-ხილველ შემთხვევაში სადაცოა არა განცეული იურიდიული მომსა-ხურების ანაზღაურების ოდენობა, არამედ ასეთი მომსახურების განევის ფაქტი. საქმეში დაცული ხარჯის განევის დამადასტურე-ბელი დოკუმენტების არაავთენტურობის შესახებ კასატორის მო-საზრებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანხის რეალურად გადარიცხვის შემთხვევაშიც, სააგენტოს უფ-როსისა და მოსარჩელის წარმომადგენლის გ. ტ-ის იგივეობის გამო, არ არსებობს ხარჯის ანაზღაურების წინაპირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პა-ლატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის განცეული ხარ-ჯის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, რადგან გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, აღ-ნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუ-თებული, რაც საკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სა-კასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

ამასთანავე, მხედველობაშია მისალები, რომ თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს მიერ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინ-ფორმაციის გაცემა და მასვე დაეკისრა მოსარჩელის მიერ განცეუ-ლი იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურება – 50 ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მხო-ლოდ მოსარჩელის (ა)(ა) ...ოს მიერ, მოპასუხეს – სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლას საპელაციო საჩივარი არ წარუდგენია. აპე-ლანტმა მოითხოვა მოპასუხისათვის წარმომადგენლის დახმარე-ბის გამო ხარჯის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით. სააპელა-ციო პალატის გადაწყვეტილებით შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის მოსარჩელის მი-ერ განცეული მომსახურების ხარჯის – 50 ლარის დაკისრების ნა-წილში და სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლას სააგენტოს სა-სარგებლოდ დაეკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის მიერ. კასატორმა მოითხოვა ახალი

გადაწყვეტილებით სააგენტოსათვის იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე სრულად უარის თქმა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობით სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლა დაეთანხმა მიღებულ გადაწყვეტილებას, მათ შორის წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების ნაწილში. საკასაციო სასამართლო შეზღუდულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლებით, რომლითაც სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლას ა(ა)იპ ...ს სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად დაეკისრა 50 ლარი. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნის გაზრდა არ დაიშვება (სსკ-ის 407-ე მუხ.), ამდენად, საკასაციო პალატა მოკლებულია საკასაციო საჩივრის სრულად დაკამაყოფილების შესაძლებლობას.

სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმაოდ დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრის უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ჟ ვ ი ს:

1. სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.09.2016 გადაწყვეტილება სსიპ ქ. თბი-

ლისის №... საჯარო სკოლისათვის ა(ა)იპ ...ოს სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლისათვის განეული ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა(ა)იპ ...ოს სარჩელი წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაკისროვნილდეს ნაწილობრივ;

4. სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლას ა(ა)იპ ...ოს სასარგებლოდ დაკისროს წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 50 ლარის ოდენობით;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჯარო ინფორმაციის მინიჭების ფარგლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბე-1020(კ-18)

12 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. სხირტლაძე,

3. როინიშვილი

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

2017 წლის 15 ივნისს ა(ა)იპ ... ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...ის“ მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2017 წლის 10 მაისს განცხადებით მიმართა შპს „...ს“ და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა, კერძოდ:

1. რამდენი ადამიანი იყო (არის) დასაქმებული შპს „...ში“ 2014 წელს, 2015 წელს, 2016 წელს და 2017 წლისათვის;

2. შპს „...ის“ საშტატო წესება შესაბამისი თანამდებობრივი სარგების მითითებით;

3. ჩატარდა თუ არა მიმდინარე ან გასულ წლებში შპს „...ის“ აუ-

დიტორული შემოწმება აუდიტის სამსახურის ან/და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერის მიერ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოსარჩელებ ითხოვა შესაბამისი აუდიტორული დასკვნების მიწოდება, რაც შპს „...ს“ არ განუხორციელებია. ამასთან, 2017 წლის 19 მაისის წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ კომპანია ფუნქციონირებს თვითანაზღაურების პრინციპით, იგი არ ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებიდან. შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სფერო.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხე წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას, ვინაიდან აღნიშნული შპს-ს 100% წილის მფლობელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი. გარდა ამისა, ინფორმაციას, რომელსაც იგი ითხოვს, განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას. ამდენად, მოპასუხე ვალდებული იყო გაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია.

ამდენად, მოსარჩელემ მოპასუხისათვის – შპს „...ისათვის“ ა(ა) ... ის მიერ 2017 წლის 10 მაისის №გ-01112 წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდების დავალება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... ის სარჩელი არ დაკავშირდილა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „...ი“ 2006 წლის 21 მარტიდან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი ამონანერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც ასახავს რეგისტრირებული პირის მონაცემებს, დგინდება, რომ შპს „...ის“ დაფუძნებელი და 100% წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „...ი“ დაფუძნებულია, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მისი დამფუძნებელი პარტნიორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, საწესდებო კაპიტალის 100% წილით, ხოლო პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. 4.1. საზოგადოების მიზანი მოგების მიღება; 4.2. საწესდებო ამოცანების შესრულებისათვის საზოგადოებას უფლება აქვს დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იყისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამარ-

თლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში; 4.3. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით; 4.4. საკუთარ ვალდებულებებზე საზოგადოება პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

2017 წლის 10 მაისს ...ამ №გ-01112 განცხადებით მიმართა შპს „...ს“ და საქართველოს კონსტიტუციის 41-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, მოთხოვა შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: 1. რამდენი ადამიანი იყო (არის) დასაქმებული შპს „...ში“ 2014 წელს, 2015 წელს, 2016 წელს და 2017 წლისათვის; 2. შპს „...ის“ საშტატო ნუსხა შესაბამისი თანამდებობრივი საკონსულტაციო მითითებით; 3. ჩატარდა თუ არა მიმდინარე ან გასულ წლებში შპს „...ის“ აუდიტორული შემოწმება აუდიტის სამსახურის ან/და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერის მიერ? დადგებითი პასუხის შემთხვევაში შესაბამისი აუდიტორული დასკვნები იქნა მოთხოვილი.

შპს „...ის“ 2017 წლის 19 მაისის №ძ-01169 წერილობითი კორესპონდენციით, ...მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და განემარტა, რომ შპს „...ი“ დაფუძნებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ. კომპანია მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპით, იგი არ ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან, შესაბამისად კომპანია არ წარმოადგენს არც საჯარო დაწესებულებას და არც ადმინისტრაციულ ორგანოს, რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო შპს „...ზე“ არ ვრცელდება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსებისათვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ იქნა ქვეპროგრამა, რომლის დაფინანსებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან 2017 წელში გათვალისწინებული იქნა – 11 497 000 ლარი.

საქალაქო სასამართლომ აგრეთვე დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და შპს „...ს“ შორის 2016 წლის 27 დეკემბერს დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №249 ხელშეკრულება, რომლითაც დგინდება, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „...ს“ შორის, ელექტრონული ტენდერის (SPA ...) საფუძველზე დაიდო სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს – 1 634 077 ლარს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლევა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეწებული ინფორმაცია.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზემოხენებული საკანონმდებლო აქტით კანონით დადგენილ შემთხვევებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება დაეკისრა მხოლოდ საჯარო დაწესებულებას, სახელმწიფო დაწესებულებას ან ადმინისტრაციულ ორგანოს. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე წებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სა-

მართლებრივ უფლებამოსილებებს.

სასამართლომ განმარტა, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია უზრუნველყოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი და განკარგული თანხების შესახებ სრული ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომი გახადოს იგი საზოგადოებისათვის, რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მის საჯარო დაწესებულებად მიწნევას ჩვეულებრივი სამენარეო საქმიანობის პროცესში, რომელიც უშუალოდ კერძო სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება. სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩეულ მხარე მიუთითებდა იმის თაობაზე, რომ შპს „...ი“ საჯარო დაწესებულებად უნდა გახსილულიყო, რადგან 2017 წლის მონაცემების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მისი სუბსიდირება გათვალისწინებული იყო მნიშვნელოვანი შენატანით, რაც სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების ქვეპროგრამა და აღნიშნული პროგრამისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა გარკვეული რაოდენობის თანხა, თუმცა აღნიშნული არ ადასტურებდა მოპასუხე მხარის ბიუჯეტიდან დაფინანსებას, რადგან იგი გამოყოფილი იყო ქვეპროგრამის ფარგლებში და არა კონკრეტულად მოპასუხე მხარის დაფინანსებისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ ასევე დამატებით მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ ქალაქ ბათუმში, სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურებისათვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის გამოყოფა და დაფინანსება განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, სადაც ნებისმიერ პირს შეეძლო მიეღო მონაწილეობა. კერძოდ, საქმის მასალებში წარმოდგენილი იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №249 ხელშეკრულება, რომლითაც დგინდება, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „...ს“ შორის, ელექტრონული ტენდერის (SPA ...) საფუძველზე დაიდო სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნებისათვის, შპს „...ზე“ ვერ გავრცელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი რეჟიმი.

რაც შეხება იმ გარემოებას, რომ შპს „...ის“ დამფუძნებელ პარტნიორს და 100%-იანი წილის მფლობელს თვითმმართველი ქალა-

ქი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ვერ გახდებოდა მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალდებულების საფუძველი, ვინაიდან შპს „...ი“ კერძო სამართლის იურიდიული პირი იყო, იგი არ ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა ბიუჯეტის სახსრებიდან მისი დაფინანსების ფაქტი. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ...ამ, რომელმაც გააჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით ა(ა)იპ ...ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად აუცილებობას წარმოადგენდა განსაზღვრულიყო, ა(ა)იპ ... ის 2017 წლის 10 მაისს №გ01/12 განცხადების ფარგლების გათვალისწინებით, შპს „...ი“ წარმოადგენდა თუ არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავით (ინფორმაციის თავისუფლება) გათვალისწინებულ საჯარო დაწესებულებას და შესაბამისად, ვრცელდებოდა თუ არა მასზე ამ თავით გათვალისწინებული ვალდებულებები.

პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ შპს „...ის“ დამფუძნებელ პარტნიორს და 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, თუმცა პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ამ გარემოების არსებობა არ წარმოადგენდა შპს „...ის“ საჯარო დაწესებულებად მიჩნევის საქმარის საფუძველს, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-19 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლე-

ბამოსილია დააფუძნოს და მართოს კერძო სამართლის იურიდიული პირები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით, მათ შორის, შპს „...ის“ წესდებით არ დასტურდებოდა სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან საზოგადოების დაფინანსების ფაქტი; პირიქით, წესდების შესაბამისად, საზოგადოების მიზანია მოგების მიღება. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით. საკუთარ ვალდებულებებზე საზოგადოება პასუხს აგებს მთელი თავის ქონებით.

რაც შეეხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან შპს „...ის“ მიერ სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების დაფინანსების საკითხს, პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება საზოგადოებამ მოიპოვა ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №249 ხელშეკრულების საფუძველზე, რაც ვერ ჩაითვლებოდა ინფორმაციის თავისუფლების თავის მიზნებისთვის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების წყაროდ.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საყურადღებო იყო ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებას გააჩნია გარკვეული სახის ვალდებულებები; კერძოდ საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში (მუხლი 35), საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროცესულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე (მუხლი 36), საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში (მუხლი 49) და სხვა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც არ იყო ის გარემოება, რომ შპს „...ს“ ამგვარი მოქმედებები მისი შექმნის დღიდან არ განხორციელებია.

ამდენად, პალატამ დაასკვნა, რომ ა(ა)იპ ... ის 2017 წლის 10 მაისს №გ01/12 განცხადების ფარგლების გათვალისწინებით, შპს „...ი“ არ წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის მესამე თავით გათვალისწინებულ საჯარო დაწესებულებას, შესაბამისად, არც განცხადებაში მითითებული ინფორმა-

ციის გაცემის ვალდებულება გააჩნდა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩევლის მოსაზრება ამგვარი სასამართლო პრაქტიკის დანერგვის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობაზე სამოქალაქო კონტროლის განუხორციელებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ მითითებულ განცხადებაში აღნიშნული ინფორმაციის მიღება სრულად იყო შესაძლებელი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისაგან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით ა(ა)იპ ... ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილი ფაქტია, რომ შპს „...ის“ დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი. შპს „...ის“ წესდების პირველი მუხლის მიხედვით, საზოგადოების საქმიანობაში, პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, პარტნიორის უფლებამოსილებებს უფრო კონკრეტიზირებულად განსაზღვრავს წესდების მე-6 მუხლი, რომლის თანახმად, პარტნიორი შეიმუშავებს წესდებას, საზოგადოების კაპიტალში უფლება აქვს შეიტანოს მათ შორის ფულადი შენატანები, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საზოგადოებიდან გააქვს კაპიტალი, მონაწილეობას ღებულობს საზოგადოების მართვაში, იღებს წილს საზოგადოების საქმიანობით მიღებული მოგებიდან, ასევე, პარტნიორს აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს წესდებით და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები, მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომლებიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, გამომდინარე აქედან, ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მონაწილეობის გარეშე, შპს „...ი“ ვერ იფუნქციონირებს, ასევე საზოგადოების ყოველწლიურ მოგებას იღებს ბათუმის მერია.

კასატორის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ს დაფუძნების ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს მმართველობითი პოლიტიკის გაიოლება, ეფექტურობის უზრუნველყოფა, ბიუროკრატის გამარტივება და არა ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის თავისუფლების პრინციპის უგულებელყოფა, ამრიგად განმცხადებლებს უნდა ჰქონდეთ

წვდომა, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს-ში მიმდინარე პროცესების, კერძოდ, საშტატო ნუსხის აუდიტორული შემოწმების განხორციელებისა და თანამდებობრივი სარგოების გაცემის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შპს-ები აღმოჩნდებიან სამოქალაქო კონტროლს მიღმა, რაც, ბუნებრივია, ხელს არ შეუწყობს მათ საქმიანობაში კანონის უზენაესობის პრინციპის უზრუნველყოფას.

კასატორის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს განმარტებებმა შექმნა სახიფათო პრეცედენტი, ვინაიდან ფაქტიურად გადაიკეტა ყველა გზა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ების საქმიანობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად. კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ცუდად იმოქმედებს ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებზეც, რომლებსაც თავისუფლად შეეძლებათ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად შექმნან კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც საჭიროებისას დაუსხლებიან სამოქალაქო კონტროლს იმ მოტივით, რომ არ არიან საჯარო დაწესებულებები.

კასატორის მითითებით, განსახილველი დავის მიზნებისთვის, აუცილებლად უნდა განისაზღვროს არის თუ არა მოთხოვნილი ინფორმაციების ნაწილში შპს „...ი“ საჯარო დაწესებულება.

კასატორის განმარტებით, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ შპს „...ის“ სახელით გადაწყვეტილებებს ღებულობს მისი ერთადერთი პარტნიორი – ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, დადგენილი ფაქტია ასევე ისიც, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მიმდინარე წელს ქალაქ ბათუმის ბიუჯეტიდან შპს „...ის“ სუბსიდირება გათვალისწინებულია 11 945 000 ლარით, მხარეთა შორის სადაცოდ არა გამხდარი ის გარემოებაც, რომ ყოველწლიურად შპს „...ისგან“ დივიდენდებს იღებს მხოლოდ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ამდენად, კასატორი აღნიშნავს, რომ გადახდილი წყლის საფასური შპს „...ის“ შუამავლობით, მიერთება სწორედ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, საიდანაც უნდა მოხდეს სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელება და საჯარო მიზნების მიღწევა, შესაბამისად, ამ კუთხით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს-ში პირობითად თანხების არარაციონალურად გამოყენება, ნეგატიურად აისახება საჯარო ინტერესზე. თანამდებობრივი სარგოების მითითებით საშტატო ნუსხების თაობაზე ინფორმაციის გამოთხვის მიზანს წარმოადგენდა დადგენა იმისა, ხომ არ ჰქონდა ადგილი შპს-ში სახელფასო ფონდის ხელოვნურ ზრდას, რაც მთლიანობაში დამაზიანებელი იქნებოდა მუნიციპალიტეტის ბიუ-

ჯეტისთვის. ამასთან, კანონიერების შემოწმების ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა მოთხოვნილი ინფორმაცია აუდიტორული შემოწმების ჩატარების პერიოდულობის შესახებ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კასატორი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის გამოთხოვის ნაწილში, მუნიციპალიტეტის ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი არ შეიძლება გაიგივდეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა(ა)იპის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის განჩინებით ა(ა)იპის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს – შპს „...ს“ უნდა დაევალოს მოსარჩელისათვის – ა(ა)იპისათვის 2017 წლის 10 მაისის №გ-01112 წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების – 1 634 077 ლარის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო მიუჟითოებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შპს „...ი“ 2006 წლის 21 მარტიდან როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი ამონაწერით მეწარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც ასახავს რეგისტრირებული პირს მონაცემებს, დგინდება, რომ შპს „...ის“ დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი.

დადგენილია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „...ი“ დაფუძნებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მისი დამფუძნებელი პარტნიორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, სანესდებო კაპიტალის 100% წილით, ხოლო პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. 4.1. საზოგადოების მიზანი მოგების მიღება; 4.2. სანესდებო ამოცანების შესრულებისათვის საზოგადოებას უფლება აქვს დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იყისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩევე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში; 4.3. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით; 4.4. საკუთარ ვალდებულებებზე საზოგადოება პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2017 წლის 10 მაისს ... ამ №გ-01112 განცხადებით მიმართა შპს „...ს“ და საქართველოს კონსტიტუციის 41-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, მოთხოვა შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: 1. რამდენი ადამიანი იყო (არის) დასაქმებული შპს „...ში“ 2014 წელს, 2015 წელს, 2016 წელს და 2017 წლისათვის; 2. შპს „...ის“ საშტატო ნუსხა შესაბამისი თანამდებობრივი სარგოების მითითებით; 3. ჩატარდა თუ არა მიმდინარე ან გასულ წლებში შპს „...ის“ აუდიტორული შემოწმება აუდიტის სამსახურის ან/და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერის მიერ? დადებითი პასუხის შემთხვევაში შესაბამისი აუდიტორული დასკვნები იქნა მოთხოვნილი.

შპს „...ის“ 2017 წლის 19 მაისის №მ-01169 წერილობითი კორესპოდენციით, ...ას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე და განემარტა, რომ შპს „...ი“ დაფუძნებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ. კომპანია მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპით, იგი არ ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან, შესაბამისად კომპანია არ წარმოადგენს არც საჯარო დაწესებულებას და არც ადმინისტრაციულ ორგანოს, რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო შპს „...ზე“ არ ვრცელდება.

დადგენილია, რომ ქალაქ ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსებისათვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ იქნა ქვეპროგრამა, რომლის დაფინან-

სებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან 2017 წელში გათვალისწინებული იქნა – 11 497 000 ლარი.

ამასთან, დადგენილია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და შპს „...ს“ შორის 2016 წლის 27 დეკემბერს დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №249 ხელშეკრულება, რომლითაც დგინდება, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „...ს“ შორის, ელექტრონული ტენდერის (SPA ...) საფუძველზე დაიდო სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს – 1 634 077 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

მსგავსი შინაარსის დანაწესია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად, კველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დანესებულებებში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო დანესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსულან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობასა და მიზნებთან დაკავშირდებით. კერძოდ, „სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმისაწვდომობის უფლება უმუალოდ უკავშირდება სახელმწიფოში ღია მმართველობის განხორციელებას და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დემოკრატი-

ული და პლურალისტური საზოგადოების დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის. აღნიშნული უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას შესაბამისი გარანტიები, რათა შესაძლებელი გახადოს საჯარო საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქის ინფორმირებულობა. სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს, გამოიკვლიოს მისთვის საინტერესო საჯარო მნიშვნელობის საკითხები, დასვას კითხები, განიხილოს, რამდენად ადეკვატურად ხორციელდება საჯარო ფუნქციები და თავად იყოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესის აქტიური მონაწილე. ინფორმაციის ღიაობა ხელს უწყობს სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების ამაღლებასა და საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. ღია მმართველობის პირობებში სახელმწიფო ორგანოებს/თანამდებობის პირებს აქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა, მათი საქმიანობა გადამოწმდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ და გადაცდომების აღმოჩენის შემთხვევაში დაექვემდებარონ როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული საჯარო ინფორმაციის ღიაობა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე ეფექტიანი საზოგადოებრივი კონტროლის მნიშვნელოვან წინაპირობას. ღია მმართველობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის ნდობის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევების (მაგალითად, კორუფცია, ნეპოტიზმი, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯები) პრევენციისა და არსებული დარღვევების დროულად გამოსავლენად (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“).

ანალოგიურ მსჯელობას ავითარებს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მსგავსი შინაარსის შემცველ ნორმასთან მიმართებით, კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს შესაძლებლობას, იყოს ინფორმირებული მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფო თუ ადგილობრივი საკითხების განხილვასა და განხორციელებაში. ეს ყოველივე ემსახურება, საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საზოგადო მიზანს – საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისა

და სახელმწიფო საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფას. სწორედ ამ მიზნების მისაღწევად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი პირებს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვონ და მიიღონ საჯარო დაწესებულებაში დაცული მათვის საინტერესო ინფორმაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ლია მმართველობა არსებოთად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის ნდობის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევების (მაგალითად, კორუფცია, ნეპოტიზმი, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა) პრევენციისა და არსებული დარღვევების დროულად გამოსავლენად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5).

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოვლინებაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ამგვარი კონსტიტუციური მოწესრიგება მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს ყოველგვარი საქმიანობა უნდა გამომდინარეობდეს ხალხის ნებისაგან და ეყრდნობოდეს მას, სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სწორედ ხალხის ნებით უნდა იყოს ლეგიტიმირებული. ამდენად, სახალხო სუვერენიტეტის საფუძველზე ფორმირებული ხელისუფლება ლეგიტიმაციას სწორედ ხალხისგან ღებულობს, თუმცა სახელისუფლებო ძალაუფლება არის არა განუსაზღვრელი, არამედ თავად კონსტიტუციითა და კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით შეზღუდული. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. აღნიშნული დებულების განმარტების შედეგად ყალიბდება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, რომლის შესაბამისად, კანონმდებლობა შებოჭილია კონსტიტუციით, კონსტიტუციით შექმნილი და განმტკიცებული სამართლებრივი წესრიგით, აღმასრულებელი ხელისუფლება კი კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით, ანუ – სამართლით. ამდენად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გადმოსცემს კონსტიტუციის შესაბა-

მისად მიღებული კანონებით სახელმწიფოს (აღმასრულებელი ხელისუფლების) შეზღუდვის, ხოლო კონსტიტუციით მთელი სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის იდეას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს სწორედ კონსტიტუციით აღიარებული და განმტკიცებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული ადამიანის უფლებები არ წარმოადგენს დეკლარაციული და პროგრამული ხასიათის დანაწესებს, ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ ღირებულებებს გააჩინათ წორმატიული ბუნება, ადამიანის უფლებები წარმოადგენებ უშუალოდ მოქმედ სამართალს, რომელსაც საჯარო ხელისუფლების სამართლებრივი შებოჭვის ფუნქცია გააჩინა.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ არის შეუზღუდავი. კონსტიტუციით მინიჭებული სახელისუფლებო ძალაუფლება კონსტიტუციით რეგლამენტირებული ღირებულებებითვე, მათ შორის, ადამიანის უფლებებით, არის შეზღუდული. უფრო კონკრეტულად, კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა განმტკიცებით სახელმწიფო, ერთი მხრივ, ადამიანის აღჭურას გარკვეული უფლებებით, თუმცა, მეორე მხრივ, ამგვარი აღჭურვით იგი თავად იძოჭავს თავს, კერძოდ, უფლებათა მოწესრიგებით გამოწვეული სამართლებრივი თვითბოჭვის ფარგლებში ადამიანის უფლების დაცვის მიმართ სახელმწიფოს აკისრია როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ვალდებულებები. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების შექმნით უზრუნველყოს უფლების ეფექტური განხორციელება, არამედ, ამავდროულად, უფლებაში გაუმართლებელი ჩარევით თავად არ ხელყოს იგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განმტკიცებით სახელმწიფომ უზრუნველყო საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის შესაბამისი, დამვებული მოცულობით ღიაობა, ამასთანავე, საზოგადოების ინფორმირებულობა ამგვარ დაწესე-

ბულებაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ზემოხსენებული უფლება წარმოადგენს სახელისუფლებო საქმიანობის კონტროლის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რამდენადაც საჯარო ინფორმაციაზე წვდომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საჯარო ფუნქციათა შესრულებაზე სრულყოფილი საზოგადოებრივი ზედამხედველობის განხორციელება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გარდა საქართველოს კონსტიტუციისა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, როგორც ადამიანის უფლებათა შორის უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური უფლება გარანტირებულია არაერთი საერთაშორისო აქტით, მათ შორის აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით წარმოადგენს საჯარო წესრიგის დაცვის კონსტიტუციურ დებულებას. კონვენციის მე-10 მუხლი აღიარებს ადამიანის უფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. თუმცა დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის მოცემულობიდან გამომდინარე, კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, რადგან იგი შეიძლება დაეცვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამუდარენების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ასეთივე განმარტებას იძლევა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიც, რომლის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, ნერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით. დასახელებული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მასასადამე, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდ-

ვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონით დადგენილი და აუცილებელი სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის და სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამავე კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რამდენადაც ადმინისტრაციული კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციას საჯარო დაწესებულებასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტად თუ ინფორმაციად მოიაზრებს, განსახილველი დავის მართებული გადაწყვეტისათვის, არსებითია განისაზღვროს, ა(ა)იპ ... ის 2017 წლის 10 მაისს №გ01/12 განცხადების ფარგლების გათვალისწინებით, შპს „...ი“ წარმოადგენდა თუ არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავით (ინფორმაციის თავისუფლება) გათვალისწინებულ საჯარო დაწესებულებას და შესაბამისად ვრცელდებოდა თუ არა მასზე ამ თავით გათვალისწინებული ვალდებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირი საჯარო დაწესებულებად შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებში იქნეს მიჩნეული. ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის, ამგვარი და-

ფინანსების პირობებშიც კი აღნიშნული დაფინანსების ფარგლებს მიღმა, კერძო დაწესებულება ინარჩუნებს საკუთარ სტატუსს და მასზე არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებისათვის საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული დანაწესები. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-19 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დააფუძნოს და მართოს კერძო სამართლის იურიდიული პირები. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაარსებაში სახელმწიფო ორგანოებისა თუ მუნიციპალიტეტების მარტოოდენ 100%-იანი თუ სხვაგვარი პროპორციულობით წილობრივი მონაწილეობა გაფლენას ვერ მოახდენს კერძო დაწესებულების, მათ შორის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კერძო-სამართლებრივ სტატუსზე და ვერ აქცევს მას საჯარო დაწესებულებად. ასეთ დროს განმსაზღვრელია არა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა თუ სხვაგვარი ფორმით შექმნილი კერძო დაწესებულების დამფუძნებელთა ვინაობა თუ სტატუსი, არამედ სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტთან შემხებლობა, მისგან გარკვეული ფინანსური სახსრების მიღება, რამდენადაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარე, კერძო სამართლის იურიდიული პირის საჯარო დაწესებულებად მიწინევაც სწორედ სუბსიდირების ფაქტს უკავშირდება. ამასთან, გასათვალისწინებულია თავად საჯაროობის ფარგლებიც, კერძოდ, კერძო სამართლის იურიდიული პირი სწორედ სუბსიდიის მოცულობით იქცევა საჯარო დაწესებულებად, შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც სწორედ ამგვარი მოცულობით განისაზღვრება. ამდენად, საჯაროა კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული ფინანსების გახარჯვასთან დაკავშირებული, მათ შორის, სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით განხორციელებულ ნებისმიერ ღონისძიებასთან მიმართებით არსებული ინფორმაცია.

ამასთან, საკასაციო პალატის განმარტებით, არსებითა ისიც, რომ სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება გულისხმობს სახელმწიფოსა თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისაგან როგორც პირდაპირ, აგრეთვე, არაპირდაპირ ფინანსურ მხარდაჭერას. თავის მხრივ, ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს სუბსიდიების, გრანტების, მომსახურების შესყიდვისა და ვაუჩერის მექანიზმებით. და-

ფინანსების ზემოალნიშნული ფორმები კი განსაზღვრავს შესაბამისი ფინანსური სახსრების გაცემის კონკრეტულ წესებსა და წინაპირობებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა წარიმართოს კერძო დაწესებულების დაფინანსების პროცედურა. ამდენად, თუკი, მაგალითად, სუბსიდირებისათვის დამახასიათებელია ყოველგვარი კონკურენციის გარეშე კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცალკეული პროექტებისაგან დამოუკიდებელი ინსტიტუციური მხარდაჭერა, გრანტები განსაზღვრული მიმართულებით (განათლება, ადამიანის უფლებები, ქველმოქმედება, ახალგაზრდობა, რეგიონული განვითარება, ეკონომიკური განვითარება, სპორტი, ხელოვნება, ჯანმრთელობა და სხვ.) გამოიყოფა, ხოლო მათი მოპოვება კი კონკურსის გზით ხორციელდება. რაც შეეხება მომსახურების შესყიდვას, აღნიშნული მექანიზმი დაწესებულია ნებისმიერი პოტენციური პარტნიორისათვის, ნებისმიერი პირისათვის, რომელსაც გარკვეული მომსახურების გაწევის უნარი შესწევს. მეტიც, გრანტისაგან გასახვავებით, მომსახურების შესყიდვისას ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე მისაღწევი მიზანი კიდევ უფრო კონკრეტულია, რამდენადაც მომსახურების მიმღებს (სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლება) წინასწარვე აქვს გაცნობიერებული გასაწევი მომსახურების შინაარსი, რისთვისაც იყი ექებს სუბიექტს, რომელსაც გონივრულ ფასში აღნიშნული მომსახურების ხარისხიანი განხორციელება შეუძლია. შესაბამისად, საკასაციო პალატა, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებების საწინააღმდეგოდ, განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი საჯარო დაწესებულებათა დეფინიციას არ შემოზღუდავს მარტოოდენ იმ კერძო სამართლის იურიდიული პირებით, რომლებიც სახელმწიფოსა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან სუბსიდიების მუდმივი გაცემით საზრდოობენ და ფუნქციონირებენ. ასეთ დროს, არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარკვეული ფინანსების გაცემის მექანიზმს, აგრეთვე იმას, კერძო სამართლის იურიდიული პირი წარმოადგენს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მუდმივ ან პერიოდულ დაფინანსებაზე მყოფ თუ თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპით საქმიანობის განმახორციელებული დაწესებულებას. ამავდროულად, დაუშვებელია, ცენტრალური თუ ადგილობრივი სახსრების განკარგვის ფორმა გავლენას ახდენდეს კერძო სამართლის იურიდიული პირის საჯარო დაწესებულებად მიწნევის საკითხზე, რამდენადაც ასეთ გითარებაში გადამწყვეტია სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე მოქმედების შესრულების ფორმის უკან მდგომი იურიდიული კონტექ-

სტი, მოცემულ შემთხვევაში კი – თავად სახელმწიფო თუ ადგი-ლობრივი ბიუჯეტიდან ფინანსების კერძო დაწესებულებაზე გა-ცემის ფაქტი და არა აღნიშნული დაფინანსების განხორციელების ფორმალურ-სამართლებრივი საშუალება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირ-ველი პუნქტის „ა.ა“ და „ა.გ.“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა გულისხმობს კანონით დადგენილ შემთხვე-ვებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემ-სყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახუ-რებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას საქართველოს სახელ-მწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებუ-ლი სახსრებით, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეუ-ლის ბიუჯეტის სახსრებით. ამასთან, ამავე მუხლის ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერი არის 5 000 ლარის ან მეტი ლირებულების (გარდა ამ პუნქტის „ს!“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) შესყიდვის ერ-თგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რო-მელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ პროცედურებს. ამდენად, ცალსხაა, რომ საქართველოს კანონმდებლობა იცნობს სახელმწიფო შესყიდვების, უფრო კონკრეტულად კი, მომსახურე-ბის შესყიდვის შესაძლებლობას, მათ შორის, ელექტრონული ტენ-დერის გზითაც. არსებითია ისიც, რომ დასახელებული კანონის შე-საბამისად, სახელმწიფო შესყიდვა სწორედ ცენტრალური თუ ად-გილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრების გა-მოყენებით ხორციელდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილებელ შემ-თხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტ-ში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ ბათუმში კომუნალური ინფრას-ტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თან-დაფინანსების ქვეპროგრამა და აღნიშნული პროგრამისათვის ბი-უჯეტიდან გამოიყო 11 497 000 ლარი. ამასთან, ქალაქ ბათუმში, სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ეჭაპლოატაციის მომსახუ-რებისათვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თან-ხის გამოყოფა და დაფინანსება განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საფუძველზე. კერძოდ, დადგენილია, რომ ქალაქ ბათუ-მის მუნიციპალიტეტის მერიას და შპს „...ს“ შორის 2016 წლის 27 დეკემბერს დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №249 ხელ-შეკრულება, რომლითაც დგინდება, რომ ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის მერიასა და შპს „...ს“ შორის, ელექტრონული ტენდე-

რის (SPA ...) საფუძველზე დაიდო სანიალვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საერთო ლირებულება შეადგენს – 1 634 077 ლარს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ტენდერში გამარჯვებულ შპს „...ზე“ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებიდან ზემოაღნიშული საფუძვლით თანხის გადაცემა წარმოადგენს ამგვარი ბიუჯეტიდან დაფინანსებას, რისი გათვალისწინებითაც, შპს „...ი“ ამ დაფინანსების ფარგლებში საჯარო დაწესებულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს შპს „...ის“ მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით (ინფორმაციის თავისუფლება) საჯარო დაწესებულებისათვის განსაზღვრულ ვალდებულებათა (მათ შორის, 35-ე, 36-ე და 49-ე მუხლით დადგენილი ვალდებულებები) განუხორციელებლობასთან მიმართებით და განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობით საჯარო დაწესებულებისათვის დადგენილი რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს, რომელიც არ არის დაკავშირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის, როგორც საჯარო დაწესებულების სტატუსის არსებობის გამორიცხვასთან. მეტიც, ერთი ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეიძლება იქცეს საჯარო დაწესებულების მხრიდან სხვა რომელიმე ვალდებულების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძვლად. ამდენად, იმის გამო, რომ შპს „...ი“ არ ანარმოებდა საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრს, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს არ წარუდგენდა შესაბამის ყოველწლიურ ანგარიშს და არ ახდენდა აღნიშნული ანგარიშის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებას, ამგვარ მოქმედებათა განუხორციელებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს შპს „...ის“ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ნაწილში საჯარო დაწესებულებად მიჩნევის გამომრიცხველ ფაქტობრივ მოცემულობად.

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ა(ა)იპის 2017 წლის 10 მაისის №გ01/12 განცხადებით და შემდგომ სარჩელით მოთხოვნილია ინფორმაცია შპს „...ში“ 2014-2017 წლებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის, შესაბამისი თანამდებობრივი სარგოების მითითებით შპს „...ის“ საშტატო ნუსხისა და ამ პერიოდში შპს „...ში“ ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, არსებით მნიშვნელობას იძენს ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ ზემოხსენებულ

განმარტებათა შესაბამისად, შპს „...ი“ საქართველოს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის დებულებათა გათვალისწინებით, სა-ჯარო დაწესებულებად მხოლოდ ბათუმის მუნიციპალიტეტის მი-ერ გაცემული დაფინანსების ნაწილში იქნა მიჩნეული. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაცი-ული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულების დეფინიცია და შესაბამისად, მასში დაცული ინ-ფორმაციის საჯაროობაც შემოსაზღვრულია გაცემული სახელმწი-ფო თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან დაფინანსებით ფარგლებით. საჯარო დაწესებულების ცნების ცენ-ტრალურ თუ ადგილობრივ ფინანსურ მხარდაჭერასთან კავშირი განპირობებულია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის საჯაროობისა და ჯანსალი საზოგადოებრივი ანალიზის ხელშეწყო-ბის უზრუნველყოფით. ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება ემ-სახურება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მართებულობის საზო-გადოების მხრიდან კონტროლისათვის გარკვეული პირობების შექ-მნას. ამდენად, ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, გან-სახილველ შემთხვევაში, ა(ა)იპ ... ის სასარჩელო მოთხოვნა სა-ფუძვლიანი მხოლოდ შპს „...ისათვის“ ადგილობრივი თვითმმართვე-ლი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის ნა-ნილშია, კერძოდ, საჯაროა შპს „...თან“ დაკავშირებული ნებისმიე-რი ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო ოუ ადგილობრივი ბიუჯე-ტიდან მიღებული სახსრების გამოყენებას, აგრეთვე, ამგვარი სახ-სრების გამოყენებით განხორციელებულ გარკვეულ ღონისძიებებს ან პროექტს თუ მათ ფარგლებში განხორციელებულ კონკრეტულ მოქმედებებს შეეხება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილ-ველ დაგაზი არსებული ფაქტობრივი მოცემულობისა და ზემოთ-განვითარებული მსჯელობის ერთობლიობა ნარმოშობს ა(ა)იპ ... ის სასარჩელო განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების სა-ფუძველს, რამდენადაც მოსარჩელის მიერ 2017 წლის 10 მაისის წერილით მოთხოვნილი ინფორმაციიდან საჯაროა ინფორმაცია შპს „...ში“ დასაქმებულ იმ პირთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც ჩარ-თულნი იყვნენ მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეს-რულებაში, კერძოდ, დაკავშირებული იყვნენ ქალაქ ბათუმის სა-ნიალვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციის პროცესთან და რომლებიც შპს „...ის“ მხრიდან აღნიშნულ ვალდებულებათა შეს-რულების უზრუნველყოფისათვის ან მათში მონაზილეობის მიუხე-დავად, დებულობდნენ გარკვეულ გასამრჯველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გაცემული თანხებიდან. ამასთან, ამავე მოცულობით, კერძოდ, ელექტრონულ ტენდერში

გამარჯვების შედეგად ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებშია საჯარო შესაბამისი თანამდებობრივი სარგოების მითითებით შპს „...ის“ საშტატო ნუსხიდან მხოლოდ იმ კონკრეტული თანამდებობების შესახებ ინფორმაცია, რომელზე დასაქმებულ პირთა ანაზღაურებაც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გაცემული ფინანსური სახსრების ხარჯზე ხორციელდებოდა. რაც შეეხება აუდიტორულ შემოწმებებს, განსახილველი დავის მიზნებისათვის საჯაროა ინფორმაცია იმ აუდიტორულ შემოწმებათა შესახებ, რომელიც უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მიღებული თანხებით წარმართული ღონისძიებების ფარგლებში – ქალაქ ბათუმის სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციის პროცესებთან დაკავშირებით ჩატარდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს – შპს „...ს“ უნდა დაევალოს მოსარჩელისათვის – ა(ა)იპ ... ისათვის 2017 წლის 10 მაისის №გ-01112 წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების, კერძოდ, 1 634 077 ლარის ფარგლებში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გათვალისწინებით, მოპასუხეს – შპს „...ს“ მოსარჩელის – ა(ა)იპ ... ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 550 ლარის (პირველი ინსტანციის სასამართლო-

ში – 100 ლარის ოდენობით, სააპელაციო სასამართლოში – 150 ლა-
რის ოდენობით, საკასაციო სასამართლოში – 300 ლარის ოდენო-
ბით) ნახევრის – 275 (ორას სამოცდათხუთმეტი) ლარის ანაზღაუ-
რება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-
წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე
მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ტ ა:

1. ა(ა)იპის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-
რივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება და
მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა(ა)იპის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. მოპასუხეს – შპს „...ს“ დაევალოს მოსარჩელისათვის – ა(ა)იპ
... ისათვის 2017 წლის 10 მაისს №გ-01112 წერილით მოთხოვნილი
საჯარო ინფორმაციის მიწოდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტე-
ტის ბიუჯეტიდან დაფინანსების – 1 634 077 ლარის ფარგლებში;
5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. შპს „...ს“ ა(ა)იპის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩე-
ლის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევრის – 275 (ორას
სამოცდათხუთმეტი) ლარის ანაზღაურება;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ
საჩივრდება.

**მოთხოვილი ინცორმაციის სახელმწიფო
საიდუმლოების საკითხის გარკვევის აუცილებლობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№პს-328(კ-20)

18 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ბ-მა 2018 წლის 27 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-
ას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მი-
მართ, ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგის 2019 წლის 2 აპრილის საოქმო განჩინებით, საქარ-
თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის
პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაეპა შპს
„...ი“.

3. მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის
3 სექტემბრის სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მო-
ითხოვა მოპასუხისთვის მესამე პირის – შპს „....ის“ მიმართ თანხმო-
ბის გაცემის დავალება, რათა მესამე პირმა მოსარჩელეს მიაწო-
დოს მის მფლობელობაში არსებული ტელეფონის ნომრის (...) დე-
ტალური ამონანერი, 2013 წლის 5-7 დეკემბრის პერიოდში სატე-
ლეფონო საუბრების დროისა და ხანგრძლივობის, ასევე, მოკლე
ტექსტური შეტყობინებების მიხედვით, მომსახურე ანძების, ან-
ძების დასახელებისა და მდებარეობის მითითებითა და პერიოდში გამო-
რიცხვით, ანუ კომუნიკაციის მეორე მხარის იდენტიფიკა-
ციის გამომრიცხავი ფორმით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგის 2019 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-
ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხების – საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს დაევალა მესამე პირის – შპს „....ის“ მიმართ
თანხმობის გაცემა, რათა მან მოსარჩელე მხარეს მიაწოდოს ინ-

ფორმაცია მის მფლობელობაში არსებული ტელეფონის ნომრის (...) დეტალური ამონანერის, 2013 წლის 5-7 დეკემბრის პერიოდში სატელეფონო საუბრების დროისა და ხანგრძლივობის, ასევე, ესე-მეს შეტყობინებების მიხედვით მომსახურე ანძების, ანძების და-სახელებისა და მდებარეობის მითითებითა და ბე ნომრების გამო-რიცხვით, ანუ კომუნიკაციის მეორე მხარის იდენტიფიკაციის გა-მომრიცხავი ფორმით.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენი-ლად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. 2013 წლის 5-7 დეკემბრის მდგომარეობით, გ. ბ-ი დასაქმე-ბული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რა დრო-საც მასზე, როგორც ამ უწყების სხვა თანამშრომლებზე, განპი-როვნებული იყო შპს „...ში“ ჩართული მობილური ტელეფონის ნო-მერი – ...;

5.2. 2018 წლის 1 ოქტომბერს გ. ბ-მა განცხადებით მიმართა სა-ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მიუთითა, რომ 2013 წლის დეკემბრის თვეში მუშაობდა სამინისტროში და მასზე განპი-როვნებული იყო შპს „...ის“ ქსელში ჩართული სააბონენტო ნომერი – განმცხადებელს, პირადი მიზნებიდან გამომდინარე, სურდა 2013 წლის 5 დეკემბრიდან 2013 წლის 7 დეკემბრამდე პერიოდში დასახელებულ ნომერზე განხორციელებული აქტივობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება;

5.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გ. ბ-ს უარი უთხრა მოთხოვნის დაკავშირებაზე და მიუთითა, რომ 2013 წლის 5 დეკემბრიდან 7 დეკემბრამდე პერიოდში სატელეფონო ნომერი – ... სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების უზრუნველსა-ყოფად განპიროვნებული იყო გ. ბ-ის სახელზე და ირიცხებოდა სა-მინისტროს ბალანსზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სა-ტელეფონო ნომერი წარმოადგენდა სამინისტროს საკუთრებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანო-ნის 21-ე მუხლის თანახმად, მითითებული სატელეფონო ნომრი-დან განხორციელებული ზარების შესახებ დეტალური ამონანერი არ წარმოადგენდა მხოლოდ გ. ბ-ის შესახებ პერსონალურ მონაცე-მებს, აღნიშნული ინფორმაცია შეიცავდა მესამე პირების პერსო-ნალურ მონაცემებსაც. ამასთან, 2013 წლის 5 დეკემბრიდან 7 დე-კემბრამდე პერიოდში გ. ბ-ს სატელეფონო ნომრით შეეძლო ესარ-გებლაროგორც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების, ასე-ვე, პირადი მიზნებისათვისაც, მაგრამ ტექნიკური მახასიათებლე-ბიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო სატელეფონო ნომრის დე-ტალური ამონანერიდან მითითებული გარემოების იდენტიფიცი-რება/სორტირება (მესამე პირების შესახებ პერსონალური მონა-

ცემების გამომრიცხავი ფორმით ინფორმაციის გაცემა);

5.4. 2018 წლის 22 ნოემბერს გ. ბ-მა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა განცხადებით, რომლითაც დააზუსტა მოთხოვნა და ითხოვა 2013 წლის 5 დეკემბრიდან 7 დეკემბრამდე პერიოდში მასზე განპიროვნებულ, შპს „....ის“ ქსელში ჩართულ მობილური ტელეფონის ნომერზე (...) შესული და გასული ზარებისა და შეტყობინებების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა შპს „...იდან“, კომუნიკაციის მეორე მხარის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით, ხანგრძლივობის, მომსახურე ანძის დასახელებისა და ადგილმდებარეობის მითითებით;

5.5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 22 ნოემბრის №MIA51802846434 ნერილით გ. ბ-ის უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ მას 2018 წლის 19 ნოემბერს ანალოგიური შინაარსის ნერილზე უკვე გაეცა პასუხი.

6. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-18 მუხლებზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, 42-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ სახელმწიფოში საჯარო ინფორმაციის ღიაობა უზრუნველყოფილია და ღიაობის შეზღუდვა ორ შემთხვევაში არის დაშვებული, როდესაც ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, ან როდესაც დადგენილი წესით იგი მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

7. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ პერსონალური მონაცემი არის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. თავის მხრივ, იდენტიფიცირებად მონაცემებად მიიჩნევა ინფორმაცია, რომელიც იძლევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირების შესაძლებლობას, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

8. სადაც შემთხვევასთან მიმართებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზარა მოპასუხის პოზიცია იმის თაობაზე, რომ გ. ბ-ისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემის შემთხვევაში გამჭვავნდებოდა სხვა პირთა პერსონალური მონაცემები, ვინაიდან მოსარჩევე არ მოითხოვდა კომუნიკაციის მეორე მხარის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. ამასთან, შპს „....ის“ ნარმომადგე-

ნელმა განმარტა, რომ მოსარჩელისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია მოთხოვნილი ფორმით ისე, რომ არ მოხდეს კომუნიკაციის მეორე მხარის პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირება.

9. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემით კონკრეტულ ოპერატორულ ღონისძიებასთან დაკავშირებული დეტალების გამულავნების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციასთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხებ ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებითაც დაადასტურებდა, რომ გ. ბ-ი 2013 წლის 5-7 დეკემბრის პერიოდში მონაწილეობას იღებდა ოპერატორულ ღონისძიებებში. გარდა ამისა, მესამე პირმა აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციით შესაძლებელია პირის დაახლოებითი ადგილსამყოფლის და არა ზუსტი მისამართის დადგენა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ოპერატორული ინფორმაციის არსებობა და მისი გამულავნების რეალური საფრთხე დადგენილი არ იყო.

10. საქალაქო სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ განმცხადებელს არ ეკისრება ინფორმაციის მოთხოვნის მოტივაციის დასაბუთების ვალდებულება.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გ. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძვები.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩინორა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 26 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება.

14. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ მოთხოვნილი ფორმით ინფორმაციის გაცემა ვერ გამოიწვევდა მესამე პირთა პერსონალური მონაცემების გამულავნებას, რადგან გ. ბ-ი არ მოითხოვდა კომუნიკაციის მეორე მხარის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. რაც შეეხება ნომრის

სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად გამოყენებას, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ოპერატორული ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განმარტება და გონივრული არგუმენტაციით დაუსაბუთებელი შესაძლო საფრთხე ვერ გახდება პირისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაციის შეზღუდვის საფუძველი.

15. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სამინისტროს პოზიცია, რომ მოსარჩევე არ მიუთითებს მისთვის ინფორმაციის გაცემით ზიანის მიყენებაზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირი არ არის ვალდებული, დაასახელოს საჯარო ინფორმაციის მიღების მიზეზი და მიზანი.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 26 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

17. საქასაციო საჩივრის თანახმად, სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მოსარჩელის უფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღსვრის პროცესუალური უფლებით სარგებლობს მხოლოდ ნამდვილი, კანონიერი ინტერესის მქონე პირი. კასატორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7, მე-18 მუხლებზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ გ. ბ-ი ვერ ასაბუთებს მის იურიდიულ ინტერესს, რაზიანს აყენებს მოთხოვნილი ინფორმაციის არცოდნა, ვერ ასახელებს ინფორმაციის მიღების საჭიროების გამომწვევ მიზეზებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

18. კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ იგი არ არის ვალდებული, გამოითხოვოს ინფორმაცია და მიაწოდოს გ. ბ-ს, რადგან სამინისტროს საკუთრებას წარმოადგენს მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც მოსარჩელეს გადაცემული ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. ამდენად, საკასაციო საჩივრის თანახმად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირები.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემზრტათ, რომ საქასაციო საჩივარი არსებითად განხილულ იქნებოდა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაქმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

21. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის თანხმობის გაცემის დავალება, რათა გ. ბ-მა შპს „...ისგან“ მიიღოს მის მფლობელობაში არსებული ტელეფონის ნომრის ამონანერი.

22. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ხოლო მე-18 მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დანესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებრში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

23. საკასაციო პალატა, ასევე, მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კი, პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დანესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასური.

24. ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, გარდა საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებისა, ყველა პირს აქვს უფლება, მოითხოვოს და გაეცნოს საჯარო დანესებულებაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას. თავის მხრივ, საჯარო დანესებულებამ უნდა უზრუნველყოს მასთან და-

ცული ინფორმაციის დადგენილი წესითა და ფარგლებში მხარის-თვის ხელმისაწვდომობა. ინფორმაციის მიღების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე კი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. შესაბამისად, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ მოსარჩევებ უნდა დაადასტუროს იურიდიული ინტერესის არსებობა, რადგან ინფორმაციის მიღება ყველა პირის უფლებასა და კანონით დაცულ ინტერესს წარმოადგენს. თუკი პირი ითხოვს საჯარო ინფორმაციის ან ისეთი ინფორმაციის გაცემას, რომელიც კანონმდებლობიდან გამომდინარე არის მისთვის ხელმისაწვდომი, მას არ უნდა მოეთხოვოს კონკრეტული ინფორმაციის მიმართ მისი პირდაპირი ინტერესის არსებობის დამოუკიდებლად დასაბუთება, ინფორმაციის მიღების მიზნებისა და მოტივების განმარტება. შესაბამისად, სადაც შემთხვევაში საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს. ამასთან, მართალია, საქართველოს კანონმდებლობა იცავს და აღიარებს ინფორმაციის მიღების უფლებას, თუმცა კონსტიტუციითვე არის დასაშვები სათანადო საფუძვლის არსებობისას აღნიშნული უფლების შეზღუდვა, მათ შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია კომერციული, პროფესიული, სახელმწიფო საიდუმლოების ან სხვა პირთა პერსონალური მონაცემების გამუდავნების თავიდან აცილების მიზნით.

25. სადაც შემთხვევაში მოსარჩევე ითხოვს მოპასუხისთვის მესამე პირის – შპს „...ის“ მიმართ თანხმობის გაცემის დავალებას, რათა მესამე პირმა მოსარჩევეს მიაწოდოს მის მფლობელობაში არსებული ტელეფონის ნომრის (...) დეტალური ამონანერი, 2013 წლის 5-7 დეკემბრის პერიოდში სატელეფონო საუბრების დროისა და ხანგრძლივობის, ასევე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიხედვით, მომსახურე ანძების, ანძების დასახელებისა და მდებარეობის მითითებითა და ბენორების გამორიცხვით, ანუ კომუნიკაციის მეორე მხარის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით. დადგენილია, რომ დასახელებულ პერიოდში მითითებული ტელეფონის ნომერი წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრებას, თუმცა განპიროვნებული იყო მოსარჩევე, როგორც ამავე უწყების თანამშრომელზე.

26. საკასაციო სასამართლო, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ გ. ბ-ი არ ითხოვს უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ინფორმაციის გაცემას, რამეთუ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სამინისტრო-

ში დაცული არ არის. მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოსგან ითხოვს მხოლოდ თანხმობის გაცემას, ვინაიდან ასეთი თანხმობის მიღების გარეშე შპს „...ი“ სამინისტროს კუთვნილი ტელეფონის ნომრის ამონანერს არ გასცემს. ამდენად, იმისთვის, რომ მოსარჩელემ მიიღოს სასურველი ინფორმაცია, საჭიროებს კასატორის თანხმობას, მოთხოვნილი ინფორმაცია კი წარმოადგენს გ. ბ-ის შესახებ ინფორმაციას, რადგან ტელეფონის ნომერს სადაც პერიოდში სწორედ ის ფლობდა და იყენებდა, ის იყო სატელეფონო კომუნიკაციის ერთ-ერთი მხარე. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან ინფორმაციის მიღება სწორედ სამინისტროს ქმედებაზე – მესამე პირისგან ინფორმაციის მიღების თაობაზე თანხმობის გაცხადებაზე არის დამოკიდებული, ასეთი თანხმობის გაცემისას სამინისტრომ უნდა იმოქმედოს ინფორმაციის ხელმისაწვდომის პრინციპის დაცვით და უსაფუძლოდ არ უნდა შეუზღუდოს მხარეს მის შესახებ არსებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, თუკი აღნიშნული არ გამოიწვევს საიდუმლო ინფორმაციისა ან სხვა პირთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამულავნებას.

27. მესამე პირთა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ მოსარჩელე ითხოვს ინფორმაციის ისეთი სახით მიღებას, რომ არ მოხდეს კომუნიკაციის მეორე მხარის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გაცემა. ამას-თანავე, შპს „...ის“ წარმომადგენელმა ქვედა ინსტანციის სასამართლოებში დავის განხილვისას დაადასტურა, რომ მოსარჩელისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია მოთხოვნილი ფორმით ისე, რომ არ მოხდეს კომუნიკაციის მეორე მხარის პერსონალური მონაცემების გაცემა. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებიდან გამომდინარე, მოთხოვნილი ინფორმაციის გათვალისწინებით, მოსარჩელის უფლებების დასაცავად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, რომ ხელი შეუწყოს მოსარჩელეს, მიიღოს სასურველი ინფორმაცია, რომელიც შეეხება უშუალოდ გ. ბ-ს და რომლის გაცემაც სხვა პირთა უფლებებს არ ხელყოფს.

28. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებით კი, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციაზე, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემით შესაძლებელია გამჟღავნდეს კონკრეტულ ოპერატორულ ღონისძიებასთან დაკავშირებული დეტალები, ვინაიდან გ. ბ-ი მასზე განპიროვნებულ ტელეფონის ნომერს იყენებდა ოპერატორული მიზნებისთვისაც. საკასაციო პალატა მიუთითებს „ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კა-

ნონის მე-5 მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. ასეთი საქმიანობის ამსახველი მონაცემების, დოკუმენტებისა და წყაროების დადგენილი წესით გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრულ პირებს, აგრეთვე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. იმავე მუხლის მეორე პუნქტი კი ადგენს, რომ იმ პირის მიერ ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი ცნობების გახმაურება, რომელსაც ეს ცნობები განდობილი ჰქონდა ან რომლისთვისაც ისინი ცნობილი გახდა სამსახურებრივ ან სხვა მოვალეობასთან დაკავშირებით, ინვენის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისათვის. საკასაციო პალატა, ასევე, მიუთითებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ.ა.“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნოს ინფორმაცია სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობების და ფარული საგამოძიებო მოქმედებების გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების შესახებ, აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებებსა და პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და დაფინანსების თაობაზე.

29. მითითებულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, რომლის მიმართაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ მოქმედებს ჩვეულებრივი სახით. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „ზოგადად, სისხლისამართლებრივი დევნის წარმოება და გამოძიების მიმდინარეობა კომპლექსური და დინამიკური პროცესია, რომლის განმავლობაშიც გამოძიების ინტერესების დაცვა მრავალი ფაქტორის ერთობლიობაზეა დამოკიდებული. გამოძიების ინტერესებსა და სათანადოდ წარმართვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გამოძიების შედეგად შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება და დაცვა... იმავდროულად, სისხლის სამართლის საქმეში არსებული ინფორმაციის გაცემისა და გამოძიების ინტერესების დაცვის უცილებლობა, ინდივიდუალურ შემთხვევაში, იქნება განსხვავებული. ამგვარად, ღირებულებათა კონფლიქტები გამოძიების ინტერესების

დაცვისა და საჯარო დაწესებულებაში პირის შესახებ არსებული ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ინტერესებს შორის იქნება განსხვავებული, რომელმაც სხვადასხვა შემთხვევაში ამ ინტერესების ინდივიდუალური დაბალანსების საჭიროება შეიძლება წარმოშვას. კერძოდ, იმის გადაწყვეტა, თუ რა სახის ინფორმაცია აზიანებს ან მომავალში დაზიანებს გამოძიებას, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანოს შესაფასებელი მოცემულობაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. ამასთანავე, ცხადია, რომ აღნიშული შეფასებისას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა მიხედულების ფარგლები არ არის უსაზღვრო, იგი უპირობოდ მოითხოვს საკითხის კეთილგონივრულ გადაწყვეტას და ყველა ჩართული კანონიერი ინტერესის შესაბამისად გათვალისწინებას. მართალია, საგამოძიებო პროცესში მოპოვებული, გამოძიების მიმდინარეობისათვის რელევანტური, გამოძიებასთან რაიმე ფორმით დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს საგამოძიებო ინფორმაციას, თუმცა მისი (ინფორმაციის) ამგვარი ბუნება გამჟღავნების შემთხვევაში, თავისთავად, ყოველთვის არ იწვევს კონკრეტული საფრთხის წარმოშობას გამოძიებისთვის... ცალსახაა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ყველა სახის დოკუმენტი თუ ინფორმაცია, მათი გამჟღავნების/გაცემის შემთხვევაში არ იქნება გამოძიებისათვის ერთნაირად საფრთხის შემცველი. უფრო მეტიც, შესაძლოა, ცალკეული ინფორმაცია გარკვეულ ეტაპზე საერთოდ აღარ იყოს იმ მნიშვნელობის მატარებელი, რაც მისი შემცველი დოკუმენტის ასლის დაზარალებულისათვის გადაცემაზე ანდა მის გასაჯაროებაზე უარს გაამართლებდა. ამასთან, შესაძლებელია, მოვლენების გარკვეულმა განვითარებამ სრულიად გააქარწყლოს ინფორმაციის გამჟღავნებით საგარაუდო ზიანის დადგომის რისკები. მაგალითად, მასალების დაცვის ინტერესი საერთოდ არ იარსებებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამოძიების ორგანო თავად ახდენს მათ გასაჯაროებას ან ინფორმაცია საჯარო ხდება სხვა წყაროების (მასმედიის, დაცვის მხარის) შეშვეობით” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის №1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34, 45-47).

30. საკასაციო პალატა, გ. ბ-ის საქმიანობის სფეროსა და კასატორის პოზიციის მხედველობაში მიღებით, მიიჩნევს, რომ შესაფასებელი და შესამოწმებელია მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემით სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების რისკები, მათ შორის, შესასწავლია, ნამდვილად ასრულებდა თუ არა სადაცო პერიოდში გ. ბ-ი საგამოძიებო მოქმედებებს, რომელთა ფარგლებშიც

იყენებდა მობილურ ტელეფონს; რამდენად არის ეს ინფორმაცია დღესაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი; შესაძლებელია, თუ არა ინფორმაციის გაცემა საიდუმლო ინფორმაციის გამორიცხვით.

31. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ ზემოაღნიშნული საკითხი სრულყოფილად არ არის შესწავლილი, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენასა და შეფასებას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის. ფაქტის სწორად დასადგენად სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს მხარეთა განმარტებებზე, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს მისთვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-19 მუხლებით მინიჭებული, მტკიცებულებათა გამოთხვის შესაძლებლობა. ვინაიდან სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმ საკითხის დადგენაზე, ინფორმაცია შეიცავს თუ არა სახელმწიფო საიდუმლოებას, ან შესაძლებელი იქნება თუ არა მისი საიდუმლო ინფორმაციის გამტკიცების გარეშე გაცემა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გაუქმების საფუძველი და საქმე, იმავე კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელახლა განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 26 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge